როლების ეფექტურად შესრულების უნარზე, არამედ გავლენას ახდენს მათ საერთო კეთილდღეობაზე. როგორც ასეთი, მედია ორგანიზაციებმა და ჟურნალისტებმა უნდა იმუშაონ ერთად, რათა შეიმუშაონ და განახორციელონ სტრატეგიები, რომლებიც პრიორიტეტულნი არიან უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე, რათა დარწმუნდნენ, რომ ჭეშმარიტების ძიება ჟურნალისტების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ფასად არ დადგება. ჟურნალისტების უსაფრთხოების ეს ჰოლისტიკური მიდგომა არსებითია კონფლიქტის გაშუქების მთლიანობისა და სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად დღევანდელ რთულ გლობალურ მოცემულობაში.

1.2. რელიგიური კონფლიქტების გაშუქების დიმენსიები

მედიაში კონფლიქტის გაშუქება უკავშირდება სახელს იოჰან გალტუნგისა, რომელმაც ჩამოაყალიბა საომარი და სამშვიდობო ჟურნალისტიკის თეორიები. სწორედ ამ თეორიების საფუძველზე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ქართულ ჟურნალისტიკასაც აქვს შეთავსებული სამშვიდობო და თუ საჭირო გახდა საომარი ფუნქციაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტი ხდება მაშინ, როდესაც ინდივიდები ან ჯგუფები არ იღებენ იმას, რაც მათ სჭირდებათ ან სურთ და ეძებენ საკუთარ ინტერესებს.

იოჰან გალტუნგი ამბობს: „კარგი იქნება თუკი სამშვიდობო ჟურნალისტიკა დაემსგავსება ჯანმრთელობის ჟურნალისტიკას, ისაუბრებს ამ დაავადების მიზეზებზე და მოძებნის განკურნების გზებს, მის სასიცოცხლო გზებს, გენეტიკურ საფუძვლებს და ა.შ.“ (Galtung, 1969), გალტუნგი ხშირად აღნიშნავს ნეგატიურ და პოზიტიურ მშვიდობასა და სამშვიდობო კონფლიქტის ცხოვრების ციკლს და მათ ურთიერთობების სტრუქტურულ, ინსტიტუციურ, ინდივიდუალურ, პროცედურულ და პოლიტიკურ დონეებს. (Pathak, 2018).

ნორვეგიელმა სოციოლოგმა, იოჰან გალტუნგმა ჟურნალისტიკას მიანიჭა მნიშვნელოვანი როლი კონფლიქტის დარეგულირებაში (1953). მისი თეორიების მიხედვით, მედია საშუალებები ან ამძიმებენ სიტუაციას ან აწარმოებენ სამშვიდობო ჟურნალისტიკას. ეს უკანასკნელი მოიცავს მშვიდობაზე ორიენტირებულ მედიას. სამშვიდობო მედია არ არის მიმართული კონფლიქტში მონაწილე რომელიმე მხარის „გამარჯვებისკენ“, მისთვის არ არსებობს კონცეფცია – ჩვენ და ისინი. სამშვიდობო ჟურნალისტიკა არასოდეს აკეთებს აქცენტს, თუ ვინ ისროლა პირველმა. არასოდეს არ ხდის კონფლიქტს ბურუსით მოცულს, იდუმალს ანუ სკანდალურს. ჟურნალისტები კონფლიქტის გაშუქებისას ყველა მხარეს უნდა მიუდგნენ ჰუმანურად, ყველა მხარის მოსაზრება უნდა გახადონ ცნობილი. გალტუნგის ABC სამკუთხედი ასახავს კონფლიქტის თეორიას, სადაც კონფლიქტური წინააღმდეგობები, ქცევები და დამოკიდებულებები ჩნდება. კონფლიქტის მხარეებს შორის დამოკიდებულებები და წინააღმდეგობები არსებობს ლატენტურ დონეზე და მყისიერად არ ჩანს თვალით, ხოლო ქცევები კონფლიქტის უფრო თვალსაჩინო მტკიცებულებაა. ეს სამკუთხედი ეხება როგორც სიმეტრიულ კონფლიქტებს (სადაც მხარეები გარკვეულწილად თანასწორნი არიან), ასევე ასიმეტრიულ კონფლიქტებს. გალტუნგმა პირველად შემოიტანა კონფლიქტის თეორიის სამკუთხედი თავის სტატიაში ძალადობა, მშვიდობა და მშვიდობის კვლევა. (Galtung, 1969). ზოგადად, კონფლიქტის თეორია ცდილობს მეცნიერულად ახსნას საზოგადოებაში კონფლიქტის ზოგადი კონტურები: როგორ იწყება და იცვლება კონფლიქტი და რა შედეგები მოაქვს მას. კონფლიქტის თეორიის ცენტრალური საზრუნავია მწირი რესურსებისა და ძალაუფლების არათანაბარი განაწილება. აღნიშნული რესურსები შეიძლება განსხვავებული იყოს თითოეული თეორეტიკოსისთვის, მაგრამ კონფლიქტის თეორეტიკოსები ჩვეულებრივ მუშაობენ ვებერის სტრატეგიკაციის სამ სისტემასთან: კლასი, სტატუსი და ძალაუფლება. გალტუნგმა მედიას და მედიის წარმომადგენლებს დააკისრა კიდევ ერთი

საკასუხისმგებლო საქმე. ჟურნალისტმა კონფლიქტის გაშუქებისას აუდიტორიად უნდა მოიაზროს არა მხოლოდ საკუთარი მხარე, არამედ კონფლიქტში მონაწილე სხვა მხარეც (Coser, 2006).

საინტერესოა, როგორ გვესახება საქართველოს მშვიდობიანი პოლიტიკის განვითარება? საქართველოხთვის მტკივნეული საკითხების გადასაჭრელად, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, სწორედ კონფლიქტების სწორი მართვაა, დაპირისპირებულ მხარეთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესება, მოლაპარაკებები, მესამე მხარის ჩართულობა, ეფექტური გზების ძიება... და ამ პროცესებში ჟურნალისტის სწორ მონაწილეობას უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია. დამაბულობის ხარისხი ზრდის მხარეთა შორის ურთიერთაღქმას. მოწინააღმდეგე მოიაზრებს „მტრად“, „სხვად“, ყალიბდება „მტრის ხატის“ ცნება. სოციალური კონფლიქტის თითქმის ყველა სახის შესწავლის მეთოდები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ერთნაირია. უბრალოდ, ყველა ტიპის კვლევა დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან. ამიტომ საჭიროა შეირჩეს მეთოდთა ერთობლიობის ფართო სპექტრი, რათა საჭიროების შემთხვევაში შესატყვისი მეთოდი აღმოჩნდეს უფრო შედეგიანი. უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტებისთვის კონფლიქტის გაშუქება, როდესაც ისინი ერთ-ერთი კონფლიქტური მხარის წევრები არიან, აქვს გარკვეული პროფესიული და მორალური დილემები. აღნიშნული ქმნის დამაბულობას მათ პროფესიონალიზმსა და საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის გრძნობას შორის. (Şahin, 2021). კონფლიქტის თეორიის ცენტრალური დებულებებია სოციალური უთანასწორობის ცნებები, რესურსების დაყოფა და კონფლიქტები, რომლებიც არსებობს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ კლასებს შორის. კონფლიქტის თეორიის ცენტრალურ დებულებებს შეუძლია ახსნას მრავალი სახის სოციალური კონფლიქტი ისტორიის მანძილზე. ზოგიერთი თეორეტიკოსი მარქსის მსგავსად თვლის, რომ სოციალური კონფლიქტი არის ძალა, რომელიც საბოლოოდ განაპირობებს საზოგადოებაში ცვლილებას და განვითარებას.

აღსაღნიშნავია, რომ ძალადობრივი კონფლიქტის დროს საზოგადოებისთვის სანდო ინფორმაციის მიწოდება მოითხოვს დამატებით ჟურნალისტურ უნარებს. რეპორტიორებმა მეტი უნდა გაიგონ, თუ რა იწვევს კონფლიქტს და როგორ ვითარდება და მთავრდება კონფლიქტი. ჟურნალისტიკა საზოგადოებას უფრო კარგად აცნობს ძალადობის მიღმა არსებულ დეტალებს, რაც კონფლიქტის შესახებ არსებობს და შეუძლია დაეხმაროს საზოგადოებას აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში.

მედია არ არის მხოლოდ მედიატორი საზოგადოებასა და პოლიტიკურ სისტემას შორის, ის მნიშვნელოვანი აქტორია. არსებობს ცნება „მშვიდობის ჟურნალისტიკა“ - სამშვიდობო ჟურნალისტიკა ეს არის თავისუფალი ჟურნალისტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც საზოგადოებაში ხელს უწყობს მშვიდობის ღირებულების შექმნას. სოციალურ ქსელებში დაკვირვების შედეგად ვხედავთ, რომ ახალი ამბების მაყურებელი აფიქსირებს საკუთარ პოზიციას, რომ მაუწყებლების საინფორმაციო პოლიტიკა ბევრ შემთხვევაში მიკერძოებულია. ეს შეიძლება არ იყოს ზუსტი, მარამ ვინაიდან მთავარი შემფასებელი მაყურებელია, მოსახლების ასეთი დამოკიდებულება დიდ როლს თამაშობს მედიის მიმართ ნდობის განსაზღვრაში. ხშირად მედია კონფლიქტურ პროცესს სტანდარტის იგნორირებით აშუქებს და ამ დროს დიდი საფრთხე იქმნება. მათ მიერ მოყოლილი ამბავი, უნდობლობის ფაქტორის გამო, შეიძლება არ დაიჯეროს მაყურებელმა; ამიტომ შესაძლოა, შექმნას სახიფათო სიტუაცია. ზოგადად, კონფლიქტური სიტუაციების გაშუქებას აქვს თავისი სპეციფიკა. „მედიას, როგორც ხიდის მშენებელს, შეუძლია ხელი შეუწყოს პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას პოლარიზებულ ჯგუფებს შორის შემდეგი გზით: აჩვენოს მხარეები მსგავს ჭრილში, გამოსახოს ხალხი ერთი და იმავე პრობლემის წინაშე“ - ვკითხულობთ, კონფლიქტების პრევენციის ევროპული ცენტრის ერთ-ერთ ანგარიშში.

ხშირად მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში არსებობს მთელი რიგი ხარვეზები. ზოგიერთი ჟურნალისტი მიზანმიმართულად ავრცელებს

ქრისტიანების, იუდაიზმის დასავლურ მედიაში კი უფრო ხშირად მუსლიმების მიმართ დაუზუსტებელ, მცდარ და უსამართლო ინფორმაციას, რაც მედიის დიდი მარცხია.

მედიის ყურადღება რელიგიაზე ხშირად შედგება ისტორიებისგან "ექსტრემისტი" მუსლიმების შესახებ, იგნორირებას უკეთებს ქრისტიანული ექსტრემიზმის მაღალ დონეს, რომელიც ასევე შეიძლება აღწერილი იყოს.

სტატიების უმრავლესობაში საუბარია „კარგ ქრისტიანზე“ და „ცუდ მუსლიმზე.“ მუსლიმების შემთხვევაში ისტორიები მოთხრობილია ტერორისტების რელიგიისა თუ ეთნიკური წარმომავლობის დასახელებით, ქრისტიანების შემთხვევაში კი დასახელების გარეშე. მაგალითად, ნორვეგიელ მასობრივ მკვლელს ანდერს ბრეივიკს მედია არ ახასიათებს, როგორც ქრისტიან ტერორისტს, თუმცა ის საკუთარ თავს ქრისტიანად მიიჩნევს. იგი სტატიების უმრავლესობაში მოხსენიებულია „მასობრივ მკვლელად“ (aljazeera.com, 2023) და არა ქრისტიან ტერორისტად. შესაბამისად, მედიის მიერ ჩამოყალიბებულია საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, რომ - ტერორისტები მხოლოდ მუსლიმები არიან.

არსებობს რამდენიმე სტატია, სადაც ბრეივიკი დახასიათებულია ქრისტიან ტერორისტად (Strømmen, 2017), თუმცა, აღნიშნულის გასაბათილებლად ამერიკელი მეცნიერი, რელიგიათმცოდნე სტივენ პროტერო აღნიშნავს, რომ ქრისტიანებმა სწრაფად დაგმეს იგი, ამასთან აღწერეს მის ქმედებებს, როგორც პოლიტიკურს და არა რელიგიურს. თუმცა, მას ავიწყდება რომ ტერორიზმი სწორედ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ხორციელდება.

აღნიშნულის კიდევ ერთი მაგალითია, 1995 წელს სრებრენიცას ხოცვა-ჟლეტა (Smith, 2023). ეს ფართოდ არის აღწერილი მედიის მიერ, როგორც 8000 „მუსლიმი“ მამაკაცისა და ბიჭის მკვლელობა „სერბების“ მიერ, მათი რელიგიის, როგორც ქრისტიანების აღნიშვნის გარეშე. სერბი სამხედრო და პოლიტიკური ლიდერები, რომლებსაც ბრალი ედებათ ომის დანაშაულებში, არ მოიხსენიებიან როგორც ქრისტიანი ტერორისტები.

კონფლიქტები სხვადასხვა შეზღუდვებსა და სირთულეებს უქმნის ჟურნალისტიკას. კონფლიქტების, მათ შორის რელიგიური კონფლიქტების გაშუქება რისკისა და საფრთხის შემცველია ჟურნალისტებისათვის. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ჟურნალისტები ავრცელებენ მხოლოდ ერთი მხარის სასარგებლო ინფორმაციასა და პროპაგანდას, რაც ასევე იწვევს პროფესიულ და მორალურ ზეწოლას (Boudana, 2015). მართლაც, ჟურნალისტებს რელიგიური კონფლიქტის გაშუქებამ, მით უმეტეს როდესაც ისინი ერთ-ერთი კონფლიქტური მხარის წევრები არიან, პროფესიული და მორალური დილემები დაუმატა. კონფლიქტის დროს, ნებაყოფლობით თუ უნებლიეთ, ისინი ხდებიან კონფლიქტის ნაწილი და უწევთ გამკლავება იმ ღირებულებებთან, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგება (Zandberg & Neiger , 2005). ერთის მხრივ, მათი პროფესიული როლი მოითხოვს ავტონომიის და ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას, მეორეს მხრივ, ისინი თავიანთი თემის წევრები არიან და მათი მიჯაჭვულობა ართულებს კონფლიქტის მიმართ მიუკერძოებლობას (Nygren , 2018). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჟურნალისტები "ჯვარედინ ცეცხლში" არიან, რადგან ისინი ცდილობენ დააბალანსონ პროფესიული ავტონომია პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და საზოგადოების ზეწოლასთან.

რელიგიური კონფლიქტების დროს ჟურნალისტების განწყობებმა შეიძლება გადალახოს პროფესიონალური განწყობები და მათ დაიკავონ თავიანთი რელიგიური თემის მხარე. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან იმ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტული რელიგია / აღმსარებლობა ხდება დომინანტური, ცალკეულ ჟურნალისტებს უჭირთ მათ თემში გაბატონებული მიდგომების მიღმა დარჩენა. სწორედ ამიტომ რელიგიური კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებებში ჟურნალისტები განიცდიან გარე ან შიდა და ფარულ და აშკარა ზეწოლას, რაც მათ აიძულებს გამოიყენონ თვითცენზურა. ეს ზეწოლა ხელს უშლის მათ გარკვეული მოვლენის გაშუქებისგან ან აშუქებენ ისე, რომ ზიანი არ მიაყენონ საკუთარ თავს და სხვებს (Jungblut & Hoxha , 2017).

ნებისმიერი სახის ზეწოლა ზღუდავს ჟურნალისტების ავტონომიას, რაც ართულებს მათი პროფესიული როლის აღქმის პრაქტიკაში განხორციელებას. პოსტკონფლიქტურ სიტუაციებშიც კი როდესაც ძალადობა მთავრდება, ცენზურა ან თვითცენზურა მაშინვე არ ქრება. ჟურნალისტები კვლავ რჩებიან ხელისუფლების, მედიის მფლობელების ან სხვა აქტორების ზეწოლის ქვეშ და თვითცენზურას უწევენ საკუთარ თავს (Nygren , 2018). მიუხედავად აღნიშნულისა, მედია უნდა იყოს პასუხისმგებელი კონკრეტული რელიგიური ჯგუფების შესახებ არასწორი ისტორიების გავრცელებისათვის.

პროფესიონალი ჟურნალისტები კონფლიქტის შემცირებას არ ცდილობენ, ისინი ცდილობენ წარმოადგინონ ზუსტი და მიუკერძოებელი ამბები, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად კარგი მოხსენებით ხდება კონფლიქტის შემცირება.

ასევე უნდა აღვნიშნოთ კონფლიქტების მოგვარების რამდენიმე ელემენტი, რომელიც კარგ ჟურნალისტიკას შეუძლია ავტომატურად გადასცეს, როგორც ყოველდღიური მუშაობის ნაწილი, ესენია:

კომუნიკაციის არხირება: საინფორმაციო მედია ხშირად არის კომუნიკაციის ყველაზე მნიშვნელოვანი არხი, რომელიც არსებობს კონფლიქტის მხარეებს შორის. ზოგჯერ მედია გამოიყენება ერთი მხარის მიერ დამაშინებელი შეტყობინებების გადასაცემად. მაგრამ სხვა დროს მხარეები ერთმანეთს მედიის ან კონკრეტული ჟურნალისტების მეშვეობით ელაპარაკებიან (Howard , 2020).

განათლება: თითოეულმა მხარემ უნდა იცოდეს მეორე მხარის სირთულეების შესახებ შერიგებისკენ სვლისას. ჟურნალისტიკა, რომელიც იკვლევს თითოეული მხარის განსაკუთრებულ სირთულეებს, როგორცაა მისი პოლიტიკა ან ძლიერი ინტერესები, შეუძლია დაეხმაროს მეორე მხარის განათლებას, რათა თავიდან აიცილოს მოთხოვნები გამარტივებული და დაუყოვნებელი გადაწყვეტილებების შესახებ (Posetti, 2018).

ნდობის აღდგენა: ნდობის ნაკლებობა კონფლიქტის წარმოშობის მთავარი ფაქტორია. მედიას შეუძლია ექვების შემცირება მწვავე საკითხებზე საუბრით და მათი გამჟღავნებით ისე, რომ არ დაირღვეს სახელმწიფო საიდუმლოებები (Howard, 2008).

არასწორი აღქმის გამოსწორება: ორი მხარის ერთმანეთის მიმართ არასწორ აღქმის შესწავლით და მოხსენებით, მედია მოუწოდებს მოწინააღმდეგე მხარეებს გადახედონ თავიანთი შეხედულებები და მიუახლოვდნენ კონფლიქტის შემცირებას (Howard, 2008).

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, ჟურნალისტების მიერ კონფლიქტის მხარეების ადამიანად გადაქცევა, რაც გულისხმობს მეორე მხარის გაცნობას, როგორც სახელობით ისე მათი ვიზუალური გამოსახულებით.

ძირითადი ინტერესების იდენტიფიცირება: კონფლიქტის დროს ორივე მხარემ უნდა გაიგოს მეორის ძირითადი ინტერესები. კარგი რეპორტაჟი ამას აკეთებს მკაცრი კითხვების დასმით და ლიდერების ნათქვამის რეალური მნიშვნელობის ძიებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კარგი მოხსენება ასევე სცილდება ლიდერების ინტერესებს და ეძებს უფრო დიდი ჯგუფების ინტერესებს.

ემოციური გამოსავალი: უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტის მოგვარებისას, უნდა არსებობდეს საშუალება, რომ თითოეულმა მხარემ გამოხატოს თავისი წყენა ან რისხვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იმედგაცრუებულნი აფეთქდებიან და სიტუაციას გააუარესებენ. აქედან გამომდინარე მედიას შეუძლია უზრუნველყოს მნიშვნელოვანი საშუალებები ორივე მხარის საუბრის მიცემით. (Şahin, 2021).

უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტის დროს პრობლემის სხვაგვარად აღწერამ შეიძლება შეამციროს დამაბულობა და დაიწყოს მოლაპარაკებები, რაც არსებითად ჟურნალისტის მაღალპროფესიონალიზმის დამსახურებას წარმოადგენს. როდესაც ორი მხარე ცდილობს კონფლიქტის მოგვარებას, მათ უნდა დაამზიდონ თავიანთი მხარდამჭერების შიში, აქედან

გამომდინარე მედია საშუალებას აძლევს კონფლიქტში მყოფ ლიდერებს განახორციელონ ქმედებები კონსენსუსის მისაღწევად.

ძალთა ბალანსის წახალისება: კონფლიქტურ ჯგუფებს, განურჩევლად უთანასწორობისა, უნდა სჯეროდეთ, რომ მათ ყურადღებას მიაქცევენ, თუ ისინი შეხვედებიან მეორე მხარეს მოლაპარაკებებში. კარგი ჟურნალისტიკა ხელს უწყობს მოლაპარაკებას, ჟურნალისტი ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებს, რომლის მიზანსაც ძალთა ბალანსის წახალისება და კონფლიქტის დარეგულირება წარმოადგენს. ასეთ დროს ჟურნალისტი ყურადღებას აქცევს ყველა მხარის პოზიციას. აქედან გამომდინარე ჟურნალისტი ხელს უწყობს ძალთა ბალანსს საჩივრების მოსმენისა და გადაწყვეტილებების ძიების მიზნით. (Şahin, 2021).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდებით, ჟურნალისტიკა საზოგადოებას უფრო კარგად აცნობს ძალადობის მიღმა არსებული კონფლიქტის შესახებ და შეუძლია დაეხმაროს მის მოგვარებაში.

საომარი მოქმედებების დროს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა გადამოწმებულ და სანდო ინფორმაციის მიწოდებას, ასევე პოსტკონფლიქტურ პერიოდში დიდი როლი ენიჭებათ მედიის წარმომადგენლებს ნდობის აღდგენის კუთხით. სხვადასხვა მედია საშუალებები როგორც მსოფლიოში ისე საქართველოში კონფლიქტებთან დაკავშირებით საზოგადოებას სთავაზობენ თავიანთ ონლაინ პლატფორმებს რათა დიალოგი წარიმართოს საჯაროდ და კონსტრუქციულ რეჟიმში. (ლომაძე, მურუსიძე, ნიკურაძე, & კობახიძე, 2020). მსგავსი ფუნქცია საქართველოში რამდენიმე მედია საშუალებას აქვს: ნეტგაზეთს „სამხრეთ კავკასიის ამბების“ პროექტის ფარგლებში, ჟურნალ „ინდიგოს“, OC Media-ს და სხვა.

1.3. რელიგიური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება

იმის მიუხედავად, რომ კონფლიქტი სოციალური თუ პოლიტიკური აქტივობების სრულყოფილებიან ნაწილად აღიქმება დღევანდელ

საზოგადოებებში, მაინც საჭიროა დიდი სიფრთხილე, რათა არ გადაიზარდოს იგი ძალადობაში. რადგან კონფლიქტი დინამიური პროცესია, მუდმივად სხვადასხვა ფორმას იძენს, გადის ესკალაციისა და დეესკალაციის სხვადასხვა ეტაპს, ახასიათებს რთული კომბინაციები და გაუთვალისწინებელია შედეგი. კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ მას შემდეგ მიიღწევა, როცა კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთი მხარე გადადგამს ნაბიჯს დადებითისკენ და შეიცვლება **სტატუს-კვოც**. კონფლიქტი შესაძლოა წარმოიშვას ნებისმიერ დონეზე–ოჯახური, მუნიციპალური დონე, პოლიტიკური, ქვეყნებს შორის (Gelfand & Bui-Wrzosinska, 2013)...

ჟურნალისტი კონფლიქტის შესწავლას მისი დაწყების მიზეზის კვლევით იწყებს, თუმცა ეს ძალიან რთული საქმეა. შესაძლოა ვერც ვერასდროს მოახერხოს ამ მიზეზების იდენტიფიცირება. უნდა ვაღიაროთ, რომ ხელისუფლებაში მყოფი გუნდისთვის, ზოგადად, უფრო მარტივია ეთნიკური, კულტურული და რელიგიური განსხვავებების მქონე ადამიანების მობილიზება. ამიტომაცაა, რომ მსოფლიო კონფლიქტების უმეტესობა ხდება სწორედ იქ, სადაც სწორედ ეთნიკური და რელიგიური მრვალფეროვნებები თანაარსებობენ. კონფლიქტებს ერთი საერთო თვისება ნამდვილად გააჩნიათ: ისინი წარმოიქმნებიან განსხვავებული მიზეზების და მიზნების გამო და პროცესში იცვლება როგორც ფორმები, ასევე ესკალაციის დონეები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტის ხუთი ძირითადი მიზეზი არსებობს: ინფორმაციული კონფლიქტი, ღირებულებების კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი, ურთიერთობების კონფლიქტები და სტრუქტურული კონფლიქტები. (Sylvester, 2004). ინფორმაციული კონფლიქტები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ადამიანებს აქვთ განსხვავებული ან არასაკმარისი ინფორმაცია, ან არ ეთანხმებიან იმას, თუ რა მონაცემებია შესაბამისი. საკმარისად დროის დათმობა, პატივმოყვარე გარემოში, რომელსაც ხელს უწყობს ნეიტრალური პირი, შეუძლია მხარეებს საშუალება მისცეს გაარკვიონ ინფორმაციის

უთანასწორობა. (Sylvester, 2004). ღირებულებების კონფლიქტი იქმნება მაშინ, როდესაც ადამიანებს აქვთ აღქმული ან რეალურად შეუთავსებელი რწმენის სისტემები. როდესაც ადამიანი ან ჯგუფი ცდილობს თავისი ფასეულობები მოახვიოს სხვებს ან ითხოვს ექსკლუზიურ უფლებას ღირებულებების ერთობლიობაზე, წარმოიქმნება დავა. მიუხედავად იმისა, რომ ღირებულებები შეიძლება შეთანხმების გარეშე იყოს, ისინი შეიძლება განიხილებოდეს და ადამიანებს შეუძლიათ ისწავლონ ერთმანეთთან მშვიდობიანად და თანმიმდევრულად ცხოვრება. აქვე უნდა აღინიშნოს, ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც გამოწვეულია კონკურენციით აღქმულ ან რეალურ შეუთავსებელ საჭიროებებზე. ასეთი კონფლიქტები შეიძლება წარმოიშვას ფულის, რესურსების ან დროის საკითხებზე. უნდა აღინიშნოს, რომ შუამავალს შეუძლია დაეხმაროს იდენტიფიცირების გზების, პოვნაში, რათა დააკავშიროს ინტერესები და შექმნას შესაძლებლობები ორმხრივი სარგებლისთვის. ურთიერთობის კონფლიქტი ხდება მაშინ, როდესაც არის არასწორი აღქმა, ძლიერი უარყოფითი ემოციები ან ცუდი კომუნიკაცია. ერთი ადამიანი შეიძლება არ ენდოს მეორეს და სჯეროდეს, რომ სხვისი ქმედებები მოტივირებულია ბოროტებით ან მეორის ზიანის მიყენების განზრახვით. ურთიერთობის კონფლიქტები შეიძლება მოგვარდეს იმით, რომ თითოეულ ადამიანს უწყვეტი დრო დაეთმოს, რათა ისაუბროს საკითხებზე და უპასუხოს სხვა პირის შემფოთებას. სტრუქტურული კონფლიქტები გამოწვეულია სხვების მიმართ განხორციელებული ჩაგვრის ქცევით. შეზღუდული რესურსები ან შესაძლებლობებით, ისევე როგორც ორგანიზაციული სტრუქტურები ხშირად ხელს უწყობენ კონფლიქტურ ქცევას. მხარეებმა შესაძლოა ისარგებლონ შუამავლობით, რადგან ფორუმი ხელს უწყობს ძალაუფლების დისბალანსის განეიტრალებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალური კონფლიქტის სხვადასხვა სახე არსებობს და უმეტესობას კავშირი აქვთ ერთმანეთთან. შეიძლება ისიც ვთქვათ, რომ გადადიან კიდევ ერთმანეთში. მაგ.: არსებობს ეთნოპოლიტიკური, სამართლებრივ – პოლიტიკური, საერთაშორისო,

სამხედრო კონფლიქტები.. ამიტომ მათი განხილვა საკმაოდ მოცულობითია და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, უნდა მოხდეს სოციალური კონფლიქტი სუბიექტების გამოყოფის მიხედვით. თუ ისევ კ. ბოლდუინგს დავიმოწმებთ, კონფლიქტები იყოფიან სამ ჯგუფად: მიმდინარე ინდივიდუალურ, ჯგუფურ და ორგანიზაციულ დონეზე. მნიშვნელოვანია სათითაოდ განვიხილოთ კონფლიქტის სახეები, რაც საშუალებას მოგვცემს გავიაზროთ კონფლიქტის ბუნება და მახასიათებლები.

სოციალური კონფლიქტის თეორია არის მაკრო ორიენტირებული პარადიგმა სოციოლოგიაში, რომელიც განიხილავს საზოგადოებას, როგორც უთანასწორობის ასპარეზს, რომელიც წარმოშობს კონფლიქტს და სოციალურ ცვლილებებს. ამ პერსპექტივის ძირითადი ელემენტებია ის, რომ საზოგადოება სტრუქტურირებულია ისე, რომ მცირე ნაწილი სარგებლობს უმრავლესობის ხარჯზე და ისეთი ფაქტორები, როგორცაა რასა, სქესი, კლასი და ასაკი, რაც დაკავშირებულია სოციალურ უთანასწორობასთან. სოციალური კონფლიქტის თეორეტიკოსისთვის, ეს ყველაფერი ეხება დომინანტური ჯგუფის წინააღმდეგ უმცირესობათა ჯგუფების ურთიერთობებს (Simon, 2016). კონფლიქტს შეიძლება ჰქონდეს მრავალი ფორმა და მოიცავდეს ბრძოლას სხვადასხვა ტიპის რესურსებზე, მათ შორის სტატუსზე. თუმცა, კონფლიქტის ფორმალურ თეორიას თავისი საფუძველი ჰქონდა კლასობრივი კონფლიქტის ანალიზში და მესაკუთრისა და მოიჯარეის მაგალითი შეიძლება გავიგოთ კლასობრივი კონფლიქტის თვალსაზრისით. კლასობრივი კონფლიქტის დროს მფლობელებს სავარაუდოდ ექნებათ შედარებითი უპირატესობა არამფლობელებთან შედარებით. მაგალითად, სამართლებრივი სისტემა, რომელიც ემყარება მესაკუთრესა და მოიჯარეს შორის ურთიერთობას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კონფლიქტის თეორეტიკოსები თვლიან, რომ მესაკუთრესა და მოიჯარეს შორის ურთიერთობა აგებულია ძირითადად კონფლიქტზე და არა ჰარმონიაზე. სოციალური კონფლიქტის თეორეტიკოსის/მარქსიზმის თვალსაზრისით სოციალური კლასი და უთანასწორობა ჩნდება იმის გამო,

რომ სოციალური სტრუქტურა დაფუძნებულია კონფლიქტებსა და წინააღმდეგობებზე. ინტერესებში დაპირისპირება და ჯგუფებს შორის მწირი რესურსების გამო კონფლიქტი წარმოადგენს საზოგადოების საფუძველს, სოციალური კონფლიქტის თეორიის მიხედვით. (Marx & Engels, 1848). სოციალური კონფლიქტის თეორეტიკოსები თვლიდნენ, რომ საზოგადოების სხვადასხვა ინსტიტუტები, როგორცაა სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემა, არის მმართველი კლასის დომინირების ინსტრუმენტები და ემსახურება მათ ინტერესებს.

სამხედრო კონფლიქტი: სამხედრო კონფლიქტები მსოფლიოში ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება, რაც საკაცობრიო განვითარებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. სამხედრო კონფლიქტების შესწავლა და გაშუქება მედია საშუალებების მხრიდან მოითხოვს მაღალ პროფესიონალიზმს და საკითხის სრულფასოვან ფლობას. აქვე უნდა აღინიშნოს, კონფლიქტის საერთაშორისო ურთიერთობებში. ლოპესი და ჯონსონი (2019) განიხილავენ კონფლიქტს და ომს პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების პერსპექტივიდან. ისინი იწყებენ აღნიშვნით, რომ ომის „შესწავლა“ დაიწყო თითქმის მისი პრაქტიკისთანავე. (Keeley, 1996). ომის ყველა წამყვანი თეორია პოლიტიკურ მეცნიერებაში ფოკუსირებულია სამი ტიპის ცვლადზე, რომელიც გავლენას ახდენს ომის დაწყებაზე: საერთაშორისო სისტემის ატრიბუტები, სახელმწიფოთა შიდა ორგანიზაციის ატრიბუტები და ინდივიდების. მეცნიერთა აზრით 1945 წლიდან სახელმწიფოთაშორისი ომები კლებულობს, ხოლო შიდასახელმწიფოებრივი ომების (სამოქალაქო ომების) რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დაკვირვება არის ის, რომ მშპ არის სამოქალაქო კონფლიქტის თანმიმდევრული (ნეგატიური) კორელატი. აქვე უნდა განვიხილოთ ფსიქოლოგიური კვლევა ჯგუფთაშორის კონფლიქტზე. ჯგუფთაშორის კონფლიქტი სოციალურ ფსიქოლოგიაში საუკუნის პრობლემად იქნა დასახელებული. (Fiske, 2002). კონფლიქტი განიმარტება,

როგორც „აღქმული მიზნების ან ღირებულებების შეუთავსებლობა ორ ან მეტ ინდივიდს შორის, რომელიც ჩნდება იმის გამო, რომ ჩართული პირები თავს აფასებენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წევრებად. ჯგუფთაშორისი კონფლიქტის ყველაზე გავლენიან ფსიქოლოგიურ თეორიებს მიეკუთვნება პიროვნების თეორიები, რეალისტური ჯგუფის კონფლიქტის თეორია, სოციალური იდენტობის თეორია, ინტეგრირებული საფრთხის თეორია. (Kimbrough & Sheremeta, 2019). აღნიშნული თეორიების შესამოწმებლად, ფსიქოლოგები, პირველ რიგში, ეყრდნობიან ექსპერიმენტებს და ინდივიდუალურ ქცევის ზომებს. კონფლიქტების ფსიქო-სოციალური ბუნების და ტიპების განხილვისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ ეთნო კონფლიქტები, სადაც თითოეულ საზოგადოება დაჯილდოებულია სიმდიდრის შემქმნელი აქტივებით, როგორცაა მიწა და მინერალური რესურსები, ან სიმდიდრის გადანაწილებადი აქტივები, როგორცაა სახელმწიფოს კონტროლი. აღნიშნულიდან გამომდინარე რესურსებისთვის ბრძოლა ხშირ შემთხვევაში ხდება მთავარი განპაპირობებელი ფაქტორი ეთნო კონფლიქტებში, რაც რესურსების არათანაბარ განაწილებას და მათ მიტაცებას უკავშირდება. რესურსების გარდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს კულტურული და საინფორმაციო მომზადებაც განსახილველია, რაც მნიშვნელოვან ფონს ქმნის კონფლიქტური სიტუაციების მოსამზადებლად. რესურსების სიმწირე, როგორც უკვე აღვნიშნეთ ბუნებრივად წარმოშობს კონფლიქტურ კერებს, თუმცა მათი აქტივაცია ან განეიტრალება ძალუმს ამა თუ იმ ფორმით მიწოდებულ ინფორმაციას, რომელიც განწყობას უქმნის საზოგადოებას. კონფლიქტების მიზეზებს სხვადასხვაგვარად მიეკუთვნება ერთი ან რამდენიმე მოწინააღმდეგის შიგნით არსებული ფაქტორები, სხვადასხვა ჯგუფებს შორის ურთიერთობა და სოციალური სისტემის თავისებურებები. ეს თეორიები მიუთითებს სოციალური კონფლიქტების მრავალი სახის საფუძველზე და ვარაუდობენ, რომ ისინი, ვინც კონფლიქტების შერბილებას ცდილობენ, უპირატესობას ანიჭებენ სხვადასხვა მეთოდებს, მათი თეორიული ორიენტაციის

მიხედვით. (Kimbrough & Sheremeta, 2019). სამი თეორიული ორიენტაცია უდევს საფუძვლად კონფლიქტის წარმოშობის ახსნას: კოლექტიური ქცევა, ფარდობითი დეპრივაცია და რესურსების მობილიზაცია. აღნიშნული ხელს უწყობს იმის ახსნას, თუ რატომ ჩნდება ზოგიერთი ფარული კონფლიქტი ცნობიერებაში და რატომ არ ხდება სხვები. კონფლიქტების ესკალაციისა და დეესკალაციის თეორიები ფოკუსირებულია კოგნიტურ და აფექტურ პროცესებზე, რომლებიც მიმდინარეობს მოწინააღმდეგეებს შიგნით და მათ შორის. ეს თეორიები ვარაუდობენ, რომ შუამავლებს შეუძლიათ შეეცადონ შეცვალონ პარტიზანების შეხედულებები კონფლიქტის კეროვანი წერტილის შესახებ და აცნობონ მოწინააღმდეგეებს კონფლიქტში ჩართული პროცესების შესახებ. შედეგების თეორიები ფოკუსირებულია თავად ბრძოლისა და გარე და ზოგადად სოციალური ძალების ეფექტებზე, რომლებსაც მოწინააღმდეგეები არ აკონტროლებენ. პროცესების შესახებ ცოდნა რა გავლენას ახდენს მათზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონფლიქტების მოგვარების მცდელობების ეფექტიანობის ალბათობის გაზრდისათვის.

კონფლიქტის ტიპების ძირითად კრიტერიუმად გამოყოფენ მოქმედების მიზეზს, რომელშიც გათვალისწინებულია დაპირისპირებაში მყოფი ორივე მხარის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. მკვლევართა ნაწილი, ძირითადად, გამოყოფს კონფლიქტის სამ ტიპს:

1. ინტერესთა კონფლიქტი;
2. ღირებულებებთან დაკავშირებული კონფლიქტი.
3. იდენტიფიკაციის კონფლიქტი.

ამ ჩამონათვალისაგან განსხვავებით, ბევრი ავტორი მიიჩნევს, რომ არსებობს კონფლიქტის ხუთი ტიპი. ინფორმაციული, ინსტიტუციონალური, ღირებულებით, ურთიერთობითი ანუ ურთიერთდამოკიდებულებითი, ინტერესთა კონფლიქტი (Ferguson & McKeown, 2016).

ღირებულებათა კონფლიქტი დაკავშირებულია სხვადასხვა მოვლენებთან იმისათვის არის თუ არა ცუდი და კარგი, უსამართლო და სამართლიანი, მორალური და ამორალური. უნდა ითქვას, რომ ორი საპირისპირო ღირებულება არსებობს ღირებულებითი კონფლიქტის დროს, რომელიც წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან, მაგალითად წესრიგითავესუფლება, გარეშე კონტროლი-პირადი დისციპლინა. დიდი ძალისხმევას მოითხოვს მსგავსი ტიპის კონფლიქტების დაძლევა, რადგან, როდესაც ადამიანურ ღირებულებებთან გვაქვს საქმე, კომპრომისების მიღწევა განსაკუთრებით რთულდება.

ინფორმაციული კონფლიქტები: აღნიშნული ტიპის კონფლიქტები თავს იჩენს, როდესაც სახეზე გვაქვს ინფორმაციის სიჭარბე ან ინფორმაციის სიმცირე. ამ ტიპის კონფლიქტის წარმოქმნას ხელს უწყობს ჭორებისა და სხვადასხვა სახის დეზინფორმაციის გავრცელება, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის არასრული გადმოცემა ინფორმაციის დაგვიანებით ან ნაადრევი მიწოდების შედეგად ან ინფორმაციის დამახინჯებით. (Fai, 2009).

ინსტიტუციური კონფლიქტები: ამ სახის კონფლიქტები დაკავშირებულია წესებთან, ნორმებთან და კანონებთან. კონფლიქტები მჭიდრო კავშირშია მართვის სისტემებთან, ხელისუფლების შტოებთან, რელიგიასთან, სოციალურ ნორმებთან და სტანდარტებთან და ტრადიციებთან. ამ სახის კონფლიქტების წარმოჩენა მედია საშუალებების მიერ მოითხოვს მეტი დეტალიზაციის ცოდნას და წარმოჩენას (Audi, 2020).

ინტერესთა კონფლიქტები: აღნიშნულისავე კონფლიქტები გვხვდება, როდესაც მხარეებს შორის კონკურენცია იზრდება, როდესაც სახეზე გვაქვს მოთხოვნილებების შეუსაბამობა, ასეთ შემთხვევაში დაპირისპირებულ მხარეებს შორის კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობის ალბათობა კრიტიკულად მაღალია, რაც უარყოფით შედეგებს იწვევს. აღსანიშნავია, რომ ინტერესთა კონფლიქტები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ადამიანის პირად უსაფრთხოებას, როდესაც იღვევა ერთ-ერთი მხარის მხრიდან დანაპირები ან სახეზეა უსამართლო მოპყრობა. (Fai, 2009).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახებსა თუ სხვადასხვა ჯგუფებში გვხვდება ურთიერთდამოკიდებულებითი კონფლიქტები. აღნიშნულ კონფლიქტებში ყურადღება მახვილდება მხარეთა მიზნებსა და ქცევაზე, მხარეთა შორის ნდობის საკითხზე ასევე საზოგადოებრივ დამოკიდებულებაზე.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ რაღაც დარენდორფის თეორია ძალაუფლებისა და დიალექტიკური ცვლილების შესახებ. დარენდორფი ხედავს კონფლიქტს, როგორც საყოველთაოდ არსებულ ყველა ადამიანურ ურთიერთობაში. მაგრამ დარენდორფი არ ხედავს კონფლიქტის გარდაუვალობას ადამიანის ბუნების ნაწილად. დარენდორფი წუხდა თუ როგორ შეიძლებოდა მიღწეულიყო სოციალური წესრიგი, თუმცა, იმის ნაცვლად, რომ ვივარაუდოთ კოლექტიური შეთანხმება ნორმების, ღირებულებების და სოციალური პოზიციების შესახებ, დარენდორფი ამტკიცებდა, რომ ეს არის ძალა, რომელიც განსაზღვრავს და ახორციელებს საზოგადოების სახელმძღვანელო პრინციპებს. დარენდორფი ასევე მიჰყვება კოზერს ძალადობის შესახებ არსებულ თეორიას, თუმცა დარენდორფი ამატებდა დამატებით ცვლადი: კონფლიქტის ინტენსივობას. (Dahrendorf, 2006). აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონფლიქტის შინაარსი და სტრუქტურა არსებითად დაკავშირებულია ერთმანეთთან.

მსოფლიოში ბევრი ქვეყანაა, სადაც მედია ორგანიზაციებს კონფლიქტურ სიტუაციაში უწევთ მუშაობა. აუცილებელია, რომ მათ გააგრძელონ თავიანთი საქმის კეთება, რადგან მედიას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კონფლიქტების მოგვარებაში. ადამიანების მანიპულირება ადვილი ხდება, თუ მათ არ აქვთ წვდომა ნეიტრალურ და დამოუკიდებელ ინფორმაციაზე. მედიას შეუძლია ადამიანებს მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც მათ უსაფრთხოებას შეინარჩუნებს და დაეხმარება მათ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში (Bajraktari & Parajon, 2007). მედიის გამოწვევები კონფლიქტის

გაშუქებისას ძირითადად უკავშირდება ისეთ პრობლემებს, როგორც არის კონფლიქტური ზონები, სადაც მედიისა და ჟურნალისტებისთვის რთული და საფრთხის შემცველი გარემოა. მეომარი მხარეები ხშირად ცდილობენ ხელი შეუშალონ დამოუკიდებელი ჟურნალისტების მუშაობას. ბევრი ხელისუფლების მტრულმა დამოკიდებულებამ მედიის მიმართ შეიძლება გავლენა მოახდინოს დამოუკიდებელი რეპორტაჟის წარმოებაზე მედიის წარმომადგენლებზე ზემოქმედების მოთხოვნით ქრთამის ან ცრუ ინფორმაციის მიწოდების გზით. ზოგჯერ მედია ცენზურას ექვემდებარება, ან დაშინება იწვევს თვითცენზურას. გარდა ფიზიკური უსაფრთხოების რისკებისა, როგორცაა შევიწროება და დაკავება, ასევე არსებობს ციფრული დაუცველობა. ჟურნალისტებს ხშირად არ შეუძლიათ გამოიყენონ შესაბამისი უსაფრთხო ინსტრუმენტები და პლატფორმები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკუთარი ან მათი წყაროების პირადი მონაცემების გავრცელება (Grøndahl Larsen & Krøvel, 2021). ძალადობრივი კონფლიქტის დროს საზოგადოებისთვის სანდო ინფორმაციის მიწოდება მოითხოვს დამატებით ჟურნალისტურ უნარებს. ამ ინფორმაციის მიწოდებით, ჟურნალისტიკა საზოგადოებას უფრო კარგად აცნობს ძალადობის მიღმა არსებული კონფლიქტის შესახებ და შეუძლია დაეხმაროს მის მოგვარებაში. რეპორტიორებმა უნდა იცოდნენ ამ გადამწყვეტი როლის შესახებ, რომელიც ჟურნალისტიკას შეუძლია კონფლიქტის დროს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტებისთვის კონფლიქტის გაშუქება, როდესაც ისინი ერთ-ერთი კონფლიქტური მხარის წევრები არიან, აქვს გარკვეული პროფესიული და მორალური დილემები. აღნიშნული ქმნის დამაბულობას მათ პროფესიონალიზმსა და საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის გრძნობას შორის.

კონფლიქტის გაშუქებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია განვიხილოთ რამდენიმე კვლევა, რომელიც აღწერს ჟურნალისტების მონაწილეობას მსოფლიოს სხვადასხვა კონფლიქტურ ზონაში ჟურნალისტურ საქმიანობას. ერთ-ერთ ასეთ კვლევას წარმოადგენს,

კვიპროსის თურქული და კვიპროსის ბერძნული მედიების მუშაობის ანალიზი კონფლიქტის პირობებში. კვლევა ჩატარდა კვიპროსის თურქული მედიისა და კვიპროსის ბერძნული მედიის ჟურნალისტებთან ნახევრად სტრუქტურირებულ, პირისპირ ინტერვიუებზე დაყრდნობით, ის იკვლევს ჟურნალისტების თვითრეფლექსიას მათ როლებზე და იმ ძალებზე, რომლებიც მათ მიაჩნიათ, რომ გავლენას ახდენს მათ მუშაობაზე კვიპროსის კონფლიქტის შესახებ გაშუქებისას (Sahin, 2021).

კვლევით დადგინდა თუ როგორ იმოქმედა კვიპროსში კონფლიქტურმა პირობებმა ჟურნალისტიკაზე და როგორ გააშუქეს ჟურნალისტებმა არსებული კონფლიქტური ვითარება, ასევე მათი როლებისა და ზეგავლენის მქონე ძალებზე. (Sahin, 2021). ამ კვლევისთვის ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ჟურნალისტები ერთგულნი არიან პროფესიული ღირებულებების, რომლებსაც ქონდათ ძლიერი როლური იდეალები. ამის მიუხედავად, მათ ექმნებოდათ შეზღუდვები პოლიტიკური და ეკონომიკური ცენზურის და თვითცენზურის სახით, განიცდიდნენ დამაბულობას პროფესიულ და ეთნიკური იდენტობის მხრივ. ორივე მხრიდან, ჟურნალისტებს მიაჩნდათ, რომ ქონდათ პასუხისმგებლობა, ხელი შეეწყოს პრობლემის მოგვარებისათვის. ეს პასუხისმგებლობები მათგან მოითხოვს სხვადასხვა დროს სხვადასხვა როლის შესრულებას, როგორცაა ცვლილებების ადვოკატირება ან პოლიტიკური ელიტის დაკვირვება, რომელიც წარმართავს სამშვიდობო მოლაპარაკებებს. კვლევით დადგინდა, რომ ჟურნალისტებს მიაჩნდათ, რომ იდეოლოგიური და სტრუქტურული დაბრკოლებები, როგორცაა ცენზურა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მედიის მფლობელობის ჩარევა ზღუდავდა მათ პრაქტიკას და ზოგჯერ ძირს უთხრიდა პროფესიულ ავტონომიას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მხარის ჟურნალისტიკა ჩამოყალიბდა თითოეული საზოგადოების პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და მედია კონტექსტის მიხედვით და, გარდაუვალია, არსებობდა განსხვავებები მის კონცეპტუალიზაციასა და შესრულებაში. მაგალითად, თურქული

კვიპროსის ჟურნალისტებს, რომლებიც განიცდიდნენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ შეზღუდვებს ყოველდღიურ ცხოვრებაში მათი ადმინისტრაციის საერთაშორისოდ არაღიარებული სტატუსის გამო, სურდათ უფრო აქტიური როლი შეესრულებინათ პრობლემის გადაჭრაში. რაც შეეხება ბერძნული კვიპროსის ჟურნალისტები, მეორეს მხრივ, შემფოთებულნი იყვნენ კუნძულის დაყოფით და შეზღუდვებით. კონფლიქტის მდგომარეობიდან ან ტრანზიციიდან გამომდინარე, რაშიც გადის მათი თემები, ჟურნალისტები ხელახლა აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს, რაც ასახავდა ჟურნალისტიკის მნიშვნელობასა და როლს. პროფესიული ღირებულებების ერთგული ჟურნალისტები ასევე ავლენდნენ პატრიოტიზმს თავიანთ საქმიანობაში. (Şahin, 2021). მოლაპარაკებების პროცესში ახალი ნორმების, იდეებისა და პრაქტიკის ლეგიტიმაცია შესაძლებელია, როგორც ეს ჩანდა კვიპროსის მაგალითში, სადაც ჟურნალისტები იდენტიფიცირებდნენ თავიანთ როლს, როგორც სამშვიდობო ჟურნალისტები. (Hanitzsch, 2019). აღნიშნული კვლევიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონფლიქტის მხარე ჟურნალისტებმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ დაპირისპირებულ მხარეთა შორის მშვიდობის დამყარებისა და მედიაციის საქმეში ან პირიქით, გაამწვავონ არსებული კონფლიქტი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტები ადვილად ახდენენ იდენტიფიცირებას პირების ან ჯგუფების მიერ განხორციელებული ძალადობისა და განვითარებულ კონფლიქტების, სადაც კონფლიქტში მყოფი პირები ან ჯგუფები ცდილობენ ერთმანეთის ტკივილი მიაყენონ ან მოაკვდინონ. თუმცა ჟურნალისტური პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლოა არსებობდეს სხვა სახის ძალადობა, რომელიც დიდ ზიანს აყენებს საზოგადოებას და შედარებით რთულია მისი დანახვა და ახსნა. ერთ-ერთ ასეთს წარმოადგენს კულტურული ძალადობა, როდესაც ერთი ჯგუფი წლების განმავლობაში ძალადობს მეორეზე, რაც შეძლება შეიცავდეს

ლაპარაკს, სურათებს ან რწმენას, რომლებიც განადიდებენ ფიზიკურ ძალადობას. ესეთი შეიძლება იყოს:

➤ სიძულვილის ენა: სხვადასხვა ეთნიკური თუ კულტურული ჯგუფი ღიად საუბრობს უარყოფითი შინაარსის შემცველი ტერმინებით ერთმანეთზე. ერთი ჯგუფი მეორეს ადანაშაულებს სირთულეებსა და პრობლემებში, რომლებსაც ის განიცდის. ძალადობა წახალისებულია დამნაშავე ჯგუფის აღმოსაფხვრელად;

➤ ქსენოფობია: ხალხის ან ქვეყნის სიძულვილი ან შიში სხვა ქვეყნის მიმართ ქმნის არასწორ აღქმას და ხელს უწყობს პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს კონფლიქტს ამ ქვეყანასთან;

➤ ომის გმირების მითები და ლეგენდები: საზოგადოება, რომლის პოპულარული სიმღერები და ისტორიის წიგნები ადიდებენ ერთი მხარის უძველეს გამარჯვებებს, შეუძლიათ სიძულვილის გაღვივება მეორე მხარის მიმართ;

➤ ომის რელიგიური გამართლება: სხვა რწმენის უკიდურესი შეუწყნარებლობა ხელს უწყობს კონფლიქტს;

➤ გენდერული დისკრიმინაცია: ქალების მიმართ დაუშვებელი პრაქტიკისა და კანონების დაშვება, რომელიც არ არის მიღებული მამაკაცების მიმართ, ძალადობის ფორმაა. (Sylvester, 2004).

აღნიშნული ფორმების წარმოჩენა და სათანადოდ შემჩნევა არსებითად მნიშვნელოვანია ჟურნალისტების მიერ, რათა შეძლონ კონფლიქტის გამომწვევი ნიშნების იდენტიფიცირება და საზოგადოებისათვის მიწოდება, რომლის მიზანაც კონფლიქტის პრევენცია და თავიდან არიდება უნდა იყოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრუქტურული ძალადობა არის ზიანი, რომელიც ჩაშენებულია ჯგუფის ან საზოგადოების კანონებსა და ტრადიციულ ქცევაში, რომლის ზიანი ნებადართულია ან იგნორირებულია.

ნებისმიერ კონფლიქტში იქნება ეს ოჯახში, მეზობლებს შორის, ჯგუფებს შორის ქვეყნის შიგნით თუ საზღვრებს მიღმა-გარკვეული რამ

უნდა მოხდეს კონფლიქტის დასასრულებლად. კონფლიქტი თავისთავად არ მთავრდება, აღნიშნულიდან გამომდინარე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის კომუნიკაცია. იმისათვის, რომ კონფლიქტის ორი მხარე წავიდეს არამალადობრივი გადაწყვეტისკენ, მათ ჯერ უნდა ისაუბრონ, სწორედ აქ მდგომარეობს კარგი ჟურნალისტიკის როლი, რაც კონფლიქტის დარეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტიური მონაწილეა.

თავი 2. რელიგიური კონფლიქტების ანალიზი ომის/მშვიდობის ჟურნალისტიკის პერსპექტივიდან

2.1. ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის რელიგიური ასპექტების გაშუქება მედიაში

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: ეთნიკური, ეროვნული, ისტორიული და რელიგიური. ჩვენ შემთხვევაში ყურადღება გავამახვილეთ კონფლიქტის რელიგიურ ასპექტზე. საინტერესოა, რამდენად მოქმედებს რელიგია კონფლიქტში მონაწილე აქტორების იდენტობაზე, პოლიტიკასა და დამოკიდებულებებზე.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ისლამთან და იუდაიზმთან დაკავშირებული რამდენიმე რელიგიური ფაქტორი, რომლებიც საზიანოა ორივე მხარისათვის. ისრაელში ექსტრემალური რელიგიური სიონისტები ხისტები არიან არაბთა მიმართ და დათმობის პოლიტიკას სრულიად გამორიცხავენ. ამავდროულად, პალესტინის ისლამისტური ჯგუფებიც მხარს უჭერენ „წმინდა“ ტერიტორიებისა და ადგილების გათავისუფლების აუცილებლობას და ქადაგებენ ძალადობასა და სიძულვილს ისრაელისა და ებრაელი ხალხის წინააღმდეგ. დამაბულობას კიდევ უფრო ართულებს ორივე მხარის ადგილობრივი მედიები.

თავის დროზე მხარეებს შორის ვითარება დამაბულობა მედიაში გავრცელებულმა ჭორმა იმის შესახებ, რომ არსებობდა „ებრაული გეგმა“, რომლის თანახმადაც მოხდებოდა ალ-აქსას მეჩეთის განადგურება და მის ნარჩენებზე ებრაული ტაძრის აშენება.

აღნიშნულ საკითხზე 2021 წელს პალესტინაში გამოქვეყნდა სტატია; ჟურნალისტიკა თავისი მოსაზრების დასტურად გამოიყენა სიტყვები ერთ-ერთი ებრაელისა (ოლონდ უცნობია, არსებობს თუ არა ეს ებრაელი რეალურად ბუნებაში): „მე არ მაქვს ასეთი განზრახვა, რადგან ღმერთი გააკეთებს ამას“. „ღმერთი, ჩააქრობს ალ-აქსას მეჩეთს და მის ნაცვლად

დედამიწაზე მესამე ტაძარს ააშენებს.“ „ყველაფერი, მათ შორის ალ-აქსა, ეკუთვნის ებრაელებს, რადგან ღმერთმა შექმნა სამყარო მხოლოდ თავისი წმინდა ხალხისთვის, ებრაელებისთვის (Nurduz, 2021).“

აღნიშნულ საკითხზე არაერთი პროვოკაციული სტატია გამოქვეყნდა; მათ შორის გამორჩეულია 2023 წლის აპრილში გამოქვეყნებული სტატია (muslimmirror.com, 2023), სადაც საუბარია აქსას მეჩეთის შეურაცხყოფასა და მეჩეთის დანგრევის გეგმაზე. ჟურნალისტი აშკარად მხარეს წარმოადგენს; იგი, უბრალოდ, ამბავს კი არ ჰყვება, არამედ ამბაფრებს მოვლენებს ისეთი სიტყვებით, როგორცაა „უმოწყალო“, „სასტიკი“ და ა.შ. - „ისრაელის პოლიციამ ჩაამსხვრია კარები და ფანჯრები ალ-აქსაში შესასვლელად და უმოწყალოდ თავს დაესხა მლოცველებს.“ ამის შემდეგ ახსენებს მკითხველს, რომ: „ალ-აქსას მეჩეთი ისლამური ადგილია, სადაც ათწლეულების განმავლობაში გრძელვადიანი საერთაშორისო შეთანხმებების თანახმად, აკრძალულია არამუსლიმების მიერ არასასურველი ვიზიტები, ლოცვები და რიტუალები.“ თუმცა, პალესტინელებს ალ-აქსას მეჩეთში მხოლოდ გარკვეული დროით უშვებენ, რის გამოც შიშობენ, რომ საფუძველი ეყრება მეჩეთის გაყოფას მუსლიმებსა და ებრაელებს შორის, ისევე როგორც იბრაჰიმის მეჩეთი ჰებრონში იყო გაყოფილი 1990-იან წლებში. ამასთან, ისრაელის მიერ აღმოსავლეთ იერუსალიმის, მათ შორის ძველი ქალაქის კონტროლი, არღვევს საერთაშორისო სამართლის რამდენიმე პრინციპს, რომელიც ითვალისწინებს, რომ ოკუპანტ სახელმწიფოს არ აქვს სუვერენიტეტი მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და არ შეუძლია იქ რაიმე მუდმივი ცვლილებების შეტანა. ისრაელის ჯარისკაცებმა რამადანის დროს ხელკეტები გადაამტვრიეს პალესტინელ მლოცველებს ალ-აქსას მეჩეთის ალ-ქიბლის სალოცავ დარბაზში, რამაც მთელი მსოფლიოს აღშფოთება გამოიწვია. სტატიას ჟურნალისტი ასრულებს შემდეგი სიტყვებით: „ებრაული ბარბაროსობის წინაშე პალესტინელები რჩებიან ყველაზე დაჩაგრულ და მამაც მებრძოლებად კაცობრიობის ისტორიაში.“

(muslimmirror.com, 2023) ამ სიტყვებით ავტორი თითქოს ბრძოლისაკენ მოუწოდებს პალესტინელებს. მედიის ამგვარი პროვოკაციული მიდგომა უდავოდ სახიფათოა, რაც დადასტურდა კიდევ ცნობილი, ტრაგიკული მოვლენების განვითარებით.

ჰამასის განცხადებით, წმინდა ადგილის დასაცავად დაიწყო „ალ-აქსას ქარიშხალი“ - შეტევა ისრაელზე; მათი სამიზნე იყო ასობით ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოსახლეობა. აღსანიშნავია, რომ შენობაში ლოცვის უფლება დღემდე აქვთ მხოლოდ მუსლიმებს იმ სტატუს კვოს შეთანხმებით, რომელიც საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაიდო (Raine, Lau, & Berlinger, 2023).

მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო ორგანიზაცია The New Humanitarian, რომელიც დეკოლონიზებული საერთაშორისო ჟურნალისტიკის ფორმების შექმნას ცდილობს, მიმოიხილავს ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში მედიის გაშუქების სტანდარტებს (The New Humanitarian, 2023).

ორივე მხარეზე წარმოდგენები გვექმნება უმეტესწილად მედიასაშუალებებით. მედიათა უმრავლესობა გაშუქებისას აღნიშნავს, რომ პალესტინელები „იღუპებიან“, ხოლო ებრაელებს - „კლავენ“.

ცხადია, ჰამასი, რომელიც მართავს ღაზას სექტორს, პასუხისმგებელი იყო 7 ოქტომბერს ისრაელის მშვიდობიან მოქალაქეთა მკვლელობასა და მძევალთა აყვანაზე. თუმცა, ამის შემდეგ ისრაელის მთავრობაც იყო პასუხისმგებელი პალესტინელი მშვიდობიანი მოქალაქეების მკვლელობაზე. გაეროს მონაცემებით, 7 ოქტომბრამდე, 2008 წლიდან მოყოლებული, 3803 პალესტინელი მშვიდობიანი მოქალაქე იქნა მოკლული, ხოლო ისრაელის - 177 მშვიდობიანი მოქალაქე.

საინტერესოა, რომ პალესტინელებს, რომლებიც ამერიკული ან ბრიტანული ტელევიზიებით გამოდიან, ხშირად სთხოვენ, დაგმონ ჰამასი. ჰუსამ ზომლოტმა, პალესტინის მისიის ხელმძღვანელმა, BBC-ის პირდაპირ ეთერში აღნიშნა: „რამდენჯერ ჩაიდინა ისრაელმა დანაშაული თქვენი

კამერებიდან პირდაპირ ეთერში? როდესმე თუ გითხოვიათ მათთვის საკუთარი თავის განსჯას? თქვენ ამას არ აკეთებთ.”

მედიაში რელიგიური კონფლიქტების გამუქებისას უმთავრესია, სწორად გამოვიყენოთ ტერმინები; მაგალითად -

„ტერორიზმი“ თუ „თვითდაცვა“?

როგორ გადავწყვიტოთ, როდის გამოვიყენოთ სიტყვა „ტერორიზმი“?

მნიშვნელოვანია, რომ „BBC“ არ უწოდებს ჰამასის მებრძოლებს ტერორისტებს სწორედ იმიტომ, რომ „ტერორიზმი არის სიტყვა, რომელსაც ადამიანები იყენებენ იმ ორგანიზაციის აღსაწერად, რომელსაც მორალურად არ ეთანხმებიან“. „BBC“-ის საქმე არ არის, ხალხს უთხრას, ვის დაუჭირონ მხარი და ვინ დაგმოს; ვინ არიან კარგი ბიჭები და ვინ - ცუდები“, - წერს ვეტერანი კორესპონდენტი - ჯონ სიმფსონი. „ჩვენ არ ვიჭერთ რომელიმე მხარეს. ჩვენ არ ვიყენებთ ისეთ სიტყვებს, როგორცაა „ბოროტი“ ან „მშიშარა“.

ვფიქრობთ, სხვებმა უნდა მიბადონ ამ მაგალითს.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2006 წელს ტერორიზმი განსაზღვრა, როგორც „დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც გამიზნულია ან გათვლილია ტერორის მდგომარეობის პროვოცირებაზე ფართო საზოგადოებაში, პირთა ჯგუფში ან კონკრეტულ პირებში პოლიტიკური მიზნებისთვის“.

როგორც ანჯელა დევისი წერს, თავისუფლება მუდმივი ბრძოლაა: „პალესტინის თავისუფლებისა და თვითგამორკვევისთვის ბრძოლის მნიშვნელოვანი საკითხები კი დღეს მინიმუმამდეა დაყვანილი“.

პალესტინელი პროფესორის - ნადა ელიას აზრით, მედია ხელს უწყობს, პალესტინელები წარმოაჩინოს, როგორც „თავდამსხმელები, დამპყრობლები, ოკუპანტები“ და არა დეკოლონიურ ბრძოლაში ჩართული ხალხი.

ჟურნალისტები ვალდებულნი ვართ, დავიცვათ ორივე მხარის გადამოწმებული ფაქტები; მოვლენებს მივცეთ უფრო ფართო,

კონფლიქტების ისტორიული პერსპექტივა, რაც აუდიტორიას დაეხმარება მოვლენების სწორად აღქმასა და გააზრებაში.

2.2. რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილი დაპირისპირებები საქართველოში

საქართველოში, უძველესი დროიდან, სხვადასხვა რელიგიური კულტურა კვეთდა ერთმანეთს. რელიგიური მრავალფეროვნებაც ჩვენი ქვეყნის კულტურული სიმდიდრეა. საქართველოში რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილი არაერთი კონფლიქტი გვხვდება. განსაკუთრებით ხშირია რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება აჭარისა და გურიის რეგიონებში, რაც გამოწვეულია სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანთა სიმრავლით. აჭარის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ნაწილისთვის, ისლამი იდენტობისა და კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რეგიონში ქრისტიანობის გავრცელების აგიტაცია დაიწყო. ბოლო 3 ათწლეულის განმავლობაში, რეგიონში ადგილი აქვს რელიგიურ ტრანზორმაციას. მუსლიმი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, საკმაოდ მოკლე დროში მიიღო ქრისტიანობა. საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის კი რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი მუსლიმი იყო (ლაილსი, 2012).

პრობლემის ისტორიული კვლევისთვის საჭიროა, აქცენტი გავაკეთოთ გაზეთ „დროებასა“ (1866-1985) და სერგეი მესხზე (1845-1883), რომელიც უპირობოდ შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ საუკეთესო მკვლევრად ჩვენს რეალობაში სწორედ რელიგიური კონფლიქტების მიმართულებით. მეტიც, აჭარის ისტორიულსა და გეოგრაფიულ არეალში დაბრუნებაში სერგეი მესხმა, როგორც რედაქტორმა და პუბლიცისტმა, უდიდესი როლი შეასრულა. დავაკვირდეთ, რას ახსენებდა ის ქართველ მკითხველებს, როგორ კონტექსტში „აწვდიდა“ ქართულ მართლმადიდებლურ საზოგადოებას აჭარელ მუსლიმებს -

„თქვენ შესაძლებელია, არ იცოდეთ, რომ ოსმალს საქართველოს თქვენზე აქვს სასოება და ცისქვეშეთში არავის შესცქერის თავის იმედათ! გახსოვდეთ თქვენი ძმები!“

ეს „მახსოვრობა“ გადაურჩინა სწორედ მართლმადიდებლურ საქართველოს სერგეი მესხმა ოსმალს საქართველოზე და წლების მანძილზე აჭარა „დროების“ ფურცლებიდან „აქცია“ დანარჩენი საქართველოს უპირობო გეოგრაფიულ, კულტურულ, რელიგიურ, პოლიტიკურ ნაწილად.

ამიტომ განსაკუთრებით სიფაქიზით უნდა მივუდგეთ აჭარის თემას დღესაც.

აჭარაში მცხოვრები მუსლიმი თემისთვის ისლამი წინაპართა მიერ დატოვებული ის ძვირფასი მემკვიდრეობაა, რომელიც რწმენა-წარმოდგენებსა და ტრადიციებს ერწყმის. არც თუ ისე შორეულ წარსულში აჭარიდან ეკომიგრანტის სტატუსით წასული მოსახლეობა გურიის რეგიონში დასახლდა, რომელთა ნაწილი აღმსარებლობით მუსლიმია. მათ მიერ სალოცავის მოწყობას თუ სალოცავის მოწყობის მცდელობას კი არაერთხელ მოჰყვა ინციდენტი.

2021 წელს ჩოხატაურის სოფელ ბუკნარში მოსახლეობა რელიგიურ ნიადაგზე ერთმანეთს დაპირისპირება, მუსლიმური სალოცავის არსებობის გამო.

აღსანიშნავია, რომ ქრისტიანები და მუსლიმები ბუკნარში, შერეულად არიან დასახლებული. მათ შორის არც მატერიალური და სოციალური განსხვავებები არსებობს, მაგრამ ორივე თემი, მეორე მხარეს უფრო პრივილეგილებულად მიიჩნევს (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021).

მეჩეთის მშენებლობის საკითხზე, ბუკნარში მცხოვრები მუსლიმები 2012 წლიდან საუბრობდნენ. 2020 წელს სოფელ ბუკნარში მცხოვრებმა მუსლიმებმა, თანხა შეაგროვეს და სოფლის ცენტრიდან მოშორებით, სალოცავის მოწყობის მიზნით, სახლი შეიძინეს. ამ ფაქტმა უკმაყოფილება გამოიწვია და ვითარება დაძაბა ქრისტიან და მუსლიმ მოქალაქეთა შორის.

იმავე საღამოს 2021 წლის 12 იანვარს „ტვ პირველის“ 20:00 საათიან გამოშვებაში, 07:40 წუთზე შემთხვევის ადგილიდან პირდაპირ ეთერში ჩაერთო რეპორტიორი. რეპორტიორი წამყვანს უდასტურებს რომ ქრისტიან და მუსლიმ თემს შორის, კრიტიკულ ზღვარზე იყო დაპირისპირება და ერთგვარად აფასებს მოვლენებს, რომ „პროგნოზირებდა რთულ პროცესებს, თუ შესაბამისი სტრუქტურები, საქმეში დროულად არ ჩაერთვებოდნენ.“ სიუჟეტის სათაური იყო „დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე“ ვიდეო მასალაში, მოსახლების შემდეგი კომენტარები ისმოდა: მუსლიმები თავს დაზარალებულად თვლიდნენ, რომ მათ ფიზიკურად დაუპირისპირდნენ და რამდენიმე ახალგაზრდას მიყენებული დაზიანების გამო, თავზე ნაკერები დაადეს; არ ეძლეოდათ მუსლიმური სალოცავის მოწყობისა და ლოცვის საშუალება. სიუჟეტში ისმის სოფლის ერთ-ერთი მცხოვრები ქალის კომენტარი „ქრისტიანული წესი სხვა არის, მუსლიმური სხვა. ჩვენ ვითხოვთ სალოცავს! უნდა ვილოცოთ! ხელს გვიშლის ადგილობრივი ბუკნარის მოსახლეობა! აქ საინტერესოა ის გარემოება, რომ მუსლიმი თემის წარმომადგენელი, თავადვე უწოდებს ქრისტიანი თემის წარმომადგენლებს - ადგილობრივებს, ალბათ იმიტომ რომ ისინი მათზე ადრე ცხოვრობდნენ ბუკნარში (ტვ პირველი) . უნდა ითქვას, რომ „ტვ პირველის“ ეთერში, დაპირისპირებული მხარეების პოზიციები ვრცლად მოისმინა მაყურებელმა. თითქმის 6 წუთის შემდეგ, კადრში ისევ შემოდის კორესპონდენტი, რომლის თქმით, მუსლიმებს არჩევნების წინ სალოცავის აშენების დაპირება მისცეს, ხოლო შემდეგ რეპორტიორი საკუთარ სათქმელს ამბობს : „ არჩევნების შემდეგ, ეს ადამიანები ყველას ავიწყდება.“

გურიის რეგიონში მომხდარი ინციდენტის შესახებ საუბარი, რუსთავი 2-ის საინფორმაციო გამოშვება კურიერის 12:00 საათიანი გამოშვების მე-19 წუთზე იწყება. წამყვანმა მაყურებელს იმ დროისთვის არსებული ვითარების შესახებ მოუთხრო, ამბის სათაურია „დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე“ წამყვანის ტექსტის შემდეგ, უფრო მეტი დეტალის მოსაყოლად, პირდაპირ ეთერში რეპორტიორი ჩაერთო, რომელმაც 2

ადგილობრივი მცხოვრების კომენტარი მოასმენინა მაყურებელს, მასალის ხანგრძლივობა ჯამში 02:10 წუთი იყო.

იმავე დღის 12:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში, 32-ე წუთზე დაიწყო თემაზე საუბარი ტელეკომპანია „ფორმულამ“ მასალას კი 03:12 წუთი დაეთმო. ჟურნალისტი სოფელ ბუკნარიდან ერთვებოდა პირდაპირ ეთერში, საუბრის დასაწყისშივე ამბობს „ამ დრომდე ადგილზე ხელისუფლების წარმომადგენლები არ ჩასულან“ რის შემდეგაც ამბის წინარეისტორიას მოუთხრობს მაყურებელს, რომ მუსლიმებმა სალოცავის მოსაწყობად, რამდენიმე თვით ადრე შეიძინეს სახლი, ქრისტიანები კი მათ არ აძლევდნენ სურვილის განხორციელების საშუალებას, რაც თემებს შორის დაპირისპირების მიზეზი გახდა. მასალაში ვისმენტ ადგილობრივების კომენტარებს, ბოლოს კი ჩართვას, ერთგვარ რეზიუმეს უკეთებს კორესპონდენტი და მაყურებელს ისევ ეუბნება, რომ მოსახლეობა ხელისუფლების ჩართულობას ელოდება.

13 იანვარს, სოფელ ბუკნარში რომ ვითარება დაიძაბა, ტელეკომპანი „იმედი“ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკის“ 17:00 საათიან ეთერში, ამბის შესახებ საუბარი, მე-19 წუთიდან იწყებდა და მას 02:37 წუთი დაეთმო (ტელეკომპანია იმედი, 2021). ტვ ფორმულას, საინფორმაციო გამოშვებების წამყვანი კი ამბის შესახებ საუბარს გადაცემის დასაწყისშივე იწყებს, არსებული სურათის აღსაწერად კი ტელეკომპანია გვთავაზობს 2 ფანჯარას, რომლებშიც დაპირისპირებული მხარეებია ნაჩვენები. კორესპონდენტი ამბობს, რომ ვითარება მნიშვნელოვნადაა დაძაბული. ამის შემდეგ მონტაჟის გარეშე, პირდაპირ ეთერში შემოჰყავს მოქალაქეები. რეპორტიორი ისევ ახსენებს ხელისუფლებას და პირდაპირ ეთერში ინტერვიუს დროს, კითხულობს : რას დაპირდნენ საარჩევნოდ, როცა მათთან ჩავიდნენ? სოფელ ბუკნარიდან რეპორტიორის პირდაპირ ჩართვას 8 წუთი დაეთმო. ჟურნალისტის ჩართვის შემდეგ, გადაცემა ისევ, ბუკნარის თემით გაგრძელდა, სადაც სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების კომენტარები შესთავაზეს

მაყურებელს, ჯამში კი 17:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში, ბუკნარის მოვლენებს 13 წუთი დაეთმო. გადაცემა სხვა თემებით გაგრძელდა, თუმცა მცირე ჩარჩოში, გამოშვების დასრულებამდე ისევ ჩანდა სოფელი ბუკნარი (ტვ. ფორმულა, 2021).

13 იანვარს, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის 15:00 საათიან გამოშვებაში გადაცემის მე-17 წუთიდან იწყება ამბის შესახებ საუბარი. სოფელ ბუკნარიდან რეპორტიორის იმიტირებული ჩართვაა (ანუ წინასწარ ჩაწერილი) ქრონომეტრაჟი 4 წუთი იყო, მასალაში ისმოდა ადგილობრივების პოზიცია, რომლებიც დაპირისპირების მიზეზებზე საუბრობდნენ, ასევე გაჟღერდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის კომენტარი. რეპორტაჟის სათაური იყო : „დაპირისპირება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში“ ჟურნალისტის ჩართვის დასრულების შემდეგ, „მომბე“ ბუკნარის მოვლენებზე საუბრით გაგრძელდა, უკვე წინა დღეს მომხდარი დაპირისპირების შესახებ, შემდეგი სათაურით : „დაკავება გურიაში“ (მომბე, 2021) . სოფელ ბუკნარში განვითარებული მოვლენები პირველი არხის, მოამბის დღის მთავარ 21:00 საათიან გამოშვებაში, პირველი ამბავი იყო. ხანგრძლივობა 07:00 წუთი, მისი სათაური იყო „დაპირისპირება სოფელ ბუკნარში“ (მომბე, 2021).

სოფელ ბუკნარის მოვლენებით იწყებოდა, „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის“ საინფორმაციო გამოშვებები : 15:00, 18:00, 20:00. 15 საათიან ეთერში, ამბავს 4 წუთი დაეთმო და კადრ/სინქრონის სახით გავიდა ეთერში. უკვე 18:00 და 20:00 საათიან გამოშვებებში კი მოვლენათა ეპიცენტრიდან რეპორტიორი ჩაერთო. საინფორმაციო გამოშვება „მთავარის“ ეთერში გასული მასალის სათაურია : „ვითარება ჩოხატაურში, სოფელ ბუკნართან პოლიციასა მობილიზებული.“ 13 იანვრის 20:00 საათიან გამოშვებაში, აჭარის ტელევიზიამ ამბავს 08:00 წუთი დაუთმო. რელიგიური შუღლის შესახებ, ჟურნალისტები ძირითადად შეფასებითი ტონის გარეშე ამბავს ყვებოდნენ (გაზდელიანი, 2021).

13 იანვრის, 21:00 საათიანი ტელეკომპანია „მთავარის“ გამოშვებაც, ბუკნარში განვითარებული მოვლენებით გაიხსნა. წამყვანებმა მოკლედ ისაუბრეს სოფელში არსებული ვითარების შესახებ. „კონფლიქტი, რომლის გამწვავებაც უკიდურესად სახიფათოა, ამ დრომდე არ არის განმუხტული. მუსლიმი თემი სალოცავის მშენებლობას ითხოვს, რის საშუალებასაც ადგილობრივი ქრისტიანები არ აძლევენ. მუსლიმებმა მათ მოთხოვნაზე, ბუკნარში მისული გურიის გუბერნატორისგან, ვერავითარი პასუხი მიიღეს.“

წამყვანები ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე საუბრობენ: „უფლებადამცველები მთელს ქვეყანაში ღიად აცხადებენ, რომ რელიგიური კონფლიქტები არასწორი პოლიტიკის გამოძახილია.“ შემდეგ წამყვანი ჟურნალისტს კითხვით მიმართავს - „რას ამბობს ხელისუფლება, აქვს თუ არა მმართველ ძალას, ამ ტიპის კონფლიქტი ასარიდებლად?“ ჟურნალისტი პასუხს საკუთარი ინტერპრეტაციის ცემს - „მმართველ გუნდს სტრატეგია არ აქვს, ან აქვს და ძალა“ იმის მიუხედავად, რომ ეს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას არ სცილდება, როგორც ჟურნალისტური პროდუქტი მაინც შეფასებით სტილს ატარებს. რეპორტიორი რამდენჯერმე იმეორებს ხელისუფლების შესატყვის სინონიმს და ამბობს „ იქამდე ვიდრე მმართველი გუნდი კონკრეტულ ნაბიჯებს არ დგამს და გეგმების გამხელას არ ჩქარობს, სულ უფრო მწვავდება დაპირისპირება“ ჟურნალისტი არ ერიდება შეფასებით ტონს (მთავარი არხი, 2021).

დაპირისპირებული ვითარება დაახლოებით 2 დღეში განიმუხტა.

ამბის დადებითად განვითარებას, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა 09:16 წუთი დაუთმო, სათაურით : „სოფელ ბუკნარში დაპირისპირება დასრულდა“ ეს გამოშვების პირველი ამბავი იყო. ბუკნარში არსებულ ვითარებას „მოამბეში“ მეორე დღესაც დაუთმეს ყურადღება გაშუქების ქრონომეტრაჟი კი, თითქმის იგივე 09:20 წუთი იყო (მოამბე, 2021).

წლებია დავის საგანია ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხი. ქალაქში მეჩეთის მშენებლობას რეგიონში მცხოვრები მუსლიმების ნაწილი ითხოვს, თუმცა იმის გამო, რომ მუსლიმური სალოცავები უკვე არსებობს, საზოგადოების სხვა ნაწილს დამატებით კიდევ ერთი მეჩეთის აშენება ზედმეტი ჰგონია.

თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე, მედიასაშუალებები განსაკუთრებული ინტერესით აშუქებდნენ საკითხს, ძირითადად ყურადღებას, რეგიონში მოქმედი მასკომუნიკაციის არხები უთმობდნენ. 2019 წლის 30 ივნისის ვრცელ სტატიაში, გაზეთი „ბათუმელები“ შემდეგი სათაურით აქვეყნებს მასალას - „ახალი მეჩეთი იქცა დემოკრატიის განვითარების ბრძოლად - გამოხმაურება ბათუმის მერს“ (ბათუმელები, 2019). აღნიშნული სტატიის ავტორი, ტარიელ ნაკაიძეა, რომელიც ბათუმში, მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფს ხელმძღვანელობდა და იყო ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარე. ნაკაიძემ ფაქტობრივად პასუხი გასცა, ბათუმის მაშინდელი მერის, ლაშა კომახიძის ერთი დღით ადრე ჩაწერილ ინტერვიუს, თუმცა მასალა თავიდან ბოლომდე, ტარიელ ნაკაიძის კომენტარებს მოიცავდა. ონლაინგამოცემამ, მეჩეთის მშენებლობის საკითხზე, ბათუმის მერის ინტერვიუ, ასე დაასათაურა - „ლაშა კომახიძე : მეჩეთის მშენებლობის მსურველებმა მიწა, მუსლიმთა სამმართველოს უნდა გადასცენ (კახაბერიძე, 2019).

„ბრძოლა მეჩეთისთვის და მეჩეთის წინააღმდეგ“ - ასე დაასათაურა სტატია გამოცემამ „ბათუმელები“ რაც რესპონდენტის პერიფრაზით დაიწყო. „მე როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, სახელმწიფოს მხარდაჭერა მჭირდება, რომ თავისუფლად შევძლო ჩემს რელიგიურ მრწამსს ვემსახურო.“ სტატიაში, სიტუაციის ანალიზი, ქრონოლოგიურად წლების მიხედვითაა გაწერილი. თან ახლას 2 წუთ-ნახევრიანი ვიდეო ინტერვიუ, ბათუმში მცხოვრებ ერთ-ერთ მულისმთან, რომელიც მეჩეთის საჭიროებებზე საუბრობს (ნაკაიძე, 2019). სტატიის ერთ-ერთი ქვესათაური კი ეთმობა ხელისუფლებასთან დაპირისპირებას, სადაც წერია, რომ „

არასამთავრობო ორგანიზაცია, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის ინფორმაციით, ბათუმში ახალი მეჩეთის ასაშენებლად, მუსლიები სახელმწიფოს მიწის გამოყოფას სთხოვენ 1990-იანი წლებიდან. ასევე, სტატიაში ვკითხულობთ, რომ **„ზიძინა ივანიშვილმა მაშინდელმა ოპოზიციონერმა, 2012 წლის არჩევნებამდე თქვა, რომ თავად დააფინანსებდა მეჩეთის მშენებლობას. 2013 წლის თებერვალში კი უკვე პრემიერ-მინისტრის პოსტიდან დაადასტურა, რომ მეჩეთის ასაშენებლად, აჭარის მთავრობის მეთაური ხაბაძე ეძებდა ადგილს“** გამოცემა გვიყვება, რომ დაახლოებით 1 თვის შემდეგ, 2013 წლის მარტში, აჭარის მთავრობის მაშინდელმა თავმჯდომარემ არჩილ ხაბაძემაც დააზუსტა „**თავიდანვე დავაფიქსირეთ, რომ ქართული ფულით მოხდება მეჩეთის მშენებლობა**“. კიდევ ერთ ვიდეო ინტერვიუში, ერთ-ერთი მუსლიმი საუბრობს, რომ მას კონსტიტუციით აქვს უფლება, ჰქონდეს სამლოცველო და თავი არ იგრძნოს დისკრიმინაციულად. მისივე თქმით, სოციალურ ქსელებში მუსლიმების მისამართით ფობიური განცხადებები კეთდება (ბათუმელები, 2019).

“დაპირებიდან დაპირებამდე” - ასეა დასათაურებული სტატიის მომდევნო ქვესათაური, რომელსაც თან ვიდეო ინტერვიუ ახლავს. სტატიაში აშნიშნულია, რომ: „ხელისუფლებასა და მუსლიმ თემს შორის, ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხი ერთგვარ საჯილდაო ქვად იქცა. თემა პერმანენტულად, არჩევნების წინ ან სამთავრობო ცვლილებების დროს აქტიურდება.“ ვრცელი სტატიის მომდევნო ქვესათაური - **„ქართველ მუსლიმთა იმედგაცრუება“**-ა. მასალის ავტორს, მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელის ტარიელ ნაკაიძისა და „ქართველ მუსლიმთა კავშირის“ მიერ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გამოქვეყნებული განცხადება აქვს მოხმობილი. – „ფეხებზე მკიდია თქვენი გადაწყვეტილებები. მეჩეთი გაიხსნა და მალე დავიწყებთ მის აშენებას.. ვფიცავ ეს არ იქნება ბათუმში პირველი მეჩეთი, ამის გარდაც კიდევ თუ დაგვჭირდება ავაშენებთ მესამესაც, მეოთხესაც და მეხუთესაც.“ ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხზე, მომდევნო სტატიაში უკვე, მართლმადიდებელი ეკლესიის

პოზიციას მოყვანილი. სტატიაში სათაურით - „ლოცვა ფიცრულ მეჩეთში და ეკლესიის პოზიცია“ წერია, რომ : „ბათუმში, მეჩეთის აშენებას, მართლმადიდებელ ეკლესიაში აქვს ნეგატიური გამოხმაურებები.“ აქვე, ჟურნალისტი ამატებს - „ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი რელიგიური ორგანიზაცია შიშობს, რომ მეჩეთის აშენება, მეზობელი თურქეთის ინტერესებში შედის. სტატიის ავტორის მონათხრობის მიხედვით, „ აქ (მართლმადიდებლები) მიიჩნევენ, რომ მეჩეთის აშენებით, თურქეთი აჭარის ისლამიზაციასა და მასზე კონტროლის მოპოვებას ცდილობს“ - აქ უკვე შეფასებითი ტონი არ ჩანს, ეს არის ნათქვამის ინტერპრეტირება და დასაშვებად ითვლება. ვრცელი სტატიის ბოლოს, ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ ბათუმში მცხოვრები მუსლიმები, საქართველოს ყველა ხელისუფლების მხრიდან არიან იმდეგაცრუებული და იმედს გამოთქვამენ რომ უფლების განხორციელებას სასამართლოს გზით შეძლებენ.

ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითზე სტატია მოამზადა გამოცემამ „ REG INFO“ (Reg info, 2018) - როგორც სტატიაში წერია, სალოცავის მშენებლობის საკითზე, აჭარის მთავრობის თავმდჯოკამარეს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, ასმათ დიასამიძემ დაუსვა შეკითხვა. რის პასუხად, მოყვანილია თორნიკე რიჟვადის პასუხი : „აჭარა მულტიკულტურული, მულტირელიგიური რეგიონია. უზრუნველყოფილი უნდა იყოს, ყველა აღმსარებლობის მიმდევრობის უფლება“ - აღნიშნა თორნიკე რიჟვადემ. იგივე საკითზე, საზოგადოებრივი მაუწყელის პირველი არხი, ვებ-გვერდზე, წერს, რომ - „ თორნიკე რიჟვადე - ახალი მეჩეთი უნდა აშენდეს მხოლოდ ქართული ფულით“ (პირველი არხი, 2018). საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია კი ონლაინ პლატფორმაზე წერს - „მეჩეთი უნდა აშენდეს ქართული ფულით და ამაზე არ დავზოგავთ შესაძლებლობებს - თორნიკე რიჟვადე“ (აჭარის ტელევიზია, 2018). „ერთი მეჩეთი ბათუმში“ - ასე დაასათაურა, საკითხი „რადიო თავისუფლებამ“ გადაცემაში „ანარეკლები“. სათაურში არსად არ არის ნახსენები მშენებლობა, თუმცა

ხაზგასმა რაოდენობაზე - „ერთი“ მკითხველსა და მაყურებელს უქმნის შთაბეჭდილებას, რომ ცოტაა. გადაცემის სრული ვერსიის განთავსებამდე, კი 2 წინადადებიან ანონსში ვკითხულობთ : „ერთი მეჩეთი ბათუმში და იმედგაცრუებული ქართველი მუსლიმები. წლიდან წლამდე, ბათუმის მოსახლეობა იზრდება, თუმცა მათ მხოლოდ ერთი სალოცავი დაუტოვეს (რადიო თავისუფლება, 2021).“ თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე, საზოგადოებას (განსაკუთრებით აჭარის რეგიონში) აღნიშნული კონფლიქტის შესახებ დიდი ინტერესი აქვს. ამიტომ აუცილებელია, ინფორმაციის მოძიებისას ჟურნალისტმა ისეთი კითხვები დასვას, რომელიც ჯერ კონფლიქტში მონაწილე მხარეებს დაეხმარება, შემდეგ კი აუდიტორიას. კონფლიქტის სწორად გაშუქება, საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობს, რაც ხელს უწყობს კონფლიქტის მოგვარებას. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პრობლემის გაშუქებისას, ზოგიერთი მედია საშუალება შეფარულად მაინც იყენებდა ერთი რელიგიის მხარეს სუბიექტურ დამოკიდებულებას, რაც მრავალი ფაქტორით შეიძლება იქნას ახსნილი, ის შინაგანად სოლიდარობას უცხადებს მათ, ან თავად იმ რელიგიის წარმომადგენელია და თავად დაინტერესებულია აღნიშნული თემით, რა დროსაც ხშირად სრულყოფილად გაშუქების სტანდარტები იგნორდება. ამიტომ აქ, სენსიტიურობიდან გამომდინარე დიდი რისკია, საკითხი ზუსტად ისე გაიგოს საზოგადოებამ, როგორც ჟურნალისტი მიაწოდეს, რაც შესაძლოა შემდეგ უკვე კონფლიქტის ესკალაციის მთავარი მიზეზი გახდეს.

საქართველო რელიგიური მრავალფეროვნებით გამოირჩევა; თუმცა, პრობლემის წინაშე მაინც არაერთხელ აღმოვჩენილვართ. სამცხე-ჯავახეთში, მუსლიმი თემი უმეტესად ადიგენის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს, მოქმედებს 10-მდე მეჩეთი.

2014 წელს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში რელიგიური ნაგებობის გამო წარმოიშვა კონფლიქტი ქრისტიანსა და მუსლიმ თემს შორის.

მოცემული კონფლიქტი მომდინარეობს სტრუქტურის ბუნებისა და დანიშნულების შესახებ განსხვავებული ისტორიული პერსპექტივიდან, რაც იწვევს დაძაბულობასა და უთანხმოებას (ჟურნალი „ლიბერალი“, 2018).

სოფელ მოხეში არსებული შენობა რელიგიური მრავალფეროვნების ერთგვარი სიმბოლოა. თუმცა, მისი გაურკვეველი სტატუსი იქცა ქრისტიანულ და მუსლიმურ თემებს შორის მტრობის კატალიზატორად. შენობის ისტორიის ირგვლივ არსებული ურთიერთგამომრიცხავი ნარატივები ამძაფრებს დაძაბულობას; მუსლიმები ამტკიცებენ, რომ ის ისტორიულად მეჩეთია; ქრისტიანები ამტკიცებენ, რომ შენობა, რომელიც აგებულია ეკლესიის ქვებით, ქრისტიანული არქიტექტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი მასალაა.

დაძაბულობის კვალდაკვალ მთავრობამ 2014 წელს შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევა შენობის პრობლემის შესწავლა. დაპირისპირების მოგვარებისა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კომისიამ ჩაატარა ყოვლისმომცველი ორწლიანი გამოძიება. კომისიის მანდატი ნათელი იყო: გამოეკვლია მოხეს ნაგებობის ისტორიული წარმომავლობა და ამ გზით დაესრულებინა კონფლიქტი.

ორწლიანი მუშაობის შემდეგ კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შენობა არ დაეთმო არც ქრისტიანული და არც მუსლიმანური თემისათვის. საბოლოო გადაწყვეტილებით, შენობა-ნაგებობა დარჩა სამართლებრივ და რელიგიურ გაურკვევლობაში (ჟურნალი „ლიბერალი“, 2018).

მოხეს დაპირისპირების შესახებ 2018 წელს ჟურნალმა „ლიბერალმა“ მოამზადა ვიდეო-სიუჟეტი „თოვლში მოყოლილი მოხეს ამბავი“. მისი ავტორია დათო ფარულავა.

სიუჟეტი 24:58 წამი გრძელდება; 1:00 წუთზე რეპორტაჟში საუბრობს სოფლის ერთ-ერთი მცხოვრები - თამაზ ბერიძე: „აქ არ იგრძნობოდა, ვინ

მართლმადიდებელი იყო და ვინ - მუსლიმი; აქ იყო მხოლოდ ადამიანურ ურთიერთობებზე აგებული სიტუაცია. ახლა ხდება მუსლიმი თემის მარგინალიზაცია სახელმწიფოს მხრიდან; ჩემი მართლმადიდებელი მეგობრებიც ფეხის ხმას აჰყვენენ“ (ჟურნალი „ლიბერალი“, 2018).

ვიდეო-რეპორტაჟიდან ვიგებთ, რომ სოფელ მოხეს იმამი - თემის ბერიძე პარასკევის ლოცვას ე.წ. სადავო ნაგებობის წინ ადავლენდა, რადგან სადავო შენობაში შესვლა მუსლიმ თემს სასტიკად აუკრძალა მართლმადიდებელმა მოსახლეობამ. იმამი ყვება, რომ „მუსლიმთა სამმართველომ“ გაათავისუფლა და ხელფასი შეუწყვიტა მას შემდეგ, რაც ახალ მეჩეთში გადასვლის მოთხოვნას არ დაემორჩილა.

ვიდეო-რეპორტაჟში 16:07 წუთზე საუბრობს მეთორმეტე კლასელი თეონა ბერიძე; გოგონა აღნიშნავს, რომ ქრისტიანმა დირექტორმა მას სკოლაში თავსაფრის ტარება აუკრძალა.

მოხეს ნაგებობის ირგვლივ განვითარებული მოვლენები აისახა სოფელ მოხეს სასკოლო გარემოზეც.

რეპორტაჟი გაშუქებულია მხოლოდ მუსლიმური თემის გადმოსახედიდან. ვიდეო-რეპორტაჟის მიხედვით, ქრისტიანი თემი ავიწროებს მუსლიმ თემს.

2014 წელს, სოფელ მოხეში მწვავე დაპირისპირება - სიტყვიერი და ფიზიკური შელაპარაკება მოხდა ქრისტიანსა და მუსლიმ მოსახლეებს შორის.

იმავე საღამოს „პირველი არხის“ ეთერში 20:02 წუთზე გავიდა სიუჟეტი - „ინციდენტი სოფელ მოხეში“. სიუჟეტიდან ირკვევა, რომ ინციდენტის გამო დააკავეს 14 ადამიანი; კადრში ისმის მოსახლეობის კომენტარები: „მოლაპარაკება არ არის! ხმის გაღება არ არის და პირდაპირ ცემა-ტყეპით დაიწყეს“. 20:04 წუთზე სიუჟეტში ვხედავთ დაპირისპირებული მხარეების სიტყვიერ შელაპარაკებას კონფლიქტის დროს.

რეპორტიორი მაყურებელს აწვდის დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სოფელ მოხეს ადგილობრივი მუსლიმების გაღიზიანება გამოიწვია სადავო შენობა-ნაგებობაზე განთავსებულმა ბანერმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული შენობა-ნაგებობა სახელმწიფოს საკუთრებაა და იქ ტარდება სოფ. მოხეს ბიბლიოთეკის სარეაბილიტაციო სამუშაოები („პირველი არხი“, 2014).

20:05 წუთზე რეპორტიორს ინტერვიუს აძლევს სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი, რომელიც აღნიშნავს, რომ მოსახლეობასთან 4 საათიანი მოლაპარაკებების შემდეგ სარესტავრაციო სამუშაოები გაგრძელდება.

რეპორტაჟში იგრძნობა მოსახლეობის უკმაყოფილება მთავრობისადმი. მართლმადიდებელი თემი იმედოვნებს, რომ სადავო შენობა-ნაგებობის გადაცემა არ მოხდება მუსლიმი თემისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ „პირველი არხის“ ეთერში მაყურებელმა შეძლო, ვრცლად მოესმინა კონფლიქტის წარმოშობისა და გამწვავების მიზეზები. ობიექტურად არის გადმოცემული როგორც მუსლიმი, ასევე მართლმადიდებელი მოსახლეობის პოზიცია; არც ტელეწამყვანი და არც რეპორტიორი მიკერძოებული არ არის.

„სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო“ სოფელ მოხეში განვითარებულ მოვლენებს იმავე საღამოს, ანუ 2014 წლის 22 ნოემბერს გამოეხმაურა სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე -

„განცხადება ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში დღეს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით“. განცხადებაში აღნიშნულია, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო წუხს ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში განვითარებული მოვლენების გამო; რელიგიის საკითხთა სააგენტო მიიჩნევს, რომ წარმოქმნილი კონფლიქტი ქრისტიანულ და მუსლიმ თემს შორის, გაურკვეველი წარმოშობის შენობა-ნაგებობის საფუძველზე, უნდა გადაიჭრას ყველა შესაბამისი მხარის ჩართულობით. სააგენტო მოუწოდებს საზოგადოებას სიმშვიდისა და კეთილგონიერებისაკენ, რათა პროცესის

ესკალაციამ არ დააზიანოს სახელმწიფო ინტერესები (სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 2014).

„ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა“ გამოაქვეყნა სტატია - „სოფელ მოხეში განვითარებული მოვლენების ანალიზი“; სტატიაში შესწავლილია მოვლენების განვითარების პროცესები და შეფასებულია მოსალოდნელი საფრთხეები (ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2014).

შესავალში ნაჩვენებია დაპირისპირება ადგილობრივ მუსლიმებსა და სამართალდამცავებს შორის იმ სადავო შენობის დემონტაჟთან დაკავშირებით, რომელიც, მუსლიმი თემის რწმენით, ოდესღაც მეჩეთი იყო. ფონური ინფორმაცია ქმნის საფუძველს შემდგომი დეტალური ანალიზისთვის.

სტატიაში აღწერილია ისტორიული კონტექსტი და ფაქტობრივი გარემოებები; ავტორი, ადგილობრივი უხუცესების ნამბობზე დაყრდნობით, გვიამბობს, როგორ გადაკეთდა საბჭოთა პერიოდში შენობა კლუბად; როგორ ცდილობდნენ მუსლიმები შენობის შენარჩუნებასა და მის აღდგენას; გვაჩვენებს ხელისუფლების მხრიდან კონკრეტული რეაგირების ნაკლებობას (ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2014). სტატიაში დეტალურადაა მეჩეთის დემონტაჟის პროცესი და სამართალდამცავების მიერ ძალის გამოყენება.

ავტორი უყურადღებოდ არ ტოვებს კონფლიქტის დროს დაკავებულ იმ მუსლიმ მოქალაქეებს, რომლებიც საუბრობენ სამართალდამცავების მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე.

სტატიაში ნაჩვენებია ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების, რელიგიის საკითხთა სააგენტოსა და საქართველოს საპატრიარქოს პოზიციებიც.

ავტორი ხაზს უსვამს წინააღმდეგობრივ პრეტენზიებსა და განსხვავებულ პერსპექტივებს.

სოფლის ქრისტიანული თემის წარმომადგენელი - ბეჟან რეხვიაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს: „წინააღმდეგი ვარ, რომ მეჩეთი აშენდეს; ქართული მიწა-წყალია! ქრისტიანი ვარ და არ უნდა ვიყო წინააღმდეგი? ხომ აქვთ მეჩეთი? ერთი, ორი... რად უნდათ კიდევ?“. კიდევ უფრო კატეგორიულია სოფლის მკვიდრის - ტარიელ ხარშილაძის პოზიცია; მისი აზრით, მეჩეთის აშენებით მუსლიმი ქრისტიანს „აგდებს გარეთ, და თვითონ შემოდის ჩემს ოჯახში.“ (ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2014).

სტატია სრულდება ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის ანალიზზე დაფუძნებული რეკომენდაციებით - სავარაუდო ძალის გამოყენების სამართლიანი შეფასება; მუსლიმთა დევნის საქმეების ხელახალი გადაფასება; რელიგიურ საკუთრებასთან დაკავშირებული რესტიტუციის საკითხების შესასწავლად სამთავრობო კომისიის შექმნა.

ავტორი დეტალურად განიხილავს ხელისუფლების წარმომადგენლების საჯარო განცხადებებს და გვთავაზობს მათ ანალიზს; ნაჩვენებია მთავრობის შიგნით არსებული საპირისპირო შეხედულებები; პრემიერ-მინისტრი ამ საკითხს არ შეხებია და პასუხისმგებლობას ანიჭებს მუსლიმთა თემს; ხოლო სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში მხარს უჭერს გუბერნატორის გადაწყვეტილებას, სადავო შენობაში კულტურული ცენტრის დაარსებასთან დაკავშირებით; ის აღნიშნავს, რომ მათ „ინტერესებს ლეგიტიმური საფუძველი არ გააჩნია“ (ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2014).

სტატიაში მხარეთა პოზიციები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია; ნაჩვენებია როგორც მუსლიმთა, ასევე ქრისტიანთა შეხედულებები. თუმცა, ზოგადი განწყობითა და ტონით ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი მაინც იხრება მუსლიმი თემის მხარდაჭერისკენ. მართლმადიდებლური საზოგადოების განწყობა კი ნაწილობრივად მხოლოდ და მხოლოდ შესწავლილი და წარმოდგენილი.

მოხეს პრობლემებს ინტერნეტ ჟურნალი „Netgazeti.ge“ 2021 წლის 13 მაისს - ანუ 7 წლის შემდეგ შეეხმიანა სტატიით: „კონფლიქტიდან 7 წლის შემდეგ: „მოხეს ისტორიული მეჩეთი კვლავ გაპარტახებულია“ (Netgazeti.ge, 2021). სტატიაში შესწავლილია ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეს წარმომავლობის ისტორია. აღნიშნულია, რომ სოფელში მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმია; ზოგადი ისტორიული კონტექსტიდან ავტორი გადადის 2014 წლის კონფლიქტსა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მოთხოვნით შექმნილი კომისიის დასკვნაზე;

კომისიის მიერ 2016 წლის 3 ნოემბერს გამოცხადებული დასკვნის საფუძველზე შენობა არ დაეთმო არც მუსლიმურ და არც ქრისტიანულ მრევლს. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს კი დაევალა შენობის სამომავლო გამოყენების კონცეფციის შემუშავება (Netgazeti.ge, 2021).

ავტორი მიიჩნევს, რომ კონცეფცია 2021 წლისთვისაც არ იყო შემუშავებული. წერილში ხაზგასმულია, რომ მუსლიმი სასულიერო პირები და უფლებადამცველები აკრიტიკებენ სახელმწიფოს პოლიტიკას და გულგრილობაში ადანაშაულებენ;

საკითხში უკეთ გარკვევისათვის ავტორი ეყრდნობა სპეციალისტებისა და ექსპერტების შეხედულებებს; „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ თანასწორობის პოლიტიკის პროგრამის დირექტორის - თამთა მიქელაძის აზრით: „სახელმწიფოს არ აღმოაჩნდა მისი განვითარების იმგვარი ხედვა, რომელიც, ერთი მხრივ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინტერესებს უპასუხებდა და, ამავდროულად, ამ ძეგლის მომავალს მინიმუმ მულტიკულტურული რელიგიათაშორისი დიალოგის და მრავალფეროვნების წახალისების სივრცედ აქცევდა“. მიქელაძე აკრიტიკებს ხელისუფლების მიერ სიტუაციის მართვას და ხაზს უსვამს, რომ ძველი მეჩეთის მოუგვარებელმა პრობლემებმა კონფლიქტი გააღრმავა.

„თუკი კონცეფცია ასეთი იქნებოდა, შესაძლოა, ძალიან საინტერესო გზა ყოფილიყო პრობლემის მოგვარების, კონფლიქტის გადაჭრისთვის. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, მუსლიმი თემის და მუსლიმი ორგანიზაციების რეალური ნება და არჩევანი უნდა ყოფილიყო, იმიტომ, რომ მათ აქვთ უფლება, ისტორიული ძეგლები დაიბრუნონ“ (Netgazeti.ge, 2021).

თამთა მიქელაძის აზრით, ხელისუფლების ხედვის ნაკლებობამ კონფლიქტი გაართულა და ძეგლი ვერ გადაიქცა მულტიკულტურული რელიგიათაშორისი დიალოგის სივრცედ. შემოთავაზებული გამოსავალი გულისხმობს იმ საერთო კულტურული სივრცის შექმნას, რომელიც მოიცავს როგორც ისლამურ, ისე ქრისტიანულ მემკვიდრეობას, მრავალფეროვნების ხელშეწყობას გამოფენებისა და საერთო ღონისძიებების საშუალებით (Netgazeti.ge, 2021).

„Netgazeti.ge“ ნათელს ჰფენს მოხეს რელიგიურ კონფლიქტს და გვთავაზობს ისტორიული, კულტურული და სამართლებრივი პროცესების დეტალურ შესწავლას. სტატია მოუწოდებს მკითხველს, დაფიქრდეს სახელმწიფოს როლზე კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების პროცესში, რელიგიათაშორისი დიალოგის ხელშეწყობაში, თითოეული მოქალაქისთვის რელიგიური თავისუფლების უზრუნველყოფაში.

წერილში მოხეს პრობლემები დაბალანსებულად და მიუკერძოებლად ასახული;

შესწავლილია საკითხის ისტორიული კონტექსტი, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, უფრო მეტი გაიგოს მოვლენათა შესახებ.

ავტორი გვაჩვენებს მუსლიმური თემის პოზიციას; გვთავაზობს მუსლიმი სასულიერო პირების, უფლებადამცველებისა და „საქართველოს მუსლიმთა კავშირის“ თავმჯდომარის - იმამ ჯამბულ აბულაძის განცხადებებს - „მხოლოდ მოხეს მეჩეთზე არ არის საუბარი. სამცხე-ჯავახეთში უამრავი ისტორიული მეჩეთია, რომლებიც გადაცემულია სახელმწიფოსთვის, რომელიც არაფერს აკეთებს მათ შესანარჩუნებლად“.

Netgazeti.ge-მ ეფექტურად გააშუქა მუსლიმთა პერსპექტივა და ნათელი მოჰვინა მათ პოზიციას სადავო შენობის კონსერვაციისა და აღდგენის ირგვლივ.

სტატიაში გაანალიზებულია მართლმადიდებელი მოსახლეობისა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიცია, რომელსაც ამყარებს მეუფე თეოდორეს განცხადება; საკითხის გადაჭრის პროცესში საპატრიარქოს ჩართულობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის წარმოადგენს დავაში ჩართული მართლმადიდებელი საზოგადოების თვალსაზრისს.

სტატია წარმოადგენს მოხეს პრობლემის ობიექტურად გაანალიზების მცდელობას როგორც მუსლიმი, ისე მართლმადიდებელი თემის თვალსაწიერიდან. ექსპერტთა მოსაზრებებისა და სამართლებრივი ასპექტების ჩართულობა კიდევ უფრო ამტკიცებს ნარატივს (Netgazeti.ge, 2021).

ადიგენის მუნიციპალიტეტში, რელიგიურ ნიადაგზე მორიგი დაპირისპირება, 2023 წლის ივლისში დაიწყო, როდესაც ადგილობრივმა მართლმადიდებლებმა და სასულიერო პირებმა, მოქალაქე მერაბ მიქელაძეს, რომელმაც სახლში მოაწყო სამლოცველო, საქმიანობის შეწყვეტა მოსთხოვეს, მოხდა მცირე დაპირისპირება, რაც პოლიციამ განმუხტა (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2024).

2024 წლის გაზაფხულზეც ადგილობრივი მოსახლეობა დაბაში მუსლიმური სალოცავის მოწყობას აპროტესტებდა, რადგან მათივე არგუმენტით, მუნიციპალიტეტის ცენტრში ამის საჭიროება არ არის და მიმდებარე სოფლებში, სადაც ძირითადად მუსლიმი მრევლი ცხოვრობს არაერთი მეჩეთია. „მეჩეთად ქცეული სახლი ადიგენში, მართლმადიდებლებსა და მუსლიმებს შორის დაპირისპირების მიზეზი გახდა „ - ასეთი სათაურით გამოაქვეყნა სტატია „რადიო თავისუფლებამ“ 9 მარტს (რადიო თავისუფლება, 2024). მასალის ავტორი წერს, რომ 8 მარტს კერძო პირის სახლთან, მართლმადიდებლები შეიკრიბნენ და მუსლიმებს

აუკრძალეს ლოცვის ჩატარება. სტატიას თან ერთვის 8 მარტს გადაღებული ფოტო, რომელიც გამოცემის ცნობით, კიდევ ერთ მედიასაშუალებას TOK TV - ის ეკუთვნის. მასალის მიხედვით, ერთი დღით ადრე მუსლიმები და მართლმადიდებლები შეთანხმდნენ, რომ კერძო პირის სახლს აღარ გადააკეთებდნენ მეჩეთად და ყოველ პარასკევს (მუსლიმური ტრადიციით) იქ ლოცვას აღარ ჩაატარებდნენ. განვითარებული მოვლენების ამსახველი ვიდეო გაავრცელა გამოცემა „ბათუმელებმა“ სადაც მხარეებს შორის დაპირისპირება ჩანს (ბათუმელები, 2024). **"შენ ვინ ოხერი ხარ, გამოეთრიე და ხალხს ელაპარაკე! დედას ვფიცავარ, თუ არ დაგტოვო კოჭლი სამუდამოდ. არ გაქვს ჩვენთან სალაპარაკო? აბა ვისთან გაქვს? ვის ეუბნები შე ნაგლო კაცო მიბრძანდი აქედანო?"** - ასე მიმართავდნენ სახლთან შეკრებილები, შენობაში მყოფებს. მოგივიანებით შეკრებილებთან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სამცხე-ჯავახეთის მუფთი მივიდნენ, მათ შეკრებილებს მშვიდობისკენ მოუწოდეს. სტატიიდან ასევე ვიგებთ, რომ მხარეების შეთანხმების სედეგად, 11 მარტიდან სახლი, როგორც მეჩეთად, ფუნქციონირებას აღარ გააგრძელებდა. 13 მარტს, ისევ "რადიო თავისუფლებამ" მორიგი სტატია გამოაქვეყნა სათაურით - **"დაბა ადიგენში მუსლიმთა სახალხო ლოცვა აღარ იქნება - ვინ აკრძალა და რა უფლებით?"** მასალის ავტორი მკითხველს უყვება, რომ თუ რისი უფლება უნდა ჰქონდეს სახლის მესაკუთრე მერაბ მიქელაძეს, ადგილობრივმა ქრისტიანმა მრევლმა, სასულიერო პირებმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა. სტატიიდან ასევე ვიგებთ, რომ მერაბ მიქელაძეს შესთავაზეს, ლოცვის შეწყვეტა ან სახლის გაყიდვა. ასევე 12 მარტს შეხვედრა გაიმართა ადგილობრივი ხელისუფლების მონაწილეობით (კუნჭულია & იველაშვილი, 2024). ასევე გამოცემა მკითხველს სთავაზობს, "სოციალური სამართლიანობის ცენტრის" განცხადებას, რომლის მიხედვით, ქართველი მუსლიმი თემის უსაფრთხოებისა და თანასწორობის გარანტიების დარღვევა, ბოლო 10 წელიწადში დაგროვილი შემთხვევების დაუსჯელობამ გამოიწვია.

მედიაში წაკითხულ მასალაში ვგებულობთ, რომ მუსლიმ თემს ლოცვის საშუალება არ ეძლევა, თუმცა ამ შეხედულებას შემდეგ აქარწყლებ სამცხე-ჯავახეთის მუფთის მოკლე კომენტარი. - **"ჩვენ არ გვექვემდებარება, ეგ არის კერძო სახლი, რომელიც კერძო პირმა იყიდა და გააკეთა თვითნებურად"** -

ამბობს მუფთი მამუკა ვაშაყმაძე. “რადიო თავისუფლება” გვთავაზობს ადიგენის მერის ვრცელ განმარტებასაც, რომლის თქმით, სახლი, სადაც მეჩეთი ფუნქციონირებს, თაიდან სკოლა-პანისიონი იყო, მარამ სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ დაწერილი დასკვნის გამო, რადგან მოთხვნებს ვერ აკმაყოფილებდა ფუნქციონირება შეწყვიტა. მერის გოჩა ქიმაძის მონათხრობით ასევე ვიგებთ, რომ სიტუაციის განსამუხტად, მერაბ მიქელაძეს შესთავაზეს თანხის ჩარიცხვა, რომლითაც ის სანაცვლოდ სხვა ტერიტორიაზე შეიძენდნენ ფართს და იქ მოაწყობდნენ სალოცავს. მაგრამ როდესაც ფინანსური ოპერაციის შესასრულებლად მას ანგარიშები მოსთხოვეს, გაირკვა რომ აღნიშნული “შპს” რელიგიის სააგენტოში რეგისტრირებული არ იყო, სააგენტოს კი თანხის ჩარიცხვა მხოლოდ მუსლიმთა სამმართველოსთვის შეეძლო. ამიტომ მერაბ მიქელაძესთან შეთანხმდნენ, რომ სალხში მხოლოდ თვითონ ილოცებდა და მეჩეთის დანიშნულებით არ გამოიყენებდა. თუმცა, რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება 5 აპრილს ისევ წარმოიშვა. **“დაძაბულობა ადიგენში: მუსლიმებისთვის ლოცვის უფლების შესაზღუდად, მართლმადიდებლები ისევ შეიკრიბნენ”** - ამ სათაურით აქვეყნებს მასალას სააგენტო ON.GE . მასალის თანახმად, ადგილობრივებმა მუსლიმების ნაწილს მიქელაძის სახლთან მიახლოების საშუალება არ მისცა (on.ge, 2014).

ამ თემაზე, სიუჟეტები და შემთხვევის ადგილიდან პირდაპირი ჩართვები მაყურებელს ასევე შესთავაზა, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა (ლოლაძე & ტაბეშაძე, 2024) . ტელეკომპანია რუსთავი 2-მა (რუსთავი 2 - კურიერი, 2024), ტელეკომპანია იმედმა (ტვ იმედი - ქრონიკა, 2024) . როგორც რეპორტაჟებიდან ვიგებთ, მოქალაქეები, რომლებიც მიქელაძის სახლში ლოცვისთვის მიდიოდნენ აჭარის რეგიონიდან მის მხარდასაჭერად ჩამოვიდნენ. ასევე რეპორტაჟებში ვიგებთ, რომ მერაბ მიქელაძე არ წარმოადგენს ოფიციალურად მუსლიმ მრევლს არ ემორჩილება მუსლიმთა სამმართველოს და ის ერთ-ერთი ფრთის „ ე.წ სულეიმანჯების „ განშტოებას წარმოადგენს. რეპორტაჟებში ვისმენთ ადგილობრივი

მოსახლეობის კომენტარებს, როგორც მართლმადიდებლების, რომლებიც ამბობენ, რომ ცენტრში მუსლიმი თემი არ ცხოვრობს და შესაბამისად სალოცავის მოწყობის აუცილებლობაც არ არსებობს და ასევე სიუჟეტებში ნაჩვენებია მუსლიმი თემისა და მუსლიმი სასულიერო პირების კომენტარები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ კონკრეტული ჯგუფი ხელოვნურად ცდილობს სიტუციის დაძლევას, რადგან თავად ქრისტიანებთან დიდი ხანია თანაცხოვრობენ და მათ შორის დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. ასევე ამბობენ იმასაც, რომ სოფლებში სადაც თვითონ ცხოვრობენ არაერთი მუსლიმური სალოცავია. ასევე, 4 აპრილს ტელეკომპანია „იმედი“ მაყურებელს სთავაზობს ვრცელ ინტერვიუს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელთან. ზაზა ვაშაყმაძის განცხადებით, დაბაში სადაც კერძო სახლში ლოცვის ჩატარებას ითხოვენ, არც ერთი მუსლიმი არ ცხოვრობს და მუნიციპალიტეტის სოფლებში 9 მეჩეთია. მისივე განცხადებით, „სულეიმანჯები“, არ ემორჩილებიან მუსლიმთა სამმართველოს. მისივე თქმით, სახელმწიფომ მიქელაძეს შესთავაზა, რომ მის სახლს გამოისყიდნენ და სადაც სურდა იქ შეიძენდა შენობას სალოცავისთვის ან სოფელ იჯარეთში გადასცემდნენ ფართს, თუმცა ორივე წინადადება მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამ პოზიციის გამო, სახელწიფომ მიქელაძეს დააკისრა პასუხისმგებლობა თუ მომავალში მორიგი დაპირისპირება წარმოიშვებოდა (იმედი ნიუსი, 2024).

2021 წლის 16-17 მაისს დმანისში ეთნიკურ ჯგუფებს შორის ყოფით ნიადაგზე დაიწყო მასობრივი დაპირისპირება, რომელიც ქართული მედია საშუალებებისა და პოლიტიკის დღის წესრიგად იქცა.

16 ივნისს თავს დაესხნენ მაღაზიის მფლობელს და გაანადგურეს შენობის ინფრასტრუქტურა. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა, რომელიც მაღაზიასთან ახლოს სათვალთვალო კამერამ გადაიღო, ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

დაპირისპირების კვალდაკვალ ტელეკომპანია „პირველი არხის“ დღის საინფორმაციო გამოშვებაში 12:00 წუთზე ტელეწამყვანმა მაყურებელს მიაწოდა ინფორმაცია დმანისში განვითარებული მოვლენების შესახებ; აღნიშნა, რომ ვითარება დმანისში დაიძაბა; ადგილი ჰქონდა ფიზიკურსა და სიტყვიერ დაპირისპირებას; მხარეები მობილიზებულები იყვნენ ხელკეტებითა და ხის ჯოხებით (პირველი არხი - მოამბე, 2021).

12:01 წუთზე პირდაპირ ეთერში ჩაერთო რეპორტიორი. მან აღნიშნა, რომ კონფლიქტის ადგილას სამართალდამცავი ორგანოები იყო მობილიზებული; დეტალურად ისაუბრა დაძაბული ვითარების შესახებ. პარალელურად ეკრანზე ვხედავდით კონფლიქტის ამსახველ კადრებსაც. ჩანდა, როგორ აკავებდნენ სამართალდამცავები კონფლიქტში აქტიურად ჩართულ პირებს (პირველი არხი - მოამბე, 2021).

12:05 წუთზე კადრში გამოჩნდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე - ალექსანდრე დარახველიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა დროული რეაგირება მოახდინეს და დაწყებული იყო ფაქტობრივი გარემოებებისა და მიზეზების შესწავლაც (მოამბე, 2021).

დაპირისპირების საღამოს „პირველი არხის“ ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა პარლამენტის თვითმმართველობის თავმჯდომარის - სოზარ სუბარის მოსაზრებები - „**სოზარ სუბარი მიიჩნევს, რომ დმანისში განვითარებული მოვლენები ორგანიზებული იყო**“. კონფლიქტი, სუბარის აზრით, ძველ ნიადაგზე დაიწყო; მისი თქმით, ეს იყო სამწუხარო, მაგრამ ფუნდამენტურად ეგზისტენციალური საკითხი. პირველადი ინციდენტის შემდეგ - დილით და საღამოს - დაფიქსირებული ესკალაცია კი კონფლიქტის გაგრძელებას წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, კონფლიქტის ორგანიზატორის ვინაობა დაუდგენელი იყო, სუბარი ამტკიცებდა, რომ ეს იყო ორგანიზებული დანაშაული (მოამბე, 2021)

პარლამენტის თვითმმართველობის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამწუხარო ფაქტი მოხდა. შეშფოთება გამოხატა მომხდარის გამო და კონფლიქტში მონაწილე ოჯახის წევრებს მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ მოუწოდა.

სუბარი მტკიცებით, კონფლიქტი უნდა დასრულებულიყო დაპირისპირებული მხარეების შერიგებით. ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ კანონისა და ხალხის ინტერესების ფარგლებში უნდა მომხდარიყო პრობლემის მოგვარება (მოამბე, 2021).

2021 წლის 17 მაისს ინტერნეტ ჟურნალმა - „Netgazeti.ge“ - ნინო ჩიჩუას ავტორობით - დმანისში განვითარებულ კონფლიქტთან დაკავშირებით გამოაქვეყნა სტატია: „**დმანისი: ოპოზიცია მთავრობას უმოქმედობაში ადანაშაულებს და შს მაღალჩინოსნების გადადგომას ითხოვს**“ (ჩიჩუა, 2021).

სტატია იწყება ოპოზიციონერი პოლიტიკოსების - „სტრატეგია აღმაშენებლის“ თავმჯდომარის - გიორგი ვაშაძისა და „ევროპული საქართველოს“ ლიდერის - გიგა ბოკერიას მიმართვებით. ორივე ლიდერი ხაზს უსვამს, რამდენად მნიშვნელოვანია ხელისუფლების მხრიდან დროული ზომების გატარება კონფლიქტის მხარეების შერიგებისა და საკითხის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში.

ვაშაძე სიმშვიდისკენ მოუწოდებს მოსახლეობას; ბოკერია კი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ დმანისში განვითარებული მოვლენები საფრთხეს უქმნის მთელი ქვეყნის ინტერესებსა და სამოქალაქო ჰარმონიას (ჩიჩუა, 2021).

ოპოზიციონერი პოლიტიკოსი - კახა ოქრიაშვილი (პარტია „პროგრესი და თავისუფლება“) მმართველ პარტიას - „ქართულ ოცნებას“ ადანაშაულებს ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირების წაქეზებაში, საარჩევნო მიზნებისთვის ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფების გამოყენებასა და დაუსჯელობის განცდის გაღვივებაში. ის ითხოვს დმანისის ხელმძღვანელობისა და ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის

გადადგომას და პასუხისმგებლობის დაკისრებას მომხდარ მოვლენებზე (ჩიჩუა, 2021).

სტატიიდან ნათელი ხდება, რომ ეროვნული ასამბლეის წევრი - რომან გოცირიძე დმანისის დრამატულ მოვლენებზე პასუხისმგებლობას ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობას აკისრებს. გოცირიძე ძალების არაადეკვატურ მობილიზებას აკრიტიკებს და შს მინისტრის დაუყოვნებლივ გადადგომას ითხოვს.

ხელისუფლების მხრიდან სათანადო რეაგირების არარსებობას უსვამს ხაზს „ლელოს“ წევრი - ანა ნაცვლიშვილი.

სტატიიდან ირკვევა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმდინარე კონფლიქტთან დაკავშირებით გაავრცელა განცხადება და მოქალაქეებს სიმშვიდისკენ მოუწოდა.

სტატიის ავტორი, როგორც ჩანს, მიკერძოებულია, რადგან მხოლოდ და მხოლოდ ოპოზიციონერი პოლიტიკოსების შეხედულებებსა და განცხადებებს ეყრდნობა; ამიტომ ბალანსი დარღვეულია.

სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველსაყოფად კი სადავო საკითხების გაშუქებისას აუცილებელია სხვადასხვა პოზიციისა და მოსაზრების ჩართვა (ჩიჩუა, 2021).

2021 წლის 19 მაისს დმანისში განვითარებულ კონფლიქტს ეხმიანება ინტერნეტ ჟურნალი „Sputnik საქართველო“ სტატიით - „საპატრიარქო: დმანისში მომხდარი დაპირისპირება გარედან იყო ინსპირირებული“ (sputnik საქართველო, 2021).

საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის - ანდრია ჯაღმაიძის თქმით, დმანისში ვითარება კრიტიკული გახდა და ამიტომ ეკლესია ჩაერთო პროცესების დარეგულირებაში - „ჩვენთან ერთად მოხდა პირველი ნაბიჯის გადადგმა მშვიდობისკენ. როცა მოსახლეობაში ეკლესიისადმი დიდი ნდობა არსებობს, ეს უნდა გამოვიყენოთ, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა მშვიდობიანი

თანაცხოვრება შეძლონ. მსგავს სიტუაციაში ეკლესიის ეფექტურობა მნიშვნელოვანია“.

ჯალმადის მტკიცებით, კონფლიქტი იყო არა იზოლირებული, არამედ გარე ძალების მიერ მართული;

სტატიაში ხაზგასმულია, რომ კონფლიქტის მოგვარება ხდებოდა ერთობლივი ძალისხმევით. აღნიშნულია, რომ სიტუაციის მოსაგვარებლად შეიკრიბნენ სხვადასხვა მმართველობითი წარმომადგენლები; მათ შორის ხელისუფლების, საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს, აღმოსავლეთ საქართველოს მუფთი და ადგილობრივი სასულიერო პირები. ამ მრავალფეროვანი ერთეულების აქტიური ჩართულობა ხაზს უსვამს საკითხის აქტუალურობასა და მნიშვნელობას (sputnik საქართველო, 2021). აღმოსავლეთ საქართველოს მუფთი - ეთიბარ ემინოვი და საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შეიხი - რამინ ისგიდოვი შეშფოთებას გამოხატავენ კონფლიქტის ეთნიკურ დაპირისპირებაში შესაძლო გადაქცევის გამო. ამიტომ ჩაერთნენ ისინი საქართველოს საპატრიარქოსთან ერთად შერიგების პროცესში.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ჯალმადიე ხაზს უსვამს ეკლესიის გადამწყვეტ როლს მოსახლეობაში ნდობის განმტკიცებისა და მშვიდობისკენ საწყისი ნაბიჯების ხელშეწყობაში. იგი ხაზს უსვამს ეკლესიის მნიშვნელობას მოქალაქეების მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველსაყოფად (sputnik საქართველო, 2021).

სტატიაში გადმოცემულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მოსაზრებები. წერილის ენა ნეიტრალურია და ფაქტობრივ მასალებს ეყრდნობა; ავტორი არ ემხრობა რომელიმე კონკრეტულ მხარეს ან პოზიციას; გვაჩვენებს როგორც საქართველოს საპატრიარქოს, ასევე საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს წვლილს პრობლემის მოგვარების პროცესში; შესაბამისად, სტატია დაბალანსებულია და ობიექტური (sputnik საქართველო, 2021)

2021 წლის 5 აგვისტოს „სოციალური სამართლიანობის ცენტრმა“ გამოაქვეყნა უდავოდ საინტერესო სტატია: „დმანისის კონფლიქტი - ყოფით ნიადაგზე დაწყებული დაპირისპირების ეთნიკური შტრიხები“ ქამრან მამედლის ავტორობით (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021).

წერილი იწყება 16-17 მაისს განვითარებული მოვლენების მოკლე მიმოხილვით; ხაზგასმულია შეტაკებები ეთნიკურ აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის. ავტორი ხაზს უსვამს კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს; გვაჩვენებს დაუყოვნებელი შერიგების იმ მცდელობებს, რომლებშიც მონაწილეობდნენ ოფიციალური პირები და რელიგიური ლიდერები („სოციალური სამართლიანობის ცენტრი“, 2021).

ავტორი ანალიზის საფუძველზე ასახავს კონფლიქტების მოგვარების პროცესში მთავრობის მუშაობის ხარვეზებს - განსაკუთრებით მედიაციის არაფორმალურ ფორმატებზე დამოკიდებულების კუთხით. იგი ამტკიცებს, რომ ასეთი ზომები ხშირად ვერ აგვარებს ძირეულ მიზეზებს, რითაც აძლიერებს კონფლიქტის განმეორების რისკს. სტატია მიუთითებს შემთხვევებზე, როდესაც კონფლიქტები გრძელდება არადომინანტი ჯგუფების უფლებების, საჭიროებებისა და ინტერესების უგულებელყოფისა და გაჩუმების გამო; მოჰყავს შესაბამისი მაგალითებიც სამწყაროსა და ქობულეთის შემთხვევებიდან („სოციალური სამართლიანობის ცენტრი“, 2021).

ავტორი საუბრობს საქართველოს ინტეგრაციის პოლიტიკის ფორმალურსა და მოჩვენებით ხასიათზე; სტატიაში მოყვანილია CRRC 2021 წლის კვლევა, რომელიც ადასტურებს, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის რწმენით, მხოლოდ ეთნიკური ქართველები და მართლმადიდებლები უნდა იყვნენ ქვეყნის მოქალაქეები („სოციალური სამართლიანობის ცენტრი“, 2021).

წერილში ხაზგასმულია წარმატებული სამოქალაქო ინტეგრაციისთვის უმცირესობების მონაწილეობის გადამწყვეტი როლი საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ავტორის არგუმენტები

გამყარებულია 2018-2019 წლების ISSA-ს კვლევით, რომელიც მიუთითებს მხარეთა ინფორმირებულობის ნაკლებობაზე. სტატის მიხედვით, დასტურდება, რომ 2020 წლის არჩევნების შემდეგ პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების პროცენტულმა მაჩვენებელმა მკვეთრად იკლო; ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობაშიც დისბალანსია; ეს ყოველივე აჩვენებს იმ გამოწვევებს, რომელსაც საქართველოში არადომინანტი ეთნიკური ჯგუფები აწყდებიან („სოციალური სამართლიანობის ცენტრი“, 2021).

ავტორი ინარჩუნებს ობიექტურობას; საუბრობს კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებზე როგორც ეთნიკური აზერბაიჯანელების, ისე ქართველების მხრიდან. თავისი პოზიციების დასტურად ის გვაწვდის სტატისტიკურ მონაცემებსა და გამოკითხვის შედეგებსაც; თუმცა, ისეთი ტერმინების სუბიექტური ბუნება, როგორცაა „სუსტი მიღება“ და „ფორმალური და მოჩვენებითი ხასიათი“ ინტეგრაციის პოლიტიკასთან დაკავშირებით შესაძლოა, მკითხველში იწვევდეს გარკვეულ ინტერპრეტაციას („სოციალური სამართლიანობის ცენტრი“, 2021).

მიუხედავად იმისა, რომ სტატია ეხება კონფლიქტის რელიგიურ ასპექტს და აღნიშნავს რელიგიური ლიდერების ჩართულობას შერიგების მცდელობებში, ავტორი ცალსახად არ გადმოსცემს მუსლიმური და ქრისტიანული მხარეების სპეციფიკურ პოზიციებს. ის უფრო მეტად იხრება სისტემური საკითხების, სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკისა და არადომინანტი ეთნიკური ჯგუფების წინაშე არსებული გამოწვევების ანალიზისკენ. სტატია შეიძლება ჩაითვალოს ზომიერად ობიექტურად. ის აანალიზებს დმანისის კონფლიქტსა და საქართველოს ინტეგრაციის პოლიტიკას. თუმცა, მეტი ობიექტურობისათვის სტატიის ავტორს შეეძლო, უფრო მკაფიოდ ეჩვენებინა კონფლიქტში ჩართული მუსლიმი და მართლმადიდებელი თემების პოზიციები („სოციალური სამართლიანობის ცენტრი“, 2021).

კვლევის მონაცემები სტატიას სანდოობას მატებს. საერთო ჯამში, წერილი ინფორმაციული და დამაფიქრებელია.

2021 წლის 17 მაისს რადიო „თავისუფლებაში“ გამოქვეყნდა ნასტასია არაბულისა და თორნიკე მანდარიას სტატია - „რა მოხდა დმანისში - როგორ [ვერ] აგვარებს სახელმწიფო დიდ და მცირე კონფლიქტებს“.

ავტორები საუბრობენ კონფლიქტის წარმოშობაზე, პროცესში სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობასა და მთავრობის რეაგირებაზე. წერილში იგრძნობა კრიტიკული ტონი მთავრობის პოზიციის მიმართ. მაგალითად - „მთავრობის წარმომადგენლები მართავდნენ მოლაპარაკებებს დაპირისპირებულ მხარეებს შორის დაპირისპირებული მხარეების არსებობის აღიარების გარეშე“ (რადიო „თავისუფლება“, 2021).

წერილში ხაზგასმულია კონფლიქტის ეთნიკური ხასიათი. წარმოდგენილია ორივე მხარის - ეთნიკური ქართველებისა და ეთნიკური აზერბაიჯანელების მოსაზრებები (რადიო „თავისუფლება“, 2021).

წერილში ავტორები საუბრობენ კონფლიქტის გამწვავების პროცესში მედიის უარყოფით როლზე; აღნიშნულია, რომ როგორც ეთნიკური ქართველები, ასევე ეთნიკური აზერბაიჯანელები სწორედ მედიას ადანაშაულებენ დამაბულობის გამწვავებაში.

თუმცა, სტატიაში არ არის მოყვანილი კონკრეტული მაგალითები ან მტკიცებულებები იმისა, თუ როგორ შეუწყო მედიამ ხელი სიტუაციის ესკალაციას (რადიო „თავისუფლება“, 2021).

კონფლიქტების პროცესში მედიის როლზეა სწორედ 2021 წლის 23 მაისს „მედია კრიტიკის“ გვერდზე გამოქვეყნებული სტატია - „კონფლიქტი დმანისში – მორიგი გამოცდა ქართული მედიისათვის“.

ავტორის აზრით, მედია ხშირად პრიორიტეტს ანიჭებს პროფესიულ სტანდარტებსა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს, ვიდრე პასუხისმგებელ ჟურნალისტიკას; ირჩევს სენსაციურობას და ასრულებს ვიწრო პოლიტიკურ დაკვეთებს („მედია კრიტიკა“, 2021).

დმანისის მოვლენებიდან გამომდინარე სტატიაში ხაზგასმულია ორი ძირითადი საჭიროება:

ავტორი ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია განვითარდეს ე.წ. „მშვიდობიანი ჟურნალისტიკა“, რომელიც ფოკუსირებული იქნება კონფლიქტებისა და მათი გამომწვევი მიზეზების გაშუქებაზე და ხელს შეუწყობს დაპირისპირების შემცირებას. ეს გულისხმობს სენსაციალიზმისგან თავის დაღწევასა და ინფორმაციის ობიექტურად გაშუქებას („მედია კრიტიკა“, 2021).

ავტორის აზრით უნდა მოხდეს მედიის პროფესიული და სამართლებრივი ასპექტების მონიტორინგი; გამოვლინდეს, როდის უწყობს მედია ხელს კონფლიქტების წაქეზებასა და როდის - ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას.

მაშასადამე, მედია ინდუსტრიაში საჭიროა ზედამხედველობა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაძლიერება („მედია კრიტიკა“, 2021).

დმანისის შემთხვევამ აჩვენა, რამდენად დიდია კონფლიქტურ სიტუაციებში მედიის პასუხისმგებლობის როლი („მედია კრიტიკა“, 2021).

ეს, თავის მხრივ, ხაზს უსვამს მედიასაშუალებების მნიშვნელობას; შესაბამისად, მათ უნდა აღიარონ თავიანთი როლი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში და პასუხისმგებლობით იმოქმედონ სოციალური დამაბულობის თავიდან ასაცილებლად.

ავტორი აკრიტიკებს იმ სხვადასხვა მედიასაშუალებას, რომელთაც უარყოფითი როლი ითამაშეს დმანისში განვითარებულ მოვლენებზე. წერილში გაკრიტიკებულია „მთავარი არხი“ და „რუსთავი 2“, ბევრ სხვა ტელევიზიასა და ონლაინ პლატფორმასთან ერთად; აღნიშნულია, რომ შერჩევითი გაშუქება ქმნის ეთნიკურ დაუშვებლობაზე დაფუძნებული კონფლიქტის შთაბეჭდილებას, რასაც პოტენციურად შეცდომაში შეჰყავს მაყურებელი და მკითხველი („მედია კრიტიკა“, 2021). სტატიაში განსაკუთრებით არის გაკრიტიკებული ტელეკომპანია „პირველი“; ტელეკომპანიის ჟურნალისტიკა გამოიყენა რადიკალური ტერმინოლოგია,

რამაც კიდევ უფრო გააძლიერა დამაბულობა „ადგილობრივ აზერბაიჯანულ თემსა და სვანეთიდან ჩამოსახლებულ ეკომიგრანტებს შორის“.

ერთი მხრივ, ჟურნალისტი ამ ფრაზით ხაზს უსვამს, რომ სვანი „სტუმარია“ და მეორე მხრივ, ის სვანებს მოიხსენიებს ეკომიგრანტებად, რამაც გამოიწვია პროტესტი საზოგადოებასა და სოციალურ მედიაში („მედია კრიტიკა“, 2021).

სტატიაში გაკრიტიკებულია, ასევე, „კავკასიის მაუწყებლობა“, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს დამამცირებელი სიტყვებით მოიხსენიებს - „ეგენი დარიბი ხალხია, მათი ყიდვა ადვილია.“ ამ განცხადებებმა კიდევ უფრო მეტად დამაბა სიტუაცია დმანისში და საზოგადოების უკმაყოფილებაც გამოიწვია („მედია კრიტიკა“, 2021). ავტორის აზრით, მედიის არასწორმა შეფასებებმა გააძლიერა ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება. ის ამტკიცებს, რომ მედია უნდა იყოს პასუხისმგებელი ყველა თავის ქმედებაზე და ხელი შეუწყოს კონფლიქტურ სიტუაციებში დაპირისპირების შემცირებას („მედია კრიტიკა“, 2021). ავტორი მხარს უჭერს მედიის ლანდშაფტს, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს მოვლენების ზუსტსა და დაბალანსებულ გაშუქებას სენსაციალიზმის ნაცვლად; აღიარებს იმ ღრმა გავლენას, რაც მედია ნარატივებს შეიძლება ჰქონდეს საზოგადოების აღქმასა და სოციალურ ჰარმონიაზე.

2.3. ნეიტრალიტეტის დაცვის სირთულეები ქართულსა და უცხოურ მედიაში

ქართული მედია გარემოს კონტექსტში ჟურნალისტები ხშირად მიზნად ისახავენ ნეიტრალური სტანდარტის დაცვას. თუმცა, გარემო, რომელშიც ისინი მუშაობენ, სავსეა გამოწვევებით, რამაც შეიძლება, ხელი შეუშალოს ამ მიზანს. ეს გამოწვევები ძირითადად გამოიხატება შეფასებითი ტონებისა და შემთხვევითი მიკერძოების სახით, რომლებიც ინფილტრატია მედიის შინაარსში, განსაკუთრებით პოლიტიკურად დატვირთული საკითხების გაშუქებისას. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული

კომისიის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, ეს მოვლენები ყურადღების ღირსია მათი პოტენციური გავლენების გამო.

ჟურნალისტიკაში ნეიტრალიტეტისკენ სწრაფვა გადაწყვეტია მედიის სანდოობისა და მთლიანობის შესანარჩუნებლად. ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნება ხელს უწყობს სიუჟეტის ყველა მხარის სამართლიანად წარმოჩენას, რაც საშუალებას აძლევს აუდიტორიას, ჩამოაყალიბოს საკუთარი ინფორმირებული მოსაზრებები მედიის მიკერძოებულობის გარეშე. თუმცა, შეფასების ტონების არსებობამ - სადაც ჟურნალისტები გამოთქვამენ პირად განსჯას ან სუბიექტურ შეფასებებს მათ გაშუქებაში, შეიძლება, ძირი გამოუთხაროს ამ ობიექტურობას. ასეთმა ტონებმა შეიძლება არამხოლოდ გააფერადოს წარმოდგენილი ინფორმაცია, არამედ გამოიწვიოს მაყურებლის მოსაზრებების პოლარიზაცია, რაც განსაკუთრებით საზიანოა პოლიტიკურად მგრძნობიარე გარემოში.

მედიაში მოვლენების გაშუქების დროს შემთხვევითი მიკერძოება შეიძლება მომდინარეობდეს სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის ინსტიტუციური გავლენებიდან, ჟურნალისტების პირადი ან პოლიტიკური კუთვნილების ან პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან გარე ზეწოლისგან. ამ მიკერძოებას შეუძლია ახალი ამბების პრეზენტაციის დამახინჯება, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება გავლენა იქონიოს საზოგადოებრივ დისკურსზე. საქართველოში, სადაც პოლიტიკური ლანდშაფტები ხშირად რთულია და დამაბული, მედიის როლი კიდევ უფრო კრიტიკული ხდება. აუცილებელია ჟურნალისტებისა და მედია საშუალებების ფხიზლად ყოფნა მიკერძოების წინააღმდეგ, განზრახ თუ გაუცნობიერებლად, დაბალანსებული საანგარიშო ატმოსფეროს შესანარჩუნებლად.

ამ გამოწვევების გადასაჭრელად აუცილებელია საქართველოში მედია ორგანიზაციებისთვის მკაცრი სარედაქციო სტანდარტების დანერგვა და ჟურნალისტების უწყვეტი ტრენინგი მიუკერძოებელი გაშუქების პრინციპების შესახებ. ასეთი ზომები ხელს შეუწყობს პირადი ან ინსტიტუციური მიკერძოების გავლენის მინიმუმამდე შემცირებას,

ეთიკური ჟურნალისტიკის კულტურის ხელშეწყობას. უფრო მეტიც, ანგარიშვალდებულების გარემოს ხელშეწყობას, სადაც მედიის პრაქტიკა რეგულარულად განიხილება და კრიტიკულია, შეიძლება კიდევ უფრო გააძლიეროს ჟურნალისტიკაში სამართლიანობისადმი ერთგულება.

მედიას შეუძლია, უკეთ შეასრულოს თავისი როლი, როგორც სანდო და ობიექტურმა ინფორმატორმა, რომელიც გადამწყვეტია დემოკრატიული საზოგადოების ჯანსაღი ფუნქციონირებისთვის და კარგად ინფორმირებული საზოგადოების განვითარებისთვის.

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი ემსახურება მტკივნეული შემთხვევის შესწავლას; ასახავს ღრმა სირთულეებსა და გამოწვევებს, რომლებიც თან ახლავს მედიის მიერ ხანგრძლივი გეოპოლიტიკური დავების გაშუქებას. ეს კონფლიქტი, რომელსაც ახასიათებს ღრმა ისტორიული ფესვები, ტერიტორიული და კულტურული დაძაბულობა, წარმოადგენს განსაკუთრებით რთულ გარემოს ჟურნალისტებისთვის, რომლებიც ცდილობენ შეინარჩუნონ ობიექტურობა და ბალანსი მოვლენების გაშუქებისას. ვოლფსფელდი (2014) გვაწვდის კრიტიკულ შეხედულებებს იმის შესახებ, როგორ იყო ჩართული როგორც ისრაელის, ისე პალესტინის მედია პარტიზანულ გაშუქებაში, რაც არა მხოლოდ ასახავს რეგიონში არსებულ განხეთქილებას, არამედ ზოგჯერ ემსახურება კონფლიქტის გაძლიერებას (Wolfsfeld, 2014).

მედიის გაშუქების პარტიზანული ბუნება ამ კონტექსტში ხშირად გამომდინარეობს ნაციონალისტური სენტიმენტებიდან, რომლებიც ღრმად არის ჩაქსოვილი სოციალურ ქსოვილში. კულტურული და პოლიტიკური მიკერძობების გავლენის ქვეშ მყოფმა მედია საშუალებებმა მოვლენები შეიძლება ისე წარმოაჩინონ, რომ შეესაბამებოდეს ეროვნულ ნარატივებს, რაც ამყარებს არსებულ ცრურწმენებსა და მცდარ წარმოდგენებს. ამ მიკერძობებულმა გაშუქებამ შეიძლება გაამწვავოს დაძაბულობა.

უფრო მეტიც, მედიის როლი ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში სცილდება მოვლენების უბრალო რეპორტაჟს; ის აქტიურად მონაწილეობს

საზოგადოებრივი აღქმისა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში. ამ ჩართულობას შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი გავლენა ძალადობის ესკალაციასა ან დეესკალაციაზე. არაერთია შემთხვევა, როდესაც მედია საშუალებებმა მოვლენების გაშუქებისას შერჩევით აცნობეს ინციდენტების შესახებ ან გამოიყენეს სიძულვილის ენა; ფაქტებმა გვაჩვენა, როგორ შეუძლია მედიას, გააღვივოს კონფლიქტები და ხელი შეუწყოს ძალადობას.

ასეთი გარემო ჟურნალისტებისა და მედია ორგანიზაციებისთვის დიდი გამოწვევაა. მათ უნდა გაიარონ ლანდშაფტი, სადაც იკვეთება პოლიტიკური ზეწოლა, საზოგადოების მოლოდინები და ეთიკური მოსაზრებები. ჟურნალისტური პროფესიონალიზმი გულისხმობს არა მხოლოდ დაბალანსებულსა და ფაქტობრივ გაშუქებას, არამედ აქტიურ წინააღმდეგობას იმ პარტიულობის წინააღმდეგ, რომელსაც შეუძლია სიმართლის დამახინჯება. ის მოითხოვს კეთილსინდისიერ ძალისხმევას კონფლიქტის მრავალმხრივი ბუნების გასაგებად და წინააღმდეგობის გაწევისთვის, რათა ხელი შეუწყოს მის გაგრძელებას მიკერძოებული გაშუქების გზით.

ამ საკითხების განხილვისას მნიშვნელოვანი საჭიროებაა მედია ინტერვენციები, რომლებიც ხელს უწყობს სამშვიდობო ჟურნალისტიკას. ასეთი ინიციატივები ხელს უწყობს მედია პრაქტიკოსებს, ყურადღება გაამახვილონ შერიგებისა და მშვიდობის დამყარების მცდელობებზე, ხაზი გაუსვან მხარეებს შორის თანამშრომლობის მცდელობებს და უზრუნველყონ პლატფორმა მშვიდობის მომხრეებისთვის. ამ მიდგომების მიღებით მედიას შეუძლია, შეასრულოს კონსტრუქციული როლი კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზაზე.

მოკლედ, მედიის როლი ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში არის ძლიერი შეხსენება იმისა, თუ რა გავლენას ახდენს ჟურნალისტური პრაქტიკა საერთაშორისო კონფლიქტებზე. საქმის შესწავლა ხაზს უსვამს კონფლიქტის გაშუქებისას ობიექტურობისა და ბალანსის მკაცრი სტანდარტების აუცილებლობას და ხაზს უსვამს მედიის პოტენციალს,

იმოქმედოს როგორც მშვიდობის კატალიზატორი, როდესაც ის სცილდება პარტიულობის საზღვრებს, რათა გამოიყენოს ახალი ამბების გაშუქების უფრო ჰოლისტიკური და შემრიგებლური მიდგომა.

დასავლურ მედიასაშუალებებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ კონფლიქტების გლობალურ ნარატივსა და აღქმაზე. ეს გავლენა სცილდება მხოლოდ მოვლენების მოხსენებას; ის აყალიბებს საერთაშორისო პოლიტიკას და საზოგადოებრივ აზრს. ტუსუსუ (2007) ხაზს უსვამს იმას, როგორ აშუქებენ მედია სუბიექტები კონფლიქტებს, მოვლენებს და აძლიერებენ დასავლურ გეოპოლიტიკურ ინტერესებსა თუ კულტურულ შეხედულებებს. (Thussu, 2007).

დასავლური მედიის გაშუქება განსაკუთრებით კრიტიკულია, რადგან ის „ფარავს“ ფართო აუდიტორიას მსოფლიოში, მათ შორის პოლიტიკის შემქმნელებს, დიპლომატებსა და იმ ფართო საზოგადოებას, რომელიც ეყრდნობა ამ ინფორმაციას საკუთარი აღქმისა და გადაწყვეტილებების შესაქმნელად.

ამ პროცესში უდიდესი როლი აქვს დასავლურ მედიას; მისი გავლენა გლობალურ კონფლიქტებზე ღრმა და შორსმიმავალია. ის არა მხოლოდ გვაწვდის ინფორმაციას, თუ როგორ განიხილება და გაგებულია კონფლიქტები საერთაშორისო დონეზე, არამედ გავლენას ახდენს პოლიტიკის გადაწყვეტილებებსა და საზოგადოებრივ აზრზე.

2.4. რელიგიური კონფლიქტები და აზრის გამოხატვის თავისუფლება

რელიგიური კონფლიქტების გაშუქება რისკისა და საფრთხის შემცველია ჟურნალისტებისათვის. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ისინი ავრცელებენ მხოლოდ ერთი მხარის სასარგებლო ინფორმაციასა და პროპაგანდას, რაც ასევე იწვევს პროფესიულსა და მორალურ ზეწოლას (Boudana , 2015). მართლაც, ჟურნალისტებს რელიგიური კონფლიქტის გაშუქებამ, მით უმეტეს, როდესაც ისინი ერთ-ერთი კონფლიქტური მხარის წევრები არიან, პროფესიული და მორალური დილემები დაუმატა.

კონფლიქტის დროს, ნებისთი თუ უნებლიეთ, ისინი ხდებიან კონფლიქტის ნაწილი და უწევთ გამკლავება იმ ღირებულებებთან, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგება (Zandberg & Neiger, 2005). ერთი მხრივ, მათი პროფესიული როლი მოითხოვს ავტონომიისა და ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას, მეორე მხრივ, ისინი თავიანთი თემის წევრები არიან და მათი მიჯაჭვულობა ართულებს კონფლიქტის მიმართ მიუკერძოებლობას (Nygren, 2018) . სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჟურნალისტები „ჯვარედინ ცეცხლში“ არიან, რადგან ცდილობენ, დააბალანსონ პროფესიული ავტონომია პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და საზოგადოების ზეწოლასთან.

რელიგიური კონფლიქტების დროს ჟურნალისტები შეიძლება, ვერ აცდნენ სუბიექტურობას. ეს ურთულესი პროცესია, რადგან რელიგიური კონფლიქტებისას ჟურნალისტები განიცდიან გარე ან შიდა და ფარულ და აშკარა ზეწოლას, რაც მათ აიძულებთ, გამოიყენონ თვითცენზურა. ეს ზეწოლა ხელს უშლის მათ გარკვეული მოვლენის გაშუქებისგან ან აშუქებენ ისე, რომ ზიანი არ მიაყენონ საკუთარ თავსა და სხვებს (Jungblut & Hoxha, 2017) . ნებისმიერი სახის ზეწოლა ზღუდავს ჟურნალისტების ავტონომიას, რაც ართულებს მათი პროფესიული როლის აღქმის პრაქტიკაში განხორციელებას. პოსტკონფლიქტურ სიტუაციებშიც კი, როდესაც ძალადობა მთავრდება, ცენზურა ან თვითცენზურა მაშინვე არ ქრება. ჟურნალისტები კვლავ რჩებიან ხელისუფლების, მედიის მფლობელების ან სხვა აქტორების ზეწოლის ქვეშ და თვითცენზურას უწევენ საკუთარ თავს (Nygren , 2018). მიუხედავად აღნიშნულისა, მედია უნდა იყოს პასუხისმგებელი კონკრეტული რელიგიური ჯგუფების შესახებ არასწორი ისტორიების გავრცელებისათვის.

მედია ხშირად „სცოდავს“ რელიგიური კონფლიქტების გაშუქების დროს; არც თუ იშვიათად იყენებს ტერმინს - „ექსტრემისტი“ მუსლიმები და უმეტესწილად დუმს ქრისტიან ექსტრემისტებზე.

მეტიც, ხშირად ვხვდებით მედიაში სტატიებს „კარგ ქრისტიანსა“ და „ცუდ მუსლიმზე.“ მუსლიმების შემთხვევაში ისტორიები მოთხრობილია

ტერორისტების რელიგიისა თუ ეთნიკური წარმომავლობის დასახელებით, ქრისტიანების შემთხვევაში კი დასახელების გარეშე. მაგალითად, ნორვეგიელ მასობრივ მკვლელს -ანდერს ბრეივიკს მედია არ ახასიათებს, როგორც ქრისტიან ტერორისტს, თუმცა ის საკუთარ თავს ქრისტიანად მიიჩნევს. სტატიების უმრავლესობაში ბრეივიკი მოხსენიებულია „მასობრივ მკვლელად“ (aljazeera, 2023) და არა ქრისტიან ტერორისტად. შესაბამისად, მედიის მიერ ჩამოყალიბებულია საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, რომ ტერორისტები ძირითადად მუსლიმები არიან.

მსოფლიო მედიაში დაიბეჭდა რამდენიმე სტატია, რომელშიც ბრეივიკი დახასიათებულია ქრისტიან ტერორისტად (Strømmen, 2017). აღნიშნულის გასაბათილებლად კი ამერიკელმა მეცნიერმა, რელიგიათმცოდნე სტივენ პროტერომ დაწერა, რომ ქრისტიანებმა დაგმეს ბრეივიკი; მეცნიერმა მისი ქმედება განმარტა როგორც პოლიტიკური აქტი და არა - რელიგიური. თუმცა, დაავიწყდა, რომ ტერორიზმი სწორედ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად არის გამოყენებული ხშირად.

მედიის „ცოდვათა“ დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი - 1995 წლის სრებრენიცას ხოცვა-ჟლეტა (Smith, 2023) . მოვლენა ფართოდ არის აღწერილი მედიის მიერ, როგორც 8000 „მუსლიმი“ მამაკაცისა და ბიჭის მკვლელობა „სერბების“ მიერ; სერბი სამხედრო და პოლიტიკური ლიდერები, რომლებსაც ბრალი ედებათ ომის დანაშაულებში, მედიაში არ მოიხსენიებიან, როგორც ქრისტიანი ტერორისტები.

შეუძლებელია, ჩვენს ნაშრომში გვერდი ავუაროთ ისრაელ-პალესტინის ომის რელიგიურ ჭრილში გაშუქებას.

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: ეთნიკური, ეროვნული, ისტორიული და რელიგიური. თუმცა ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ და მხოლოდ რელიგიურ განზომილებაზე. საინტერესოა, რამდენად მოქმედებს რელიგია ამ კონფლიქტში მონაწილე აქტორების იდენტობაზე, პოლიტიკასა და დამოკიდებულებებზე.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ისლამთან და იუდაიზმთან დაკავშირებული რამდენიმე რელიგიური ფაქტორი - ისრაელში ექსტრემალური რელიგიური სიონისტები ძალიან მკაცრნი არიან, როდესაც საქმე ეხება არაბებთან რაიმე დათმობას. მეორე მხრივ, ისლამისტური ჯგუფები პალესტინასა და ისლამურ სამყაროში მხარს უჭერენ რელიგიური მიზეზების გამო „წმინდა“ ტერიტორიებისა და ადგილების გათავისუფლების აუცილებლობას და ქადაგებენ ძალადობასა და სიძულვილს ისრაელისა და ებრაელი ხალხის წინააღმდეგ. დამაბულობას კიდევ უფრო ამძაფრებს რელიგიაზე დაფუძნებული ისტორიები მეორე მხარის ფარული რელიგიური დღის წესრიგის შესახებ, რომლებიც ვრცელდება ექსტრემისტების მედიაში.

ვითარება ძალიან დამაბა გავრცელებულმა ჭორმა იმის შესახებ, რომ არსებობდა „ებრაული გეგმა“, რომლითაც იგეგმებოდა ალ-აქსას მეჩეთის განადგურება და მის ნარჩენებზე ებრაული ტაძრის აშენება.

საინტერესოა 2021 წელს გამოქვეყნებული სტატია, სადაც ჟურნალისტს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოჰყავს ერთ-ერთი ებრაელის სიტყვები: „მე არ მაქვს ასეთი განზრახვა, რადგან ღმერთი გააკეთებს ამას“. „ღმერთი ჩააქრობს ალ-აქსას მეჩეთს და მის ნაცვლად დედამიწაზე მესამე ტაძარს ააშენებს.“ „ყველაფერი, მათ შორის ალ-აქსა, ეკუთვნის ებრაელებს, რადგან ღმერთმა შექმნა სამყარო მხოლოდ თავისი წმინდა ხალხისთვის, ებრაელებისთვის“ (World, Middle East, 2021). არანაკლებ პროვოკაციული და გამაღიზიანებელია აღნიშნულ საკითხზე არსებული სხვა სტატიები; მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია 2023 წლის აპრილში გამოქვეყნებული სტატია (MuslimMirror, 2023), რომელშიც საუბარია აქსას მეჩეთის შეურაცხყოფაზე და მისი დანგრევის გეგმაზე. ჟურნალისტი ამკარად მხარეს წარმოადგენს, იგი, უბრალოდ, კი არ ჰყვება ამბავს, არამედ ამძაფრებს ფაქტებს ისეთი სიტყვებით, როგორცაა „უმოწყალო“, „სასტიკი“ და ა.შ. - „ისრაელის პოლიციამ ჩაამსხვრია კარები და ფანჯრები ალ-აქსაში შესასვლელად და უმოწყალოდ თავს დაესხა

მლოცველებს.“ ამის შემდეგ ახსენებს მკითხველს, რომ: „ალ-აქსას მეჩეთი ისლამური ადგილია, სადაც ათწლეულების განმავლობაში, გრძელვადიანი საერთაშორისო შეთანხმებების თანახმად, აკრძალულია არამუსლიმების მიერ არასასურველი ვიზიტები, ლოცვები და რიტუალები.“ თუმცა, პალესტინელებს ალ-აქსას მეჩეთში მხოლოდ გარკვეული დროით უშვებენ, რის გამოც შიშობენ, რომ საფუძველი ეყრება მეჩეთის გაყოფას მუსლიმებსა და ებრაელებს შორის, ისევე, როგორც იბრაჰიმის მეჩეთი იყო ჰებრონში გაყოფილი 1990-იან წლებში. ამასთან, ისრაელის მიერ აღმოსავლეთ იერუსალიმის, მათ შორის ძველი ქალაქის კონტროლი, არღვევს საერთაშორისო სამართლის რამდენიმე პრინციპს, რომელიც ითვალისწინებს, რომ ოკუპანტ სახელმწიფოს არ აქვს სუვერენიტეტი მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და არ შეუძლია იქ რაიმე მუდმივი ცვლილებების შეტანა. ისრაელის ჯარისკაცებმა რამადანის დროს ხელკეტები და თოფები დაუმტვრიეს პალესტინელ მლოცველებს ალ-აქსას მეჩეთის ალ-ქიბლის სალოცავ დარბაზში, რამაც აღშფოთება გამოიწვია მთელ მსოფლიოში. ავტორი სტატიას ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „ებრაელი ბარბაროსობის წინაშე პალესტინელები რჩებიან ყველაზე დაჩაგრულ და მამაც მებრძოლებად კაცობრიობის ისტორიაში“ (MuslimMirror, 2023). ამ სიტყვებით ავტორი თითქოს ბრძოლისაკენ მოუწოდებს პალესტინელებს. შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი პროვოკაციული საუბრები მედიაში ნამდვილად აღწევს მიზანს, რადგან პალესტინა და ისრაელი დღეს ომის მდგომარეობაში არიან; კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი მოტივი კი რელიგიურია.

ჰამასის განცხადებით, დაიწყო „ალ-აქსას ქარიშხალი“ - შეტევა ისრაელზე წმინდა ადგილის დასაცავად; მათი სამიზნე იყო ასობით ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოსახლეობა. საინტერესოა, რომ მხოლოდ მუსლიმებს აქვთ უფლება, ილოცონ შენობაში იმ სტატუს კვოს შეთანხმებით, რომელიც თავდაპირველად საუკუნეზე მეტი ხნის წინ იქნა მიღწეული (Raine, Lau, Poole, & Meyer, 2023) . მუსლიმურ სამყაროში ბევრი

შიშობს, რომ იქ ერთადერთ მომლოცველად ყოფნის უფლება დაირღვა და თავად მეჩეთსაც საფრთხე შეექმნა.

არაბულსა და ისლამურ სამყაროში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება ხელს უწყობს რელიგიური რადიკალიზმის ზრდას; ყოველივე ეს კი ახალგაზრდების დიდ ნაწილს ფანატიზმისა და რელიგიით შთაგონებული პოლიტიკისკენ უბიძგებს.

ცხადია, რელიგიურ რწმენას ხშირად უჭირავს წმინდა და ცენტრალური ადგილი ინდივიდების ცხოვრებაში; აყალიბებს მათ იდენტობას, ღირებულებებსა და მიზანდასახულობას. თუმცა, როდესაც გამოხატვის თავისუფლება ეხება რელიგიურ სენსიტიურობას, შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტები. კონფლიქტი ხშირად წარმოიქმნება მაშინ, როდესაც გამონათქვამები, ნებსითი თუ უნებლიე, ეჭვქვეშ აყენებს ან შეურაცხყოფს ღრმა რელიგიურ შეხედულებებს.

2015 წელს შარლი ებდოს ინციდენტი გამოხატვის თავისუფლებასა და რელიგიურ სენსიტიურობას შორის დაძაბულობის მწვავე მაგალითია. სატირულ ჟურნალში წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურის გამოქვეყნებამ აღშფოთება გამოიწვია მუსლიმანურ სამყაროში, რასაც ტრაგიკული შედეგები მოჰყვა. ინციდენტმა ხაზი გაუსვა ისეთი საზოგადოებების აუცილებლობას, რომლებიც იზიარებენ რელიგიური მრწამსის პატივისცემასა და გამოხატვის თავისუფლების უფლების დაცვას (ლიპარტელიანი, 2023).

გამოხატვის თავისუფლებასა და რელიგიურ სენსიტიურობას შორის დელიკატური ბალანსის მიღწევა მოითხოვს ნიუანსირებულ მიდგომას. მთავრობები, სამოქალაქო საზოგადოება და რელიგიური ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ისეთი გარემოს ხელშეწყობაში, სადაც ორივე უფლება ჰარმონიულად თანაარსებობს.

ინციდენტებმა კოპენჰაგენსა და სტოკჰოლმში, სადაც ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა და ინდივიდებმა დემონსტრაციულად დაწვეს ისლამის წმინდა წიგნი - ყურანი, გამოიწვია გლობალური დებატები

გამოხატვის თავისუფლებასა და რელიგიურ სენსიტიურობას შორის დელიკატურ ბალანსზე (ლიპარტელიანი, 2023).

შვედეთში მცხოვრებმა ერაყელმა ქრისტიანმა ლტოლვილმა სტოკჰოლმში დაწვა ყურანის ასლი ცენტრალური მეჩეთის გარეთ. ამ ფაქტს ისეთი ხმაური მოჰყვა, რომ საჭირო გახდა საელჩოს თანამშრომლების ევაკუაცია მას შემდეგ, რაც შენობაში შტურმით შეიჭრნენ მომიტინგეები.

ორმა ულტრამემარჯვენე აქტივისტმა კოპენჰაგენში გაანადგურა ყურანის ასლი ერაყის საელჩოს წინ. ამ ინციდენტების შემდეგ დანიასა და შვედეთში დაიწყო განხილვა ისეთი რელიგიური საპროტესტო აქციების აკრძალვისა, რომელსაც თან ახლავს ყურანის ან სხვა რომელიმე რელიგიური ტექსტის დაწვა;

დანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა - მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლების დაცვა გადაწყვეტია, ასეთი პროტესტი ექსტრემისტებისთვის სასარგებლოა და საფრთხეს უქმნის საერთო უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას (ლიპარტელიანი, 2023) .

ამ ინციდენტების ირგვლივ დაიწყო დებატები სიტყვის თავისუფლებასა და რელიგიურ უმცირესობათა პატივისცემას შორის ბალანსის შესახებ. ორივე ქვეყანა ეძებს სამართლებრივ საშუალებებს ზოგიერთ გარემოებებში ჩარევისთვის; მათ შორის - საელჩოებთან საპროტესტო აქციებში. თუმცა, ხაზი გაუსვეს, რომ ნებისმიერი ცვლილება უნდა განხორციელდეს კონსტიტუციით დაცული გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში.

დებატებმა გამოიწვია ძლიერი რეაქცია მთელ ისლამურ სამყაროში - დიპლომატიური პროტესტი, გადაწყვეტილებათა დაგმობა და ა. შ.;

ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები არსებობს რელიგიური ხასიათის დემონსტრაციებისთვის ნებართვის მინიჭების გარშემოც.

გამოხატვის თავისუფლება არის დემოკრატიული საზოგადოებების ის ქვაკუთხედი, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს, გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები ცენზურის ან შურისძიების

შიშის გარეშე. დასავლურ დემოკრატიებში ეს უფლება განმტკიცებულია, როგორც ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც ხელს უწყობს ღია დისკურსს, კრიტიკულ აზროვნებასა და საზოგადოების პროგრესს. თუმცა, თავისუფლების სახელით რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა იწვევს დამაბულობას და ეჭვქვეშ დგება მულტიკულტურული თანაარსებობის არსი.

რელიგიური ტექსტების დაწვა, განსაკუთრებით ისეთი წმინდა წიგნისა, როგორც ყურანია, ცხადია, უადრესად პროვოკაციული ქმედებაა და მას დიდი ალბათობით მოჰყვება მძიმე შედეგები.

კოპენჰაგენსა და სტოკჰოლმში მომხდარ ინციდენტს მოჰყვა დიდი პროტესტი და დემონსტრაცია ისლამურ ქვეყნებში. ისინი თვლიდნენ, რომ ყურანის დაწვის ფაქტის დაშვება თავისთავად გულისხმობს ხელისუფლების მიერ ამ მოვლენის იმპლიციტურ მხარდაჭერას და ხელს უწყობს ისლამოფობიის გაძლიერებას.

ყურანის დაწვის დემონსტრაციების გეოპოლიტიკური შედეგები ღრმა აღმოჩნდა, რაც გამოჩნდა თურქეთის პასუხშიც - პრეზიდენტმა ერდოღანმა მიიღო გადაწყვეტილება, არ განეხილა შვედეთის ნატოში გაწევრიანების საკითხი სწორედ ისლამოფობიის წახალისების გამო; მაშასადამე, რელიგიურ კონფლიქტებს შესაძლოა, მოჰყვეს მძიმე შედეგები საერთაშორისო ურთიერთობებზეც. ამ ინციდენტებმა დაგვანახა, რომ რელიგიური კონფლიქტები გავლენას ახდენს დიპლომატიურ ალიანსსა და გლობალურ თანამშრომლობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლება ფუნდამენტური უფლებაა, მას თან ახლავს პასუხისმგებლობაც, დააბალანსოს სხვადასხვა თემთა შორის ინდივიდუალური თავისუფლებები. რელიგიური სიმბოლოების შეურაცხმყოფელ დემონსტრაციებზე ნებართვის გაცემისას გათვალისწინებული უნდა იქნას მოსალოდნელი შედეგები ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბის გათვალისწინებით. ხელისუფლებამ უნდა შეაფასოს გამოხატვის უფლებაცა და ის პოტენციური ზიანიც, რომელიც

შეიძლება მას მოჰყვეს. გათვალისწინებული უნდა იქნას, პროვოკაციული დემონსტრაციების უმძიმესი შედეგები.

შვედეთისა და დანიის ოფიციალური პირები ყურანის დაწვის დემონსტრაციებს კანონიერად მიიჩნევენ და ამტკიცებენ, რომ გამოხატვის თავისუფლება მომიტინგეებს აძლევდა ამის უფლება.

ეს ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპი ადამიანებს საშუალებას აძლევს, გამოხატონ თავიანთი შეხედულებები, თუნდაც ისინი საკამათო ან შეურაცხმყოფელი იყოს ზოგიერთისთვის.

სკანდინავიური პერსპექტივა ხაზს უსვამს ამ უფლების დაცვის მნიშვნელობას და იმას, რომ აქციები სულაც არ ასახავს ხელისუფლების პოზიციას. თუმცა, გამოწვევა მდგომარეობს მოსაზრებების გამოხატვის კანონიერი უფლების შეჯერებაში იმ პოტენციურ შედეგებთან, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას პროვოკაციული ქმედებების შედეგად (ლიპარტელიანი, 2023). შვედეთის პრემიერმინისტრი - ულფ კრისტერსონი აღიარებს, რომ სტოკჰოლმის პოლიციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ყურანის დაწვის მიტინგის დაშვების შესახებ კანონიერია; თუმცა, მიზანშეწონილად მიიჩნევს, მომავალში გააზრებული იქნას ამ ტიპის დემონსტრაციების პოტენციური რისკები.

პრემიერ-მინისტრის განცხადება ცხადყოფს, რომ მსგავსი აქციების ჩასატარებლად უამრავი განცხადებაა შემოსული, რაც მიუთითებს მზარდ ტენდენციაზე, რამაც შესაძლოა ქვეყანა სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენოს. შეშფოთების გამოხატვის მიუხედავად, კრისტერსონს არ აქვს კონკრეტული სტრატეგიები დასახული ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად და ამგვარი ქმედებებისთვის ნებართვების გაცემის სტრატეგიის გადახედვაც არ მომხდარა (ლიპარტელიანი, 2023).

ევროკავშირის საგარეო საქმეთა უმაღლესი კომისარი - ჯოზეფ ბორელი ასევე აფასებს საკითხს, რომელიც გმობს ყურანის დაწვის დემონსტრაციებს, როგორც აშკარა პროვოკაციას და მიიჩნევს, რომ რელიგიური სიძულვილი და შეუწყნარებლობა მიუღებელია

ევროკავშირისთვის. ბორელი ხაზს უსვამს ევროკავშირის ვალდებულებას, მხარი დაუჭიროს სიტყვის თავისუფლებას, ეთიკური მოსაზრებების აღიარებით (ლიპარტელიანი, 2023).

ფრანგული სატირული ჟურნალის - „შარლი ებდოს“ ოფისებზე თავდასხმის ტრაგიკულმა შემთხვევებმა 2015 წელს გამოიწვია გლობალური დებატები გამოხატვის თავისუფლებასა და სოციალურ პასუხისმგებლობას შორის დელიკატურ ბალანსთან დაკავშირებით. განსჯის საგნად იქცა რედაქციის გადაწყვეტილება, გამოექვეყნებინა მუჰამედის კარიკატურები. მიუხედავად იმისა, რომ სარედაქციო კოლეგიის მტკიცებით, მათი ქმედებები შეესაბამებოდა სიტყვის თავისუფლების ევროპულ სტანდარტებს, ფაქტმა გამოიწვია პოტენციური ეგზისტენციალური საფრთხეები (ლიპარტელიანი, 2023).

„შარლი ებდოს“ გვერდებზე მუჰამედის კარიკატურების გამოქვეყნებამ მსოფლიო მუსლიმთა საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. საზოგადოების ნაწილი ამტკიცებდა, რომ ამ კარიკატურებით შეურაცხყოფა მიაყენეს მოსახლეობის იმ მნიშვნელოვან ნაწილის, რომლისთვისაც მუჰამედი წმინდანია. ჟურნალის გამოხატვის თავისუფლების უფლებასა და რელიგიური მრწამსის მიმართ აღქმულ უპატივცემულობას შორის დაპირისპირებამ ხაზი გაუსვა სხვადასხვა კულტურულსა და რელიგიურ სენსიტიურობებზე დემოკრატიული ღირებულებების ფარგლებში გამოწვევას (ლიპარტელიანი, 2023).

გამოხატვის თავისუფლებასა და სოციალურ პასუხისმგებლობას შორის დელიკატური ბალანსის განხილვისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ ევროპულმა ერებმა იზრუნონ როგორც სიტყვის თავისუფლების, ასევე რელიგიური უფლებების დაცვაზე.

ერთობლივმა ძალისხმევამ შეიძლება, ბევრად უფრო დააბალანსოს პროცესები; ხელი შეუწყოს ჰარმონიულ თანაარსებობას სხვადასხვა რელიგიურ თემს შორის.

თავი 3. კვლევის შედეგები და ანალიზი

3.1. თვისებრივი კვლევის შედეგები

კვლევამ აჩვენა, რომ პრობლემა სერიოზულია; ქართულ მედიაში რელიგიური კონფლიქტების გაშუქების დროს ვხვდებით სიძულვილის ენის დამკვიდრების შემთხვევებსაც; დეზინფორმაციასაც; ობიექტურობის ნიშნულიც ხშირად ძალიან დაბალია.

კვლევისას გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი; კერძოდ: სამაგიდო კვლევის მეთოდი, რომლის საშუალებითაც მოძიებულ იქნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არსებული მასალები - სტატიები, ვიდეო ჩანაწერები და სხვა. გარდა სამაგიდო კვლევისა, ასევე გამოყენებულ იქნა ისტორიზმისა და ლოგიკური ანალიზის მეთოდი. ამასთან, გამოვიყენეთ თვისებრივი მეთოდის ყველაზე ნაცადი კვლევითი ტექნიკა - ჩაღრმავებული ინტერვიუ და დაკვირვება. ასევე გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კითხვარის მეთოდი, რომელზეც უკვე შემდგომში უფრო დეტალურად გავაგრძელებ საუბარს.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში დავადგინეთ, რომ ქართული მედია დროს უთმობს რელიგიური კონფლიქტების გაშუქებას, მაგრამ მასალათა უმეტესობა, სატელევიზიო, ბეჭდურ თუ ონლაინ სივრცეში, ზედაპირულია. ჟურნალისტებს აკლიათ მსჯელობა, ლოგიკურობა და ბალანსი. ისინი ძირითადად იხრებიან კონფლიქტის ან ერთ, ან მეორე მხარეს. უმეტესწილად არ ინტერესდებიან კონფლიქტის წარმოშობის სათავეებით, ისტორიული წყაროებით და შესაბამისად, აცდენილნი არიან რეალობას.

იმისათვის, რომ ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევას სრულყოფილი სახე ჰქონოდა, შევისწავლეთ ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში 2014 წელს განვითარებული რელიგიური კონფლიქტი და 2021 წელს დმანისში ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაწყებული დაპირისპირება; კონკრეტული კონფლიქტები საგანგებოდ გამოვყავით, ვინაიდან სწორედ ამ თემებს

განსაკუთრებულად აქტიურად გამოეხმაურა ქართული მედია სივრცე და კვლევითი ინსტიტუტები. შესაბამისად, თვისებრივი კვლევისთვის შევისწავლეთ როგორც სატელევიზიო, ასევე ბეჭდური და ონლაინ მედია საშუალებები და კვლევითი ინსტიტუტები. გაანალიზდა ტელეკომპანიები - „პირველი არხი“, „რუსთავი 2“, „მთავარი არხი“, რადიო „თავისუფლება“, ჟურნალი „ლიბერალი“, „მედია კრიტიკა“, Netgazeti.ge, „Sputnik საქართველო“, სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი.

თვისებრივი კვლევის საფუძველზე შევაფასეთ მასალათა ტონი, განწყობა, ობიექტურობის კომპონენტი და ინფორმაციის წყაროების მართებულობა.

თუ დავაკვირდებით მასალათა შინაარსობრივ სტრუქტურას, ცხადი გახდება, რომ კონფლიქტების გაშუქებისას ჩვენ მიერ შესწავლილი მედიასაშუალებები და კვლევითი ინსტიტუტები ხშირად არღვევდნენ მედიასტანდარტებს და კონფლიქტების მოგვარების ნაცვლად დაპირისპირების იარაღად თავად იქცეოდნენ. ამას ადასტურებს, მაგალითად, ჟურნალი „ლიბერალის“ 2018 წლის მასალა - „თოვლში მოყოლილი მოხეს ამბავი“, რომელშიც მოვლენები გაშუქებულია მხოლოდ მუსლიმი თემის გადმოსახედიდან და ისეა ნაჩვენები, ქრისტიანი თემი ავიწროებს მუსლიმ თემს.

სამაგიეროდ, ტელეკომპანია „პირველმა არხმა“ კონფლიქტის დაწყების საღამოსვე რეპორტაჟში ობიექტურად აჩვენა როგორც მუსლიმი, ასევე მართლმადიდებელი მოსახლეების პოზიცია; სიუჟეტის ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც ტელეწამყვანი და არც რეპორტიორი მიკერძოებული არ იყო.

თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ მიკერძოებას ჰქონდა ადგილი ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ 2014 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში - „სოფელ მოხეში განვითარებული მოვლენების

ანალიზი“; ზოგადი განწყობითა და ტონით ავტორი მუსლიმი თემისკენ იხრება.

თვისებრივი კვლევის ფოკუსში მოხვდა Netgazeti.ge-ს მიერ 2021 წელს გამოქვეყნებული სტატია „კონფლიქტიდან 7 წლის შემდეგ: „მოხეს ისტორიული მეჩეთი კვლავ გაპარტახებულია“; შინაარსობრივი სტრუქტურის ანალიზი გვაჩვენებს, რომ სტატია წარმოადგენს მოხეს პრობლემის ობიექტურად გაანალიზების მცდელობას როგორც მუსლიმი, ისე მართლმადიდებელი თემის თვალსაწიერიდან.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში შესწავლილ მასალათა შორის გამორჩეულია ინტერნეტ ჟურნალში - „Sputnik საქართველო“ 2021 წელს გამოქვეყნებული სტატია - „საკატორიარქო: დმანისში მომხდარი დაპირისპირება გარედან იყო ინსპირირებული“. მასალა 2021 წლის 19 მაისს დმანისში განვითარებულ კონფლიქტს ეხმიანება; სტატიაში გადმოცემულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მოსაზრებები. წერილის ენა ნეიტრალურია და ფაქტობრივ მასალებს ეყრდნობა; ავტორი არ ემხრობა რომელიმე კონკრეტულ მხარეს ან პოზიციას; გვაჩვენებს როგორც საქართველოს საკატორიარქოს, ასევე საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს წვლილს პრობლემის მოგვარების პროცესში; შესაბამისად, სტატია დაბალანსებულია და ობიექტური.

დმანისის პრობლემასთან მიმართებაში დაბალანსებულია და ობიექტური სოციალური სამართლიანობის ცენტრის მასალებიც, რომელიც, ასევე, 2021 წელს გამოქვეყნდა ქაშვან მამედლის ავტორობით.

თვისებრივი კვლევა გვაჩვენებს, რომ მედია უნდა იყოს პასუხისმგებელი ყველა თავის ქმედებაზე და ხელი შეუწყოს კონფლიქტურ სიტუაციებში დაპირისპირების შემცირებას და არა - პირიქით, რაც არც თუ ისე იშვიათად ხდება ქართულ რეალობაში. ჩვენი კვლევის არეალში ასეთი მასალებიც მოხვდა; მათ შორისაა ტელეკომპანია „პირველის“ რეპორტაჟი დმანისის პრობლემებზე, რომელმაც სიტუაცია რეგიონში კიდევ უფრო გაამწვავა. რეპორტიორმა სვანები მოიხსენია ეკომიგრანტებად - ანუ

სტუმრებად და აზერბაიჯანელები - ადგილობრივებად - ანუ მასპინძლებად;

ასევე დამამცირებლად არიან მოხსენიებულნი ქართველები 2021 წელს „კავკასიის მაუწყებლობაში“ გამოქვეყნებულ მასალაში, სადაც წერია - „ეგენი ღარიბი ხალხია, მათი ყიდვა ადვილია.“ სწორედ ამ სტატიამ დმანისში მოვლენები ბევრად გაართულა და საზოგადოების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

კვლევამ აჩვენა, რომ კონფლიქტების გაშუქების დროს პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მოვლენების ზუსტსა და დაბალანსებულ გაშუქებას, რადგან მედია ნარატივებს უზარმაზარი გავლენა აქვს საზოგადოების ცნობიერებასა და ქცევაზე.

სწორედ ამ გავლენების უკეთ შესასწავლად და კონფლიქტების გაშუქების პროცესში მედიის როლის განსაზღვრისათვის ჩავატარეთ ჩაღრმავებული ინტერვიუ.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 4 რესპონდენტი - ექსპერტები რელიგიური კონფლიქტების მიმართულებით: **ბექა მინდიაშვილი** - ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი; **გიორგი ფარეშიშვილი** - IRI - ის, *ინტერრელიგიური* მიმართულების კურატორი; **მარინე იტრიაშვილი** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი; **ზურაბ კვეტენაძე** - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი.

რელიგიური კონფლიქტების შესწავლა მოითხოვს ნიუანსირებულ მიდგომას, იდენტობის, ემოციებისა და იმ სოციალურ-პოლიტიკური რთული ფონის ურთიერთქმედების გათვალისწინებით, რომელშიც ეს კონფლიქტები ვითარდება. რელიგიურ კონფლიქტებში მედიის როლის განსაზღვრისათვის საჭიროა იმის დადგენა, რა უნდა იქნას გათვალისწინებული და პრიორიტეტულად მიჩნეული.

რელიგია მგრძნობიარე საკითხია, რადგან დაკავშირებულია იდენტობასთან; ადამიანები კი ემოციურად აღიქვამენ ნებისმიერ საკითხსა

და სიტყვას, რაც მათ იდენტობას უკავშირდება; მითუმეტეს იდენტობის ისეთ ძლიერ ფორმას, როგორც რელიგიაა.

რესპონდენტების პასუხები ხაზს უსვამს ჟურნალისტებისთვის ზუსტი და ხელმისაწვდომი ცოდნისა და ინფორმირებულობის მნიშვნელობას და აღნიშნავენ რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტის სიღრმისეული გააზრების აუცილებლობას. აქ პრიორიტეტი მდგომარეობს ჟურნალისტების ზუსტი ინფორმაციით აღჭურვაში თითოეული მხარის რწმენის, მოთხოვნებისა და პრეტენზიების გათვალისწინებით. ცოდნის სიღრმე გადამწყვეტია კონფლიქტის კონტექსტის უზრუნველსაყოფად, რაც საშუალებას იძლევა უფრო ყოვლისმომცველი და გამჭრიახი ანალიზისა.

რესპონდენტთა აზრით, ჟურნალისტს უნდა ესმოდეს, რას წარმოადგენს ესა თუ ის რელიგია და რის საფუძველზეა წარმოქმნილი კონფლიქტი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი, რომელიც ხაზგასმულია რესპონდენტების პასუხებში, არის რელიგიაზე დაფუძნებული კონფლიქტებისა და არარელიგიური ფაქტორებით გამოწვეული კონფლიქტების განსხვავების აუცილებლობა.

მუსლიმსა და ქრისტიან თემებს შორის შეიძლება კონფლიქტი წარმოიშვას არარელიგიურ, სოციალურ საფუძველზე და ამიტომ აუცილებელია, მოხდეს პრობლემის ზუსტი კლასიფიკაცია.

მედიის მიერ კონფლიქტების არასწორად წარმოჩენამ შეიძლება პრობლემა გადაზარდოს სწორედ რელიგიურ დაპირისპირებაში; ამიტომ, ექსპერტთა აზრით, აუცილებელია კონფლიქტის ზუსტი მიზეზის შესწავლა და მისი რელიგიური და არარელიგიური საწყისების გამიჯვნა; ამასთან, ექსპერტთა აზრით, რელიგიური კონფლიქტის მიზეზი უნდა იყოს დოგმატური საკითხი და არა - პოლიტიკური; ამის მაგალითად ერთ-ერთმა ექსპერტმა მოიტანა ქართულ-სომხური საეკლესიო განხეთქილება,

რომელიც VI-VII საუკუნეებიდან დაიწყო და გულისხმობდა განსხვავებას ზიარების წესთა შორის.

მაშასადამე, რელიგიური კონფლიქტების გაშუქებისას უმნიშვნელოვანესი საკითხის კონფლიქტების წინაპირობებისა და მიზეზების შესწავლა, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი განურჩეველი ეტიკეტირება რელიგიურად. ძირეული მიზეზების გამოკვლევა მკვლევრებსა და ჟურნალისტებს საშუალებას აძლევს, გამოავლინონ კონტექსტური ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა, ერთი შეხედვით არარელიგიური კონფლიქტი რელიგიური მნიშვნელობის მქონე კონფლიქტად აქციონ. ეს პრიორიტეტიზაცია ხელს უწყობს უფრო ნიუანსირებული და ზუსტი თხრობის წარმოჩენას და განზოგადებების თავიდან აცილებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ რელიგიური კონფლიქტების ფარგლებში დოგმატური საკითხები ეხება დოქტრინის, რწმენისა და რელიგიური პრაქტიკის საკითხებს. მკვლევრებმა და ჟურნალისტებმა უნდა გამოიკვლიონ თეოლოგიური ნიუანსები, რომლებიც ამძაფრებს კონფლიქტს, განასხვავებენ ნამდვილ რელიგიურ დავებს და ხელოვნურად შექმნილისაგან. ამით შესაძლებელია რელიგიური კონფლიქტის ყოვლისმომცველი გაგება და დაპირისპირების ნამდვილი მოტივების გამოვლენა.

რესპონდენტების პასუხებიდან ირკვევა, რომ აუცილებელია რელიგიური კონფლიქტების გარშემო არსებული პოლიტიკური კონტექსტის შესწავლა. მათი აზრით, კონფლიქტებს, რომლებიც რელიგიურად არის მიჩნეული, ზოგჯერ შეიძლება ჰქონდეს პოლიტიკური და არა - თეოლოგიური უთანხმოებების საფუძველი. ამიტომ, ექსპერტების მტკიცებით, ჟურნალისტებმა უნდა შეძლონ კონფლიქტის ავთენტური ბუნების გამოვლენა, რითაც თავიდან აიცილებენ პოლიტიკური დავების, როგორც რელიგიური დაპირისპირების არასწორ წარმოჩენას.

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ჟურნალისტების მხრიდან აუცილებელია, ასევე, კონფლიქტში ჩართული მხარეების, დაზარალებული ადამიანების, განსახილველი კონფესიების, ასევე ეთნოფსიქოლოგიური და კულტურული განზომილებების გულდასმით შესწავლა. მაშასადამე, საჭიროა კონფლიქტის უნიკალური მახასიათებლის „პოვნა“.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა დაასაბუთა ცნობილი რუსი ფილოსოფოსის - ნიკოლაი ბერდიაევის (1874-1948) იმ მოსაზრების მართებულობა, რომ მთელი კაცობრიობის ისტორია ღვთისა და კეისრის სამეფოთა დაპირისპირების ისტორიაა; ანუ, ყოველთვის, ყველა ეპოქაში რთული იყო და არის იმის გარკვევა, სად სრულდება რელიგია და იწყება პოლიტიკა და პირიქით - სად სრულდება პოლიტიკა და იწყება რელიგია.

ამ გადაჯაჭვულობას ღრმა გავლენა აქვს კონფლიქტების ბუნებაზე; ამიტომ, ექსპერტთა აზრით, საჭიროა ჰოლისტიკური ანალიტიკური ჩარჩოს შექმნა, რომელიც ითვალისწინებს როგორც რელიგიურ, ასევე პოლიტიკურ განზომილებებს.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია გამოვხატოთ პატივისცემა და ტოლერანტობა ნებისმიერი რელიგიური კონფესიის მიმართ. მათი აზრით, მედიას შეუძლია, ხელი შეუწყოს სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგებასა. ეს კი, მათი აზრით, შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური მიუკერძოებლობით.

კვლევაში ჩართულთა აზრით, მედია ვალდებულია, მაქსიმალურად ინფორმირებულობასთან ერთად, მაქსიმალურად შეეცადოს, კონფლიქტში მონაწილე რომელიმე ერთ მხარეს (რელიგიას) არ დააკისროს მთელი პასუხისმგებლობა. არ უნდა გააკეთოს აქცენტი იმაზე, რომ რომელიმე რელიგიის, მაგალითად, ისლამის, ბუნება ცუდია და ქრისტიანული - კარგი ან - პირიქით.

ობიექტური ინფორმაციის გავრცელებით მედიას შეუძლია, წვლილი შეიტანოს საზოგადოების ინფორმირებულობაში და ამავდროულად ხელი შეუძლოს დეზინფორმაციისა და ცრურწმენების გავრცელებას.

მაშასადამე, როგორც კვლევამ აჩვენა, მედია ირგებს როგორც ინფორმატორის, ასევე შუამავლის როლს.

რესპონდენტების პასუხები მიუთითებს იმ გარემო პირობებზე, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს რელიგიურ კონფლიქტებში. მიუხედავად იმისა, რომ ცალსახად არ არის განსაზღვრული, აღნიშნული პირობები შეიძლება მოიცავდეს სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს, პოლიტიკურ არასტაბილურობას ან კულტურულ სირთულეებს. ამ გარემოებითი ელემენტების ამოცნობა არსებითია კონფლიქტის რეალური არსის გაგებისთვის; კვლევაში მონაწილეთა აზრით, ჟურნალისტებს ევალებათ სწორედ ამ ფაქტორების აღმოჩენა და მათზე აქცენტის გაკეთება, რათა მოხდეს პრობლემის ობიექტურად შესწავლა.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ საქართველოში რელიგიური ტოლერანტობის ისტორიულ წარსულზეც.

თვისებრივი კვლევის ანალიზი ავლენს გამოწვევებს მედია ლანდშაფტში, განსაკუთრებით „ლიბერალურ არხებში“, სადაც რესპონდენტი აღიქვამს ტენდენციას უმრავლესობის რელიგიის დაგმობისა და ნეგატიურად წარმოჩენისკენ. ეს დაკვირვება წარმოადგენს შემფოთების საგანს მედია საშუალებების ობიექტურობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. იგი ხაზს უსვამს მედიის პრაქტიკაში ცვლილების აუცილებლობას, რათა აღმოიფხვრას მიკერძოება და ხელი შეუწყოს რელიგიური თემების უფრო დაბალანსებულ წარმომადგენლობას.

გამოკითხულ ექსპერტთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აუცილებელია, მედიამ დადებითი როლი შეასრულოს რელიგიური უმცირესობების მიმღებლობის პროცესში. საქართველოს მოსახლეობის 80% მართლმადიდებელია; შესაბამისად, მედიის მხარდაჭერა ხშირად სჭირდება რელიგიურ უმცირესობებს. თუმცა, საქართველოში მედიის ნაწილი

უმცირესობებს უჭერს მხოლოდ და მხოლოდ მხარს და მართლმადიდებლურ ეკლესიას წარმოაჩენს უარყოფით კონტექსტში, ნაწილი კი - პირიქით... იშვიათად ხდება მხარეების ობიექტურად შეფასება და სიტუაციის ზუსტი ანალიზის მიწოდება საზოგადოებისთვის.

კვლევაში ჩართული პირები საუბრობენ მედიის მიერ რელიგიური თემატიკის ინფორმაციის სტერეოტიპულ გაშუქებაზე. აღნიშნავენ, რომ მედიის პასუხისმგებლობაა რელიგიური კონფლიქტების დროს ინფორმაციის ზუსტი გადაცემა, რაც გულისხმობს ისეთი ტერმინოლოგიის გამოყენებას, რომელიც შეესაბამება რელიგიური თემების ზუსტ იდენტიფიცირებას. ექსპერტთა შეფასებით, ინფორმაციის ნაკლებობის ან ნეიტრალიტეტის შენარჩუნების სურვილის გამო არასწორმა წარმოდგენამ შეიძლება ხელი შეუწყოს დამაბულობის გავრცელებას და შეაფერხოს საზოგადოების მიერ სიტუაციის სწორი აღქმა.

ჩაღრმავებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ რელიგია და პოლიტიკა ხშირად იკვეთება. შესაბამისად, რელიგიურ კონფლიქტებს შეიძლება ჰქონდეს პოლიტიკური ხასიათი, ხოლო პოლიტიკურ კონფლიქტებს - რელიგიური ელფერი. მედია, ინფორმაციის გამავრცელებლის როლში, შეიძლება უნებლიედ იქცეს ამ გადაჯაჭვული კონფლიქტების პლატფორმად.

მედია საშუალებები, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ინსტიტუტი, არ არიან დაცული პოლიტიკური გავლენებისგან. ექსპერტთა შეფასებით, ხშირად, მედიასაშუალებები საქართველოში პოლიტიკურად აფილირებული პირების ან კორპორაციების მფლობელობაში არიან, მათგან ფინანსდებიან და შესაბამისად, გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებენ დამფინანსებლის პოზიციებს. შედეგად რელიგიური კონფლიქტების გაშუქებაც შეიძლება გახდეს პოლიტიზებული. კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არსებობს სახელისუფლებო და ოპოზიციური მედია; მაგრამ თავისუფალი მედია

თითქმის არ გვხვდება. ამიტომ დიდია ინფორმაციის მიკერძოებული გაშუქების რისკიც.

მედია ინდუსტრია მუშაობს კონკურენტულ გარემოში, სადაც სენსაციები ხშირად იზიდავს მეტ მაყურებელს ან მკითხველს. სწორედ ამიტომ რელიგიურ კონფლიქტებს უმეტესწილად აშუქებს სკანდალურად და ერთ დაპირისპირებულ მხარეს განაწყობს მეორის წინააღმდეგ.

რელიგიური კონფლიქტების ეფექტურად მოსაგვარებლად აუცილებელია დიალოგის წახალისება. ორივე მხარეს უნდა მიეცეს საშუალება, გამოხატოს თავისი პოზიცია, რაც დაგვეხმარება კონფლიქტის ძირეული მიზეზების სრულყოფილ აღქმაში.

ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, მნიშვნელოვანია, რელიგიური კონფლიქტის დროს როგორც მსხვერპლი, ისე მოძალადე ვალაპარაკოთ; მოძალადე ისე წარმოაჩენს თავის პოზიციას, რომ, საბოლოო ჯამში, საკუთარი ინტერესის წინააღმდეგ წავა; კვლევაში მონაწილეთა აზრით, აუცილებელია, საზოგადოებამ თავად ამოიცნოს, მედიის საშუალებით, კონფლიქტში ვინ არის მოძალადე და დადგეს სიმართლის მხარეს.

მაშასადამე, კვლევამ აჩვენა, რომ მედია ხელს უწყობს უფრო ინფორმირებული და გამჭრიახი საზოგადოების შექმნას. ის ხდება ძლიერი ინსტრუმენტი სტერეოტიპების დემონტაჟის პროცესში; აძლიერებს თანაგრძნობისა და კონფლიქტის დეტალური აღქმის უნარს.

როგორც თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, ექსპერტებისა და მედიის ჩართულობით იძენს სწორედ რელიგიური კონფლიქტი ხილვადობას. შესაბამისად, გაზრდილი ცნობიერება უბიძგებს საზოგადოებას, დაუპირისპირდეს მკაცრ რეალობას და ხელი შეუწყოს კოლექტიურ პასუხისმგებლობას.

რესპონდენტები თანხმდებიან იმ აზრზე, რომ ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობაა, დაიცვას თავისი მოქალაქეების რელიგიური უფლებები და შექმნას სხვადასხვა რელიგიურ კონფესიათა მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის ხელსაყრელი გარემო.

საბოლოო ჯამში, კვლევამ დაადასტურა, რომ პრობლემის მოგვარების უმთავრესი გზა გადის დამოუკიდებელ მედიაზე. მაშასადამე, მედიის პოლიტიკური თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედიანია. დამოუკიდებლობა გადამწყვეტია მედიის სანდოობისა და საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად. რელიგიური კონფლიქტების გაშუქებისას პოლიტიკური თავისუფლება საშუალებას აძლევს მედიას, ობიექტურად წარმოაჩინოს ფაქტები - პოლიტიკური დღის წესრიგისა და მიკერძოების გარეშე. დამოუკიდებელი მედია უნდა იყოს ინფორმაციის სანდო წყარო საზოგადოებისთვის, რითაც ხელს შეუწყობს ინფორმირებულ დისკუსიებსა და დებატებს.

კვლევის შედეგებიდან ნათელი გახდა, რომ რელიგიური კონფლიქტების ყოვლისმომცველი შესწავლა უნდა დაიწყოს ისტორიული კონტექსტებისა და ძირეული მიზეზების შესწავლით; რელიგიური დაძაბულობის მიზეზების გამოკვლევით.

ექსპერტთა რეკომენდაციები:

- რელიგიური ცოდნის გაღრმავება
- თავისუფალი მედია
- მედიის ინკლუზიურობა

საბოლოო ჯამში, ექსპერტთა აზრით, მედია ორგანიზაციებმა საქართველოში რელიგიური საკითხების გაშუქებისას ყურადღება უნდა გაამახვილონ ეთიკური გაშუქების სტანდარტებზე; არ უნდა გამოიყენონ სიმულვილის ენა, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს რელიგიათა შორის დაპირისპირების პოლარიზაციას; უნდა გაიარონ შესაბამისი ტრენინგები რელიგიურ თემებზე. რაც მთავარია, ქვეყანას უნდა ჰყავდეს დამოუკიდებელი მედია; წინააღმდეგ შემთხვევაში არც ერთი პრობლემის მოგვარება არ გახდება შესაძლებელი.

3.2. რაოდენობრივი კვლევის შედეგები

რაოდენობრივი კვლევისას ინფორმაცია მიღებულ იქნა სპეციალურად შერჩეული 171 ჟურნალისტისაგან, რომელთაც გაშუქებული ჰქონდათ რელიგიური კონფლიქტები.

რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი, თვისებრივი კვლევისაგან განსხვავებით, ისაა, რომ შედეგები შეიძლება იყოს გამოსახული რიცხვითი ფორმით, რაც მიღებულ შედეგს უფრო ნათელს ხდის. ამასთან, რაოდენობრივი კვლევის მეთოდით მიღწეული შედეგები არის ლოგიკური, სტატისტიკური და მიუკერძოებელი.


კვლევის ინსტრუმენტი:

რაოდენობრივი მონაცემების შესაგროვებლად გამოიყენება სტრუქტურირებული ინსტრუმენტები, კერძოდ გამოკითხვა. გამოკითხვისთვის შედგენილ იქნა კითხვარი, რამაც ხელი შეუწყო კვლევის რესპონდენტებისგან ქმედითი მონაცემების შეგროვებას.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 171 რესპონდენტი / ჟურნალისტი.

კითხვა 1.

როგორ ფიქრობთ, რა არის მედიის მთავარი როლი კონფლიქტურ ზონებში?
171 პასუხი




როგორც აღინიშნა, კვლევაში მონაწილეობდა 171 რესპონდენტი, მათი უმრავლესობა, კერძოდ 31.6 % -ი თვლის რომ მედიის მთავარი როლი მიუკერძოებელი მოხსენების უზრუნველყოფაა. რესპონდენტების 25.7 %-ი მედიას საზოგადოების გამანათლებლის ფუნქციას ანიჭებს. 25.1 %-ის მედიის ფუნქციად სამშვიდობო ძალისხმევის მხარდაჭერას მიიჩნევს. 17.1

%-ი კი მედიის მთავარ როლს კონფლიქტის ერთი მხარის ადვოკატირებაში ხედავს.

კითხვა 2.

როგორ უნდა მიუახლოვდნენ ჟურნალისტები კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რაიონებში გაშუქებას, რათა თავიდან აიცილონ დამაბულობის გამწვავება?
171 პასუხი




კვლევაში მონაწილე ჟურნალისტების უმრავლესობა, კერძოდ 39.2 %-ი მიუთითებს, რომ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში გაშუქებისას, დამაბულობის თავიდან აცილება შესაძლებელია ადამიანის ინტერესების ისტორიების ხაზგასმით. 24 %-ი დამაბულობის თავიდან აცილების საშუალებად ნეიტრალიტეტს ხედავს. 22.8 %-ი სენსაციური ამბებისათვის პრიორიტეტის მინიჭებას ხედავს დამაბულობის გამწვავების თავიდან აცილების საშუალებად. 14 %-ი კი სამშვიდობო მისიებთან თანამშროლობას უთითებს.

კითხვა 3.

რესპონდენტთა 33.3 %-ის აზრით საზოგადოებაზე ყველაზე მეტად მოქმედებს კონფლიქტის ზონიდან პირდაპირო ჩართვები. 29.2 %-ი სოციალური მედია საზოგადოების აღქმაზე ყველაზე მეტად მოქმედებს დეზინფორმაციის გავრცელებით. 12.3 %-ი კი მიიჩნევს, რომ


როგორ მოქმედებს სოციალური მედია კონფლიქტების საზოგადოების აღქმაზე?
171 პასუხი



განსაკუთრებულ ზემოქმედებას არ ახდენს სოციალური მედია საზოგადოების აღქმაზე.

კითხვა 4.


როგორ შეუძლია მედია გაშუქებას ხელი შეუწყოს მშვიდობის მშენებლობას?
171 პასუხი



კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა 31.6 %-ის აზრით მედიას მშვიდობის მშენებლობისთვის ხელშეწყობა შეუძლია წყენისა და უსამართლობის ხაზგასმით. რესპონდენტთა იგივე რაოდენობა კი საპირისპირო აზრს ემხრობა და აღნიშნავს, რომ მშვიდობის მშენებლობაში ხელშეწყობა მხოლოდ კონფლიქტის მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობით არის შესაძლებელი. 21.1 %-ი მთავრობის პოლიტიკის მხარდაჭერას ხედავს მშვიდობისათვის ხელშეწყობის საშუალებად. ხოლო 15.8 %-ი კონფლიქტის იგნორირებას.

კითხვა 5.


რა გავლენას ახდენს მედიის მფლობელობა კონფლიქტის გაშუქებაზე?
171 პასუხი



კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობა, კერძოდ 37.4 %-ი აღიარებს რომ მედიის მფლობელობა ხშირ შემთხვევაში გავლენას ახდენს ახალი ამბების კადრირებასა და მიკერძოებულობაზე. ხოლო 26.3 %-ი მიიჩნევს, რომ მედიის მფლობელობას მოხსენების ხარისხზე არანაირი გავლენა არ აქვს.

კითხვა 6.


რა როლს თამაშობს მედია ეთიკა კონფლიქტის გაშუქებაში?
171 პასუხი



ჟურნალისტთა აზრით მედია ეთიკა ხშირ შემთხვევაში ხელის შემშლელია კონფლიქტის გაშუქებისას, კერძოდ 32.2 %-ი მიიჩნევს რომ მედია ეთიკა ზღუდავს პრესის თავისუფლებას. 19.9 %-ი კი აღნიშნავს რომ მედია ეთიკა შეუსაბამოა კონფლიქტის ზონაში. ამ აზრის საპირისპირო აზრს ანვითარებს კვლევაში მონაწილე ჟურნალისტთა 47.9 %-ი, მათი აზრით მედია ეთიკა უზრუნველყოფს სიზუსტეს და სამართლიანობას, ასევე მედიის დღის წესრიგის შექმნას.

კითხვა 7.

თქვენი აზრით, რა აკლია კონფლიქტების მიმდინარე მედია გაშუქებას?
171 პასუხი




რესპონდენტთა აზრით კონფლიქტების მიმდინარე მედია გაშუქებას ხშირ შემთხვევაში აკლია: ნეიტრალიტეტი და მიუკერძოებლობა (38.6 %-ი), სიღრმე და კონტექსტი (28.7%-ი), ემოციური ისტორიები კონფლიქტის ჰუმანიზაციისას (17 %-ი), ეროვნული ინტერესების მხარდაჭერა (15.8).

კითხვა 8.

როგორ შეიძლება მედიამ თავი აარიდოს კონფლიქტურ სიტუაციებში ძალადობის ციკლში წვლილის შეტანას?

171 პასუხი



კვლევაში მონაწილე ჟურნალისტთა 40.4 % - ის აზრით კონფლიქტურ სიტუაციებში დამაბულობის ზრდას შეუძლია თავი აარიდოს კონფლიქტისადმი მგრძობიარე მოხსენებების განხორციელებით. 29.2 %-ი აღნიშნულის ერთადერთ საშუალებად კონფლიქტის იგნორირებას, მის არ გაშუქებას ხედავს. 15.2 %-ი დადებით მხარეებზე ხაზგასმას ხედავს კონფლიქტის გამწვავების თავიდან არიდების საშუალებად. ზუსტად ამდენივე რესპონდენტმა მიუთითა რომ კონფლიქტში ძლიერი მხარის მხარდაჭერა დადებითად აისახება კონფლიქტის ჩაცხრობაზე.

კითხვა 9.

როგორ შეუძლიათ ჟურნალისტებს ტრენინგი გაუმკლავდნენ კონფლიქტის გაშუქების სირთულეებს?
171 პასუხი



ჟურნალისტების აზრით კონფლიქტის გაშუქების სირთულეებთან გამკლავება შესაძლებელია სპეციალიზებული კონფლიქტისადმი მგრძობიარე ჟურნალისტის კურსის მეშვეობით - 42,7 %-ი. 29,8 %-ი სირთულეებთან გამკლავების საშუალებად მხოლოდ გამოცდილებას ხედავს. 12,3 %-ი კი კონფლიქტის სპეციფიკის უგულვებლყოფას და ზოგადი მოხსენებაზე ფოკუსირებას განიხილავს კონფლიქტის გაშუქების სირთულეების თავიდან აცილების საშუალებად.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გამოკითხვა ჩატარდა 171 ჟურნალისტისგან შემდგარ ჯგუფს შორის, რომელთაგან ყველას აქვს მდიდარი გამოცდილება რელიგიური კონფლიქტების გაშუქებაში. ამ გამოკითხვის უპირველესი მიზანი იყო ჟურნალისტების პერსპექტივების შესწავლა და გააზრება მედიის მრავალმხრივ როლთან დაკავშირებით ასეთ დელიკატურ ზონებში, ეთიკური გამოწვევების წინაშე და სხვადასხვა პრაქტიკის შესახებ, რომელსაც ისინი იყენებენ გაშუქების პროცესში. შეგროვებული მონაცემები ხსნის მოსაზრებათა სპექტრს, რითაც ნათელს ჰფენს ჟურნალისტის როლს და ნიუანსურ ბუნებას კონფლიქტურ გარემოში.

პასუხების დეტალური ანალიზი

1. მედიის როლი კონფლიქტურ ზონებში სიღრმისეული შეხედვით: გამოკითხულ ჟურნალისტთა მნიშვნელოვანმა უმრავლესობამ ხაზი გაუსვა მიუკერძოებელი და ყოვლისმომცველი რეპორტაჟის უზრუნველყოფის კრიტიკულ მნიშვნელობას. ეს კონსენსუსი არა მხოლოდ ნიშნავს მტკიცე ვალდებულებას კონფლიქტის ზონებში მიუკერძოებელი გაშუქების შენარჩუნებისადმი, არამედ ასევე ხაზს უსვამს მედიის აღქმულ ვალდებულებას, წარმოადგინოს დაბალანსებული და სამართლიანი პერსპექტივები. ასეთი მიდგომა გადამწყვეტია დამაბულობის ესკალაციის თავიდან ასაცილებლად და ატმოსფეროს გასაძლიერებლად, სადაც ინფორმირებული და რაციონალური დისკურსი ჭარბობს.

2. ეთიკური გამოწვევების შესწავლა: კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ჟურნალისტები ხშირად აწყდებიან გამოწვევებს ნეიტრალიტეტის შენარჩუნებაში, ბევრი გამოხატავს შემფოთებას მათ გაშუქებაზე პოტენციური ემოციური გავლენის შესახებ. ჟურნალისტების გამოცდილების ეს მიმოხილვები ნათელს ხდის პროფესიაში გამჟღავნებულ ეთიკურ თავსატეხებს, განსაკუთრებით კონფლიქტურ გარემოში, სადაც მედიის გაშუქების შედეგებმა შეიძლება მნიშვნელოვნად შეაფერხოს საზოგადოების აღქმა და გავლენა მოახდინოს თავად კონფლიქტის დინამიკაზე.

3. კონფლიქტის გაშუქების სხვადასხვა მიდგომა: პასუხები საგრძნობლად განსხვავდებოდა იმ სტრატეგიებთან დაკავშირებით, რომლებსაც ჟურნალისტები თვლიან, რომ უნდა გამოიყენონ კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებიდან გაშუქებისას. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა ფრაქცია მიდრეკილია სამშვიდობო ინიციატივების ხელშეწყობისა და დიალოგის ხელშეწყობისაკენ, მეორე სეგმენტმა ხაზი გაუსვა უსამართლობის ხაზგასმა და ჰუმანიტარული ინტერვენციების ადვოკატირების აუცილებლობას. თვალსაზრისების ეს მრავალფეროვნება ხაზს უსვამს ჟურნალისტური სტრატეგიების მთელ რიგს, რომლებიც

გამოყენებულია რელიგიური კონფლიქტების შესახებ გაშუქებისას თანდაყოლილი სირთულეების გასაკონტროლებლად.

